www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი, 17 ნოემბერი, 2004 წელი. №273 (822) | ფასი 50 თეთრი

### პოლიტიკა

## ევროპისკენ - ქართული გულარხეინობით?



ქართველი პოლიტიკოსები, სიტყვით, ევროპულ ფასეულობებსა და ღირებულებებს ეთაყვანებიან, საქმითა და საქციელით კი, ზოგჯერ, მოუწესრიგებელი ადამიანების შთაბეჭდილებას ტოვებენ.

A2

### ეკონომიკა

## საწარმოთა მართვის სააგენტოს ირაკლი ჩოგოვაძე უხელმძღვანელებს



სააგენტოს გადამდგარმა თავმჯდომარემ ერეკლე ქიქოძემ სააგენტოს თანამშრომლებს და საქართველოს მთავრობას თანამშრომლობისთვის მადლობა გადაუხადა.

A4

### სამართალი

## საკუთარ მომავალზე ფიქრი სიკვდილმისჯილთა საკანში



A7

იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7-A8

# „არა მგონია, ჩვენი შეხვედრები უშედეგო იყოს"

## მესამე სექტორის დიალოგი პრეზიდენტთან



*ემოციური მუხტი არც შეხვედრის შემდეგ განელებულა.*

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

სოფო ბუკია

*რელიგიური საკითხები, სიტყვის თავისუფლება, ეფექტური მართლმსაჯულების სისტემა – ეს ის თემებია, რაზეც გუშინ პრეზიდენტმა სააკაშვილმა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა, დახურულ კარს მიღმა, თითქმის სამი საათის განმავლობაში ისაუბრეს.*

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა პირველი შეხვედრა მიხეილ სააკაშვილთან დაახლოებით ერთი თვის წინ შედგა. ამას მოჰყვა ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტისადმი, რომელიც გაზეთ "24 საათში" დაიბეჭდა და რომელსაც ხელს სწორედ მესამე სექტორის წარმომადგენლები აწერდნენ. წერილში აღნიშნული იყო, რომ ხელისუფლებამ უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს კანონისა და ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებს.

გაგრძელება A2 გვერდზე

# "უკულტურო" დეპუტატი და განრისხებული რწმუნებული

მაია მოსიაშვილი

*"ვარდების რევოლუციის" ერთი წლისთავს "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" ქვემო ქართლში, და არა მარტო იქ, შიდაპარტიული დაპირისპირებებით ხვდება. ვის უნდა ეკავოს თანამდებობები აღმასრულებელ ხელისუფლებაში - იმათ ვინც დროშები აფრიალა თუ იმათ, ვისაც ხელმძღვანელისთვის საჭირო ცოდნა, უნარი და გამოცდილება აქვს? - აი, რა ვერ გაარკვიეს ერთი წლის მანძილზე მმართველი პარტიის წარმომადგენლებმა.*

ბოლნისის რაიონში "ნაციონალური" დაპირისპირების შესახებ, "24 საათი" ჯერ კიდევ გასულ კვირას წერდა. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ მმართველი პარტიის წარმომადგენლები იქ თავიანთ თავს "ადგილობრივი ხელისუფლების ოპოზიციას" უწოდებენ.

**"ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ერთ პარტიაში ერთმანეთში ოპოზიციონერობა დავიწყოთ. ეს მოქალაქეთა კავშირის მეთოდები იყო - გაუთავებელი კინკლაობა და საქმის არ კეთება. ჩვენი ბრძოლა, ზოგიერთებისაგან განსხვავებით, თანამდებობების მიღების სურვილით არ იყო განპირობებული და ვერავინ მიიღებს თანამდებობას მხოლოდ პარტიის გამო,"** - ეს ფრაზები პრეზიდენტის რწმუნებულმა ქვემო ქართლში იოსებ მაზმიშვილმა მას შემდეგ თქვა, რაც საკუთარმა თანამებრძოლმა და თანაპარტიელმა,

გაგრძელება A2 გვერდზე

# რას გვასწავლის კომუნიზმი დღესაც

ვაცლავ ჰაველი

ჩეხეთის რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტი

1989 წლის 17 ნოემბრის "ხავერდოვანი რევოლუციის" მე-15 წლისთავი, იმ დღის გახსენება, როდესაც ჩეხოსლოვაკიაში 41-წლიანი კომუნისტური დიქტატურა დასრულდა, მშვენიერი საბაბია, რათა კიდევ ერთხელ დავფიქრდეთ, თუ რა არის ზნეობა და თავისუფალი მოქმედება. დღეს ჩვენ დემოკრატიულ საზოგადოებაში ვცხოვრობთ, მაგრამ ბევრ ადამიანს (არა მხოლოდ ჩეხეთის რესპუბლიკაში) ჯერ კიდევ არ სჯერა, რომ საკუთარი ბედის ბატონ-პატრონი თავადაა. მათ დაკარგეს რწმენა, რომ რეალურად შეუძლიათ, გავლენა მოახდინონ პოლიტიკაზე, და მით უმეტეს, ჩვენი ცივილიზაციის განვითარებაზე.

კომუნისტურ ეპოქაში უმეტესობა დარწმუნებული იყო, რომ რაიმეს შეცვლისთვის ინდივიდუალური მცდელობები შედეგს ვერ გამოიღებდა. კომუნისტური ლიდერები ირწმუნებოდნენ, რომ არსებული სისტემა ისტორიულ "ობიექტურ" კანონებს ექვემდებარებოდა და მისი შეცვლა შეუძლებელი იყო. ხოლო მათ, ვინც შეეწინააღმდეგებოდა ამ რწმენას, სასტიკად სჯიდნენ – ისე, ყოველი შემთხვევისთვის.

სამწუხაროდ, კომუნისტური მმართველობის შედეგად ჩამოყალიბებული მსოფლმხედველობა ჯერაც არ გამქრალა. ზოგიერთი პოლიტიკოსი და მეცნიერი მიიჩნევს, რომ კომუნისტური სისტემა თავისით, ისევ "ობიექტური კანონებიდან" გამომდინარე დაინგრა. კიდევ ერთხელ ხდება პიროვნული პასუხისმგებლობისა და ინდივიდთა ქცევის იგნორირება. ჩვენ გვეუბნებიან, რომ კომუნიზმი დასავლური რაციონალიზმის ერთ-ერთი მცდარი გამოვლინება იყო; ანუ პასიური ლოდინიც საკმარისი იყო და იგი თავისით განიცდიდა კრახს.

იგივე ხალხს ხშირად გარდაუვალობის სხვა გამოვლენებისაც სჯერა. მაგალითად, თითქოსდა ბუნებაში არსებობს საბაზრო კანონები და სხვა "უხილავი ხელი", რომელიც ჩვენ ცხოვრებას წარმართავს. აქედან გამომდინარე, რადგანაც ასეთ მსჯელობაში თითქმის არ რჩება ადგილი ინდივიდუალური ზნეობრივი მოქმედებისთვის, მათ, ვინც სოციალური კრიტიკით გამოდის, ხშირად დასცინიან და გულუბრყვილო მორალისტებად და ელიტარიზმის თეორიის მქადაგებლებად აცხადებენ.

შესაძლოა, ეს არის ერთ-ერთი მიზეზი, რომ კომუნისტური რეჟიმის კრახიდან 15 წლის შემდეგ ჩვენ ისევ პოლიტიკური აპათიის მოწმენი ვართ. დემოკრატია სულ უფრო ხშირად ემსგავსება რიტუალს. როგორც ჩანს, დასავლურ საზოგადოებაში დემოკრატიული სულისა და სამოქალაქო საზოგადოების დაკნინების ტენდენციაა.

გაგრძელება A5 გვერდზე

# შობადობის ფილოსოფია

## 2050 წელს - 3,3 მილიონი

სოფიო თოდუა

*ვერ დავიჩემებ, მალთუსი მართლა კაცთმოძულე იყო თუ არა, მაგრამ საბჭოთა სკოლებში შესაშური გულმოდგინებით გვინერგავდნენ, ამ ინგლისელი მღვდლის ერთადერთი იარაღი კაცობრიობის გამრავლების წინააღმდეგ შიმშილი და ომები იყოო. არც ის ვიცი, რამდენად ძლიერი არმია ჰყავს ტერიტორიულად ჩვენზე პატარა პალესტინას, მაგრამ ხშირად მაგონდება იასირ არაფატის ცნობილი სიტყვები მათ გასაგონად, ვისაც პალესტინელების გამარჯვებაში ეჭვი ეპარება: "ჩვენი ყველაზე საშიში იარაღი არაბი ქალის საშვილოსნოა". არაბებისაგან განსხვავებით ამ "საშიში იარაღისთვის", ჯერჯერობით, სახსრები არ გვყოფნის, რადგან ფული შიმშილის დაძლევაში გვეხარჯება. სტატისტიკის დეპარტამენტი ასეთ მონაცემებს გვთავაზობს: მოსახლეობა მცირდება და თუ 1989 წელს საქართველოს მოსახლეობა 5 მილიონ 401 ათასი იყო, 2002 წელს 4 მილიონ 372 ათასამდე იკლო (აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გამოკლებით). შემცირდა შობადობაც და მოსახლეობის ბუნებრივი მატებაც, მაგრამ გაიზარდა მოკვდავობა და ტკბილი სიბერის რა მოგახსენოთ, მაგრამ დემოგრაფიულ დაბერებას უკვე მოვესწარით. რა იქნება ხვალ? საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, პროფესორი გიორგი წულაძე ამ კითხვაზე ასე პასუხობს: მოდი, საკუთარ თავზე ვიზრუნოთ.*

გაგრძელება A3 გვერდზე

### ამინდი

| | 17/11 | 18/11 |
|---|---|---|
| თბილისი | 15 | 12 |
| ქუთაისი | 19 | 15 |
| ბათუმი | 19 | 16 |
| სოხუმი | 13 | 11 |
| ფოთი | 18 | 15 |
| თელავი | 14 | 11 |
| ზუგდიდი | 18 | 15 |
| გორი | 12 | 8 |
| ახმეტა | 14 | 11 |
| ჭიათურა | 16 | 11 |
| სამტრედია | 19 | 15 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8000 |
| ევრო | 2.3351 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.3311 |
| რუბლი | 0.0627 |

იწყება ხელმოწერის კამპანია გაზეთ "24 საათზე"

იკითხეთ "24 საათი" და თქვენ გექნებათ პოზიცია!

რედაქციის მისამართი: ვაჟა ფშაველას №45 ტელ: 20 24 24

ხელმოწერის ფასები:

1 თვით 13 ლარი;
3 თვით 39 ლარი;
6 თვით 78 ლარი;
ერთი წლით 156 ლარი.

ყურადღება!

თუ ხელშეკრულება გაფორმდება უშუალოდ რედაქციასთან, ხელმომწერი მიიღებს შემდეგ შეღავათებს:

6-თვიან ხელმოწერაზე 10 პროცენტი ფასდაკლება, ანუ 78 ლარის ნაცვლად, 70,20 ლარი; ერთწლიან ხელმოწერაზე 20 პროცენტი ფასდაკლება, ანუ 156 ლარის ნაცვლად, 124,80 ლარი.



A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 პროექტი
B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 პოლემიკა | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

# "არა მგონია, ჩვენი შეხვედრები უშედეგო იყოს"

პირველი გვერდიდან

გუშინ პრეზიდენტმა არასამთავრობო სექტორი სწორედ ამ საკითხებზე სასაუბროდ დაიბარა.

**"ჩვენ საკმაოდ ემოციური და უშუალო შეხვედრა გვქონდა. გამოითქვა ძალიან ბევრი საინტერესო აზრი, ბევრი ვიკამათეთ,"** – აღნიშნა ფონდ "ღია საზოგადოება-საქართველოს" დირექტორმა, პოლიტოლოგმა დავით დარჩიაშვილმა.

რელიგიურ საკითხებზე საუბრისას სააკაშვილმა მასმედიას ქართულ ეკლესიაში მიმდინარე პროცესების გაშუქების დროს მეტი თავშეკავებისკენ მოუწოდა.

**"ამ შემთხვევაში მე მასმედიას მოვუწოდებ არა როგორც ქვეყნის პრეზიდენტი, არამედ – როგორც მოქალაქე, ადამიანური თვალსაზრისიდან გამომდინარე,"** - აღნიშნა მან.

სააკაშვილის თქმით, ეკლესიის შიგნით მიმდინარე პროცესები პრეზიდენტისა და პოლიტიკოსების გასარჩევი არ არის, რადგან პოლიტიკას არანაირად არ უკავშირდება. **"ეკლესიაში არსებული ვითარება წმინდა საეკლესიო საკითხია, ამიტომაც მასზე მხოლოდ სასულიერო პირებმა უნდა იმსჯელონ,"** - დასძინა პრეზიდენტმა.

**"ძალიან ბევრი ვისაუბრეთ რწმენის თავისუფლების და განსხვავებული აზრის პატივისცემის პრობლემებზე, იმ სიტუაციაზე, რაც სასულიერო სემინარიის სტუდენტებთანაა დაკავშირებული. პრეზიდენტისგან ჩვენ სავსებით ნორმალური შეფასებები მოვისმინეთ. იგი შეგვპირდა, რომ ჩვენს ქვეყანაში ადამიანის უფლებები და ეკლესიის ავტონომია დაცული იქნება,"** – აცხადებს "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენელი ლევან რამიშვილი.

მეორე საკითხი, რაზეც გუშინ საკმაოდ ემოციურად ისაუბრეს, პრესის თავისუფლება გახლდათ. **"არსებობს ასეთი ორგანიზაცია - "ჟურნალისტები საზღვრებს გარეშე". ეს ორგანიზაცია სხვადასხვა ქვეყნებში მედიის მდგომარეობის სერიოზულ კვლევას ახორციელებს. 2003 წელს ჩვენ მასმედიის დამოუკიდებლობის მიხედვით 73-ე ადგილი გვეკავა, წელს კი ამავე ორგანიზაციის რეიტინგის თანახმად 94-ე ადგილზე გადავინაცვლეთ. ანუ ჩვენი ქვეყნის პუტინიზაციის ალბათობა იზრდება. მე ეს ციფრები პირდაპირ წარვუდგინე პრეზიდენტს,"** – აცხადებს "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენელი, ჟურნალისტი თამარ კინწურაშვილი.

**"ყველაზე მეტი ჩვენ სწორედ პრესის თავისუფლებისა და პრესის პლურალიზმის საკითხებზე ვისაუბრეთ. სწორედ ამ თემამ გამოიწვია დიდი ემოცია. ის ფაქტი, რომ პრეზიდენტმა მოისმინა ჩვენგან შენიშვნები და რეაგირებას დაგვპირდა, უკვე წინ გადადგმული ნაბიჯია,"** – აღნიშნავს "კავკასიური სახლის" წარმომადგენელი, პოლიტოლოგი გია ნოდია.

პრეზიდენტმა გუშინ მართლმსაჯულების სფეროში განსახორციელებელ რეფორმებზეც გაამახვილა ყურადღება. სააკაშვილის განცხადებით, უახლოეს ხანებში საქართველოში მუნიციპალური პოლიცია ჩამოყალიბდება. ასევე, ამოქმედდება მუნიციპალური ადვოკატის ინსტიტუტიც.

ამ ინიციატივის თანახმად, მუნიციპალური პოლიციის უფროსებს შესაბამისი რაიონების მოსახლეობა აირჩევს.

გარდა ამისა, მართმსაჯულების სისტემაში სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელებაც იგეგმება. კერძოდ, მომავალი წლიდან ამოქმედდება ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, წინასწარი პატიმრობის ვადა კი სამ თვემდე შემცირდება (ამჟამად წინასწარი პატიმრობის ვადა ცხრა თვიანია). ამასთან, სამართალდამცველებს, დანაშაულის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში, წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელების საშუალება აღარ მიეცემათ.

**"სამოქალაქო უფლებების კუთხით პრეზიდენტი საკმაოდ საინტერესო ინიციატივებით გამოვიდა. ყველაზე მტკივნეული საკითხი დღეს ეფექტური მართლმსაჯულების სისტემის შექმნაა. ვისაუბრეთ იმაზე, თუ რა უნდა გაკეთდეს, რომ სასამართლო იყოს არაკორუმპირებული და არ განიცდიდეს ხელისუფლების ზეწოლას,"** – აღნიშნა პარლამენტარმა გიგა ბოკერიამ.

პრეზიდენტთან შეხვედრით არასამთავრობო სექტორის თითქმის ყველა წარმომადგენელი კმაყოფილი ჩანდა. უკმაყოფილო იყო მხოლოდ ირაკლი მელაშვილი, რომელმაც კანცელარიის შენობა სხვებზე ადრე დატოვა. **"მე აქ სულ სხვა საკითხებზე სასაუბროდ მოვედი, მაგრამ იქ ამ თემებზე არ ლაპარაკობენ... ამიტომ ოთახიდან გამოვედი, რათა ჩემი ოპოზიციური განწყობით მათი იდილია არ დავარღვიო,"** – აღნიშნა მელაშვილმა.

არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა თქმით, ხელისუფლებას, შესაბამისი სურვილის შემთხვევაში, გაცილებით უფრო მეტის გაკეთება შეუძლია. გუშინდელ შეხვედრას ისინი "წინ გადადგმულ ნაბიჯს" უწოდებენ და ერთი თვის თავზე პრეზიდენტთან მორიგი პაემანის იმედი აქვთ.

**"ეს დიალოგის საკმაოდ კარგი ფორმაა. უნდა დავაფასოთ ის, რომ პრეზიდენტი ანგარიშს უწევს სამოქალაქო საზოგადოებაში არსებულ პრობლემებს. არა მგონია, ჩვენი შეხვედრები უშედეგო იყოს, მთავარია დიალოგი გაგრძელდეს,"** – აცხადებს გაზეთ "24 საათის" ომბუდსმენი ნოდარ ლადარია.

# ევროპისკენ – ქართული გულარხეინობით?

გიორგი ასანიშვილი

*ქართველი პოლიტიკოსები, სიტყვით, ევროპულ ფასეულობებსა და ღირებულებებს ეთაყვანებიან, საქმითა და საქციელით კი, ზოგჯერ, მოუწესრიგებელი ადამიანების შთაბეჭდილებას ტოვებენ. საქართველოს პარლამენტში სტუმრად მიბრძანებულ ევროსაბჭოს სოლიდურ დელეგაციასთან შეხვედრა გუშინ ლამის ჩაიშალა იმის გამო, რომ მასპინძელმა მხარემ... დაიგვიანა და თან, არასრულად იყო წარმოდგენილი.*

**"ამაზე მაღალი რანგის ელჩები ევროსაბჭოში აღარ არიან. მათ "დემოკრატიული სტაბილურობის ჯგუფად" მოიხსენიებენ და ქართულ მხარეს ყველაფერში ეხმარებიან. პარლამენტში მათ შესაფერისად უნდა დახვედროდნენ. პროტოკოლის მიხედვით, დელეგაციას გიგა ბოკერია უნდა შეხვედროდა, მაგრამ საკანონმდებლო ორგანოში მოვსვლისას გაირკვა, რომ იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, კანონპროექტებზე სამუშაოდ, გუდაურში ყოფილა წასულა,"** - მავანთა უყურადღებობის, უპასუხისმგებლობის თუ დაუდევრობის გამო, აღშფოთებას ვერ მალავდა სტუმართა დელეგაციის თანმხლები ლანა ღოღობერიძე, საქართველოს წარმომადგენელი ევროკავშირში.



იური ლობოდინის ფოტო

*უკვე წასასვლელად გამზადებული ევროელჩები ბოლო მომენტში დააბრუნეს დარბაზში.*

ქართული მხარე უხერხული მდგომარეობიდან ნაწილობრივ გიორგი არველაძემ გამოიყვანა, რომელიც შეხვედრაზე 10 წუთის დაგვიანებით მივიდა და, ელენე თევდორაძის დახმარებით, უკან გასაბრუნებლად გამზადებული დელეგაცია დარბაზში დააბრუნა. ამის შემდეგ კიდევ ორიოდე დეპუტატიც გამოჩნდა და ევროსაბჭოს წევრი ქვეყნების ელჩების მონიტორინგის ჯგუფთან (ხელმძღვანელი, შვეიცარიის წარმომადგენელი ევროსაბჭოში, ჟან-კლოდ ჟოზეფი) შეხვედრა ჩაშლას გადარჩა.

გიორგი არველაძის თქმით, ევროსაბჭოს ელჩებთან საუბარი, ძირითადად, იმ საკანონმდებლო ინიციატივებს შეეხო, რომლებიც ამჟამად განიხილება პარლამენტში. ეს არის, კერძოდ, კანონპროექტი "მაუწყებლობის შესახებ" და საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შეტანა, რომელიც საარჩევნო ადმინისტრაციების პროფესიული ნიშნით დაკომპლექტებას ითვალისწინებს.

**"მონიტორინგის ჯგუფის მთავარი დირექტივა, რასაც მთლიანად ვიზიარებთ, ის არის, რომ ასეთი სახის კანონპროექტების განხილვის დროს ევროსტრუქტურებთან ვითანამშრომლოთ,"** - ასეთია "ნაციონალური მოძრაობის" გენერალური მდივნის რეზიუმე.

გუშინვე ევროსაბჭოს წევრი ქვეყნების ელჩების მონიტორინგის ჯგუფი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს უნდა მიეღო.

# "უკულტურო" დეპუტატი და განრისხებული რწმუნებული

პირველი გვერდიდან

მმართველი პარტიის ბოლნისის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა კობა დვალიშვილმა მას ობსტრუქცია მოუწყო და ლამის სხდომა ჩაუშალა.

ობსტრუქცია, თავისთავად, პროტესტის და ბრძოლის მეთოდია, მაგრამ როცა ამას პრეზიდენტის პარტიის ერთ-ერთი ლიდერი პრეზიდენტის რწმუნებულს უკეთებს, ჩნდება კითხვა - რა უნდათ ამ ადამიანებს?!

**"არ მინდა ამაზე ბევრი საუბარი, მოკლედ ვიტყვი - დღეს ბოლნისის ხელისუფლება არ წარმოადგენს ხალხის ნებას. მე პირადად ვაყენებ რაიონის გამგებლის და მისი მთელი გუნდის წასვლის და პასუხისმგებლობის საკითხს. დღევანდელი სხდომა წინა ხელისუფლების სხდომებს მაგონებს, აქედან გამომდინარე, მე ვამთავრებ ამ საკითხზე საუბარს და გთხოვთ, მეგობრებო, დავტოვოთ დარბაზი,"** - "ობსტრუქციონისტი" დვალიშვილის ამ გამოსვლას გუბერნატორის მხრიდან მწვავე რეაქცია მოჰყვა. მისი ყვირილი ბოლნისის გამგეობის დარბაზში შეკრებილი 200-მდე ადამიანის ხმას ფარავდა: **"ადექით, მიდიხართ, მამალაძე ხომ არ გგონივართ... ვის უტოვებთ დარბაზს?!"**

დვალიშვილს და მის 15-მდე მომხრეს გუბერნატორისთვის ყურადღება არ მოუქცევიათ.

**"წავიდნენ, მაგათ თანამდებობები აინტერესებთ, ხალხი კი არა,"** - ისმოდა დარბაზში.

**"8 თვეა, რაც ბოლნისის გამგებელი ვარ და ამ ხნის მანძილზე რაიონში 41 ხელმძღვანელი პირია შეცვლილი. მე არ მაქვს საშუალება საკადრო საკითხები გადავწყვიტო. ამ რეჟიმში მუშაობა შეუძლებელია, საქმეზე ვიფიქრო თუ შიდაპარტიულ დაპირისპირებაზე, რომელიც არ მინდა რომ არსებობდეს, მაგრამ, ფაქტია, რომ არსებობს,"** - ამის თქმა ბოლნისის გამგებელმა ზვიად ვეშაპიძემ მანამდე მოასწრო, სანამ დვალიშვილი თავის წინასწარდაგეგმილ ობსტრუქციას განახორციელებდა.

მანამდე ისიც ითქვა, რომ ბოლნისის რაიონის ათმილიონნახევრიან ბიუჯეტში ახალმა ხელისუფლებამ აქცენტი შრომის ანაზღაურების გაზრდაზე და სოციალურ სფეროებზე გააკეთა:

10 300-მა ბოლნისელმა პენსიონერმა გაზრდილ პენსიაზე დამატებით კიდევ სამი ლარი მიიღო რაიონის ბიუჯეტიდან; ჯანდაცვა ათის ნაცვლად 13 პროცენტით დაფინანსდა და ბოლნისელებისთვის სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტების დიდი ნაწილი, ბიუჯეტის ხარჯზე, უფასო გახდა; ბიუჯეტმა თავის თავზე აიღო 400 უმწეო მოხუცის ყოველდღიური კვება და რაიონის მოსახლეობის წყლის გადასახადის გადახდა; გამგეობამ შეიძინა 2 ახალი უცხოური წარმოების ავტობუსი, რომელიც რაიონის შიგნით მოძრაობს და მგზავრობის ფასი, სულ რაღაც, 20 თეთრია; 2500-მა ბოლნისელმა გამგეობიდან ერთჯერადი დახმარება მიიღო; გაიწმინდა და მოწესრიგდა სარწყავი არხები - ამ და კიდევ ბევრ გაკეთებულ საქმეზე ოთხი საათის მანძილზე აბარებდნენ ანგარიშს სხვადასხვა სამსახურების უფროსები გუბერნატორს და რომ არა თანაპარტიელი დვალიშვილის "უკულტურობა" (ასე შეაფასა გუბერნატორმა მისი ქმედება), ბოლნისში არსებული შიდაპარტიული დაპირისპირების ამბავი საინფორმაციო საშუალებებში არც გაჟონავდა.

**"მე ვერავის მივცემ უფლებას, ლიმიტირებული გახადოს პარტიის ოფისში შესვლა და ყრილობებში ან კონფერენციებში მონაწილეობის მიღება. ეს პარტია არავის არავისთვის უჩუქნია. კობა დანიშნულია ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელად, მე პატივს ვცემ ცენტრალური ოფისის გადაწყვეტილებას, მაგრამ სხვებს აქ უფრო მეტი აქვთ გაკეთებული და დღეს ჩუმად სხედან. თანამდებობის გულისთვის კინკლაობა დაუშვებელია,"** - ასეთი იყო ქვემო ქართლის გუბერნატორის "ვერდიქტი".

**"გამგებელი კონკრეტული ფაქტებით უნდა გააკრიტიკდეს. მივცეთ მას საკუთარი კადრების დანიშვნის საშუალება. პრეზიდენტის პოზიცია ყველამ ვიცით, მას საქმის მკეთებელი კადრები სჭირდება და მე მოხარული ვარ, რომ ბოლნისის რაიონის ბიუჯეტი ისე სრულდება, როგორც დაიგეგმა და ბევრი რამ გაკეთდა ხალხისთვის,"** - განაცხადა ბოლნისის მაჟორიტარმა დეპუტატმა სოფო ლარცულიანმა.

# დიალოგი პრეზიდენტთან

დალი კუპრავა

*თემა, რომელსაც ტექნიკურ უნივერსიტეტში გუშინდელი შეხვედრა მიეძღვნა, "ვარდების რევოლუციის", როგორც ისტორიულ-პოლიტიკური კანონზომიერების, წლისთავის აღნიშვნა იყო.*



იური ლობოდინის ფოტო

*პრეზიდენტი ორი საათის განმავლობაში პასუხობდა ტექნიკური უნივერსიტეტის პედაგოგებისა და სტუდენტების შეკითხვებს.*

ჩვენ ვართ ქვეყანა, ჩვენ გვაქვს კანონები, ჩვენ გვაქვს სისტემა და ამას პატივი უნდა სცეს მსოფლიოს ყველა ქვეყნის მოქალაქემო, - განაცხადა პრეზიდენტმა გუშინდელ შეხვედრაზე. უმთავრესად კი, ეს საქართველოს ხელისუფლებას და მოქალაქეებს მოეთხოვებათ, რომლებიც, პრეზიდენტის თქმით, ჯერჯერობით ჰიმნის, დროშის და გერბის პატივისცემასაც ჯეროვნად ვერ გამოხატავენ. პატრულის მიერ პარლამენტარ ნიკა კვეზერელის დაკავება პრეზიდენტმა აღნიშნა, როგორც კანონის უკომპრომისობის, კანონიერების უზენაესობის ფაქტი. ასეთი რამ უწინ არ მოხდებოდაო, თქვა მან.

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ისაუბრა რევოლუციის შემდგომ ერთ წელზე, რომელიც არ ყოფილა "არაფრის მომტანი". მისი განცხადებით, რაც გაკეთდა, ეს არის ჯებირი, აუცილებელი ნაბიჯები, რომლის გარეშე ვერც ეკონომიკა და ვერც სოციალური პრობლემები ვერ მოგვარდება. ინვესტორი კაპიკსაც არ ჩადებს კანონით დაუცველ ქვეყანაში.

საქართველოს პრეზიდენტმა პასუხი გასცა ყველა შეკითხვას, რომელიც ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების აუდიტორიაში დაისვა. მან ხაზი გაუსვა, რომ დღევანდელი ვითარება განსაკუთრებით მოითხოვს ტექნიკური დარგების აღორძინებას, რადგან საქართველო მომხმარებელი ქვეყნის ჩარჩოდან უნდა გამოვიდეს და მწარმოებელი ქვეყანა უნდა გახდეს.

აუცილებლად აღდგება ხუდონ-ჰესიც, იმუშავებს რუსთავის მეტალურგიული და რუსთავის ფეროშენადნობთა ქარხნები, მაგრამ აუცილებელია იმ ტექნიკური სპეციალობების პედაგოგთა შენარჩუნება და სპეციალისტების მომზადება, რაც ამ სფეროებს სჭირდება. ტექნიკური უნივერსიტეტი მან დაასახელა ქვეყნის საუკეთესო უმაღლეს სასწავლებელთა რიცხვში და მისი ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობას გაუსვა ხაზი. მანვე მომავალ თაობას "უწინასწარმეტყველა", რომ იგი, განსხვავებით მისი თაობისაგან, იქნება რთულ პერიოდში გამოზრდილი, მშობლებზე და ბებია-პაპებზე მზრუნველი თაობა. განათლება სწორედ ის უპირობო პრიორიტეტია, რომელიც ნებისმიერ ქვეყანას და, მით უმეტეს, საქართველოსავით მაღალი ინტელექტუალური რესურსის მქონე ქვეყანას, სწრაფად გაამდიდრებს.

რაც შეეხება პოლიტიკური რევანშიზმით შეპყრობილ ძალებს, მათ განათლება საკუთარი მიზნებისთვის არ უნდა გამოიყენონ, თავი უნდა დაანებონ წყლის ამღვრევას და საზოგადოებაში უნდობლობის დათესვის მცდელობას. თუ რომელიმე მათგანი მართლა დაინტერესდება და განათლების კანონპროექტებში ჩაიხედავს, ნათლად დაინახავს იმ სიკეთეს, რითაც ის საქართველოს მომავალ თაობას "ემუქრება".

# კარგს კარგი უნდა ვუწოდოთ, – ამბობენ მედიკოსები

გუშინ ჟურნალისტთა სახლში საქართველოს სამედიცინო საზოგადოება უმაღლესი განათლების კანონს უჭერდა მხარს. საქართველოს მედიკოსთა ასოციაციის თაოსნობით მოწყობილ შეხვედრას სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის, სამედიცინო აკადემიისა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

როგორც სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორმა ბესარიონ კილასონიამ აღნიშნა, ექიმები რომ პირველები გამოვიდნენ პროექტის დასაცავად, შემთხვევითი არ არის - სამედიცინო ფაკულტეტი უძველესი ფაკულტეტია საქართველოში. პროექტის მიხედვით, "პრუსიული" ვერტიკალური მართვის სისტემიდან უმაღლესი სკოლა "ანგლოსაქსურ"-ზე - სპიკერს, კანცლერსა და სენატს შორის გადანაწილებულ მართვის სისტემაზე გადადის. უმაღლეს სასწავლებლებში იზრდება ფაკულტეტების პრესტიჟი, პედაგოგის როლი. პროფესორმა აღნიშნა ისიც, რომ პროექტი, ძირითადად, მორგებულია მრავალდარგიან უმაღლეს სკოლას და ისეთი სპეციფიური ერთდარგიანი უმაღლესი სკოლისთვის, როგორიც სამედიცინო უნივერსიტეტია, დასახვეწია კათედრის როლი და უფლებები. მანვე აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა, კანცლერის ცენზიც განსაზღვრული იყოს - რა პროფესიის უნდა იყოს კანცლერი. გარდა ამისა, მისივე შენიშვნით, ვაუჩერების სისტემამ შეიძლება კორუფციის მორიგი საშიშროება წარმოშვას, რაც საბოლოოდ განათლების დონეს ავნებს. კერძოდ კი, არის საშიშროება, რომ თუ უმაღლესში სწავლის განმსაზღვრელი სტუდენტის სურვილი იქნება, მაშინ მას თავისი ვაუჩერით პედაგოგის და, შესაბამისად, მთელი ინსტიტუტის დატერორება შეეძლება: "დამიწერე კარგი ნიშანი, თორემ სხვაგან წავალ!"

რაც შეეხება მისაღები გამოცდების ახალ სისტემას, ეროვნული გამოცდების მოდელი შეხვედრაზე დახასიათდა, როგორც უტყუარი საშუალება, რომ უცოდინარი აბიტურიენტები სტუდენტები არ გახდნენ და ეს საუკეთესო მოტივაციაა იმისათვის, რომ სკოლებში სწავლის დონე ამაღლდეს.

სამედიცინო აკადემიის რექტორმა გია მენაბდემ ხაზი გაუსვა იმას, რომ სამედიცინო განათლება უწყვეტი, მთელი ცხოვრების ხანგრძლივობის კონტინიუმია დიპლომამდე და დიპლომის შემდეგ. კარგია, რომ პროექტში რეზიდენტურა "დიპლომს გარეთ" არის გამოტანილი, თუმცა განათლების შესახებ კანონი დიპლომამდე პერიოდს უნდა მოიცავდეს. რაც შეეხება რეზიდენტურას, ამ სფეროს უნდა განაგებდეს კანონი საექიმო საქმიანობის შესახებ, რადგან რეზიდენტი იგივე ექიმია, რომელიც პასუხისმგებელია ჯანდაცვის სეგმენტში.

შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს დეპარტამენტის თავმჯდომარემ დიმიტრი კორძაიამ აღნიშნა, რომ კანონის შემქმნელები თვითმიზანს კი არ ემსახურებიან, არამედ ქმნიან შესაბამის იურიდიულ საფუძველს კარგი უმაღლესი განათლებისათვის - სხვა რამ კი კანონს არ ევალება. დანარჩენი პროფესიონალიზმსა და პატიოსნებაზეა დამოკიდებული. უმაღლესი განათლების კანონი რომ კარგია, ამას ისიც ადასტურებს, - აღნიშნა დიმიტრი კორძაიამ, - რომ პარლამენტმა განათლების კანონი გვერდზე გადადო და ამ პროექტით დაიწყო საპარლამენტო განხილვა.

სამინისტრო მზად არის, აკრედიტაციის "ტვირთიც" განათლების სამინისტროსთან ერთად გადაინაწილოს. საერთოდ კი, საზოგადოების ნაწილში კარგის არდანახვის და მარად ხარვეზების, ნეგატივის ძებნის ტენდენცია აღინიშნა.

*დალი კუპრავა*

## მოკლედ

### ევროკავშირი განცხადების გაკეთებისგან თავს იკავებს

საქართველოს ხელისუფლების თხოვნის მიუხედავად, ევროკავშირი ამ ეტაპზე თავს იკავებს აფხაზეთთან დაკავშირებით განცხადების გაკეთებისგან. მიზეზად რუსეთის მხრიდან საქართველოს მიმართ ურთიერთობის დათბობა და უკრაინაში მიმდინარე საპრეზიდენტო არჩევნები სახელდება.

ამის შესახებ ჟურნალისტებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა სალომე ზურაბიშვილმა განუცხადა, რომელმაც გუშინ ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ჰაიკი ტალვიტიე მიიღო და მას ევროკავშირის მიერ აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით განცხადების გაკეთება სთხოვა.

ზურაბიშვილის თქმით, მომავალ კვირას ევროკავშირისა და რუსეთის წარმომადგენლების შეხვედრა იგეგმება, რომელზეც კავკასიის რეგიონში სტაბილურობის საკითხს განიხილავენ. თუმცა, განიხილავენ თუ არა ამ შეხვედრაზე აფხაზეთის საკითხს, საქართველოს საგარეო უწყებისთვის, ჯერჯერობით, უცნობია.

გუშინვე სალომე ზურაბიშვილმა მადლობა გადაუხადა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს სერგეი ლავროვს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარებისთვის. **ინტერ-პრესი**

### კონკურსი სამოქალაქო თანამდებობებზე

თავდაცვის სამინისტრო თბილისის სამობილიზაციო შტაბებში (ყოფილი კომისარიატები) სამოქალაქო თანამდებობებზე არსებული ვაკანსიების შესავსებად კონკურსს ატარებს.

9 ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში, რომელიც ეროვნული გვარდიის დეპარტამენტში დღეს დილით გაიმართება, მონაწილეობას თბილისის კომისარიატების 33 თანამშრომელი მიიღებს.

სამანდატო კომისია, კონკურსანტთა პროფესიონალიზმის შეფასების შემდეგ, კადრებს შრომის კანონთა კოდექსით გათვალისწინებული პრიორიტეტების მიხედვით შეარჩევს. უპირატესობა მრავალშვილიან ან მარტოხელა დედებს მიენიჭებათ.

პროცესის გამჭვირვალობისათვის გვარდიის სამმართველოში დაგეგმილ კონკურსს სახალხო დამცველის ოფისის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მასმედიის წარმომადგენლები დაესწრებიან. **პრაიმ-ნიუსი**

### ცხინვალის კონფლიქტის დარეგულირების საკითხების განხილვა

ცხინვალის რეგიონში კონფლიქტის დარეგულირების საკითხები განიხილეს კონფლიქტების დარეგულირების საკითხში სახელმწიფო მინისტრმა გიორგი ხაინდრავამ და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ევროკავშირის სპეციალურმა წარმომადგენელმა ჰაიკი ტალვიტიემ.

როგორც შეხვედრის შემდეგ ხაინდრავამ ჟურნალისტებს განუცხადა, ქართულმა მხარემ აუხსნა ევროკავშირის წარმომადგენელს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია საქართველოსთვის ცხინვალის რეგიონის დემილიტარიზაცია, რადგან ამის გარეშე შემდგომ ნაბიჯებზე საუბარი შეუძლებელი იქნება.

ხაინდრავას განცხადებით, საქართველოს სჭირდება ევროკავშირის პრინციპული პოზიცია რუსეთთან ურთიერთობაში. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი შეთანხმება არსებობს, რომელზეც გარანტად მოსკოვის ხელმოწერებია, მათ შორის - სოჭის 5 ნოემბრის დოკუმენტზე, იარაღი ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე დღემდე შემოდის.

მისი თქმით, ევროკავშირმა 2,5 მლნ ევრო გამოყო ცხინვალის რეგიონის რეაბილიტაციაზე და დაინტერესებულია ამ პროგრამის განხორციელებით, მაგრამ მათ ისიც ესმით, რომ დემილიტარიზაციის გარეშე ეს შეუძლებელია.

როგორც შეხვედრის შემდეგ ჰაიკი ტალვიტიემ ჟურნალისტებს განუცხადა, იგი ოთხშაბათს ცხინვალში მიემგზავრება .

მისი განცხადებით, ევროკავშირი კონფლიქტის დარეგულირებაში ნებისმიერ წინგადადგმულ ნაბიჯს მიესალმება. **პრაიმ-ნიუსი**

### საჩხერეში რეზერვისტთა მორიგი წვრთნა დაიწყო

საჩხერეში, "კომანდოს" ბატალიონის ბაზაზე, გუშინ რეზერვისტთა მორიგი ნაკადის წვრთნა დაიწყო.

რეზერვისტთა ბანაკის საზეიმო გახსნას თავდაცვის მინისტრი გიორგი ბარამიძე გეგმავდა, თუმცა საჩხერეს გუშინ მხოლოდ სახელმწიფო მინისტრი ზურაბ მელიქიშვილი ეწვია.

ახალი ბანაკი სამეგრელოს რეგიონიდან ჩასული 332 რეზერვისტისთვის გაიხსნა, რომლებიც ერთი თვის განმავლობაში საბრძოლო წვრთნას გაივლიან.

მანამდე, აღნიშნულ ბანაკში იმერეთისა და კახეთის მხარეების 700-მდე რეზერვისტი გაიწვრთნა. **ინტერ-პრესი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ქართულ-აფხაზურ კონფლიქტის ზონაში ნოემბრის ბოლოდან დსთ-ს სამშვიდობო ძალების როტაცია დაიწყება, რომელიც დეკემბრის პირველ რიცხვებში დასრულდება. ამჯერად უსაფრთხოების ჩრდილოეთ ზონას სამშვიდობო ბატალიონის პირადი შემადგენლობა დატოვებს და მათ რუსეთის 58-ე არმიის მაიკოპის ბრიგადის ერთ-ერთი ბატალიონი ერთი წლით შეცვლის. ამასთან, კონფლიქტის ზონა უკვე დატოვა დსთ-ს სამშვიდობო ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსმა იური ნაუმოვმა, რომელსაც როტაციის ვადა ამოეწურა. მისი შემცვლელის ვინაობა ჯერ ცნობილი არ არის. **მედია-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

## ფოტო-რეპორტაჟები რადიო *მწვანე ტალღის* სტუდიიდან

**რადიო მწვანე ტალღის ეთერში FM 107.4 ყოველ სამშაბათს და შაბათს 11-დან 12 საათამდე უსმინეთ გადაცემას დილის სასამართლო. გავასამართლოთ სხვადასხვა მოვლენები, ისტორიული პირები და ლიტერატურული პერსონაჟები. გამოიტანეთ თქვენი ვერდიქტი, რადგანაც 12 ნაფიცი მსმენელი იქნებით თქვენ.**

### მატეო ფალკონეს პროცესი





**განსასჯელი ლიტერატურული პერსონაჟი** - პროსპერ მერიმეს მატეო ფალკონე
**პროკურორი** - მწერალი დავით-დეფი გოგიბედაშვილი
**სახაზინო ადვოკატი** - მწერალი ზაალ სამადაშვილი
**ბრალი ედება**- ზედმეტ სისასტიკესა და შვილის მკვლელობაში
**განჩინება** - სამუდამო სიცოცხლე - დაუსჯელობით დასჯა

**ვერდიქტი** - მატეო ფალკონე (7 ხმა 5-ის წინააღმდეგ) სასამართლომ ცნო დამნაშავედ და დააკმაყოფილა პროკურორის მოთხოვნა.

**12 ნაფიცი მსმენელი :**
1. ანონიმი (უდანაშაულოა) 2. ანონიმი (უდანაშაულოა) 3. ზურა ნადირაშვილი (დამნაშავეა) 4. ზურა წერეთელი (დამნაშავეა) 5. ანონიმი (უდანაშაულოა) 6. სოფო ლაფერდაშვილი (უდანაშაულოა) 7. დოლორეს დავითულიანი (დამნაშავეა) 8. რამაზ ჭიგოშვილი (დამნაშავეა) 9. ავთანდილ ბიგანიშვილი (დამნაშავეა) 10. გოგა დვალიშვილი (დამნაშავეა) 11. ანონიმი (დამნაშავეა) 12. ანონიმი (უდანაშაულოა)

# შობადობის ფილოსოფია

პირველი გვერდიდან

**- შეიძლება თუ არა ითქვას, რომ თუნდაც შორეულ მომავალში ქართულ გენოფონდს გადაშენების საშიშროება ელის?**

- დემოგრაფიულ კატასტროფაზე ლაპარაკი გადაჭარბებულად მიმაჩნია, თუმცა ისიც ფაქტია, რომ შობადობა ვეღარ უზრუნველყოფს მოსახლეობის აღწარმოებას. ეს ნიშნავს, რომ ყოველი შემდგომი თაობა ბუნებრივი გზით უფრო ნაკლები იქნება, ვიდრე წინა იყო. მაგრამ სანამ ამ პრობლემას უშუალოდ საქართველოს მაგალითზე განვიხილავდეთ, ვნახოთ, როგორია დემოგრაფიული განვითარების ზოგადი კანონზომიერება. საქმე ისაა, რომ შობადობა მხოლოდ ჩვენთან არ კლებულობს - იმ ქვეყნებშიც კი, სადაც შობადობის მაჩვენებელი ჯერ კიდევ მაღალია, ადრე თუ გვიან შობადობა მაინც დაიკლებს. ეს პროცესი პირველად დასავლეთ ევროპაში მე-18 საუკუნის ბოლოს დაიწყო. საქართველოში იგივე მე-19 საუკუნიდან შეიმჩნევა. შობადობის კლება რუსეთში კიდევ უფრო გვიან დაიწყო, მაგრამ ჩვენთან შედარებით სწრაფად წარიმართა. გარკვეული დროის განმავლობაში ჩვენს პლანეტაზე მოსახლეობის მატება აღინიშნება, მაგრამ ზრდას აუცილებლად მოჰყვება კლება.

**- უკავშირდება თუ არა შობადობის მაჩვენებელი ქვეყნის განვითარების გარკვეულ დონეს, ანუ დასაშვებია თუ არა ვარაუდი, რომ შობადობა სწორედ ეკონომიკურად განუვითარებელ ქვეყნებში იკლებს?**

- რა თქმა უნდა, შობადობა გარკვეულ კავშირშია ქვეყნის განვითარების დონესთან, თუმცა ეს კავშირი არც ცალსახაა და არც პირდაპირი. განვითარებულ ქვეყნებში შობადობის მაჩვენებელი ტრადიციულად დაბალია. ეს არის ის ხარკი, რომელსაც კაცობრიობა ცივილიზაციას უხდის. ფრანგმა დემოგრაფმა ადოლფ ლანდრიმ ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში იწინასწარმეტყველა, რომ მომავალში დემოგრაფიული განვითარების გარკვეულ საფეხურზე კაცობრიობას ამოწყდომის საშიშროება დაემუქრებოდა. მაშინ ამგვარი პროგნოზი სერიოზულად არ აღუქვამთ, პირიქით, დემოგრაფიულ ბუმზე ლაპარაკობდნენ. დღეს უნდა ვაღიაროთ, რომ ლანდრი მართალი ყოფილა. სხვათა შორის, განვითარებულ ქვეყნებში მარტო შობადობა კი არ კლებულობს, იქ დემოგრაფიული დაბერებაც (როცა დიდია მოხუცების წილი) შეიმჩნევა. მაგრამ გასათვალისწინებელია ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორიც: ჩვენთან შედარებით განვითარებულ ქვეყნებში სიცოცხლის ხანგრძლივობაც მაღალია და ჩვილთა მოკვდავობის მაჩვენებელიც ნაკლებია. ამ უკანასკნელს რაც შეეხება, საქართველო 2050 წლისთვისაც ვერ მიაღწევს იმ დონეს, რაც დღეს დასავლეთში შეიმჩნევა.

**- მაინც, რა მოხდა მე-19 საუკუნის საქართველოში?**



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*ერთი და ორი შვილი მცირეშვილიანობას ნიშნავს, სამი და ოთხი - საშუალოს, ხუთი და უფრო მეტი - მრავალშვილიანობას.*

- მოხდა გარდატეხა ადამიანის ფსიქიკაში. ადრე შობადობის პროცესი გაუცნობიერებელი იყო და აჩენდნენ იმდენ ბავშვს, რამდენიც ეყოლებოდათ, რაც, თავის მხრივ, ტრადიციებსა და ჩვეულებებზე აისახა. მას შემდეგ, რაც ადამიანმა დაიწყო ამ პროცესის გაცნობიერება, მდგომარეობა შეიცვალა. უზნაძის განწყობის თეორიით თუ ვიმსჯელებთ, იმპულსურ დონეს სოციალური დონე ჩაენაცვლა. როცა შობადობის შემცირებაზე ვლაპარაკობთ, უპირველესად უნდა ვიხელმძღვანელოთ ისეთი დემოგრაფიული კატეგორიით, როგორიცაა ბავშვების ყოლის მოთხოვნილება. რას ნიშნავს ეს? ტექნიკისა და მედიცინის განვითარებამ საგრძნობლად შეამცირა ჩვილთა და ბავშვთა მოკვდავობა. თუ ადრე მრავალი შვილიდან დედას საშუალოდ ბავშვების მცირე რაოდენობა შერჩებოდა, ქალი ბევრ შვილს აჩენდა. მაგრამ როგორც კი კლებულობს ჩვილთა და ბავშვთა მოკვდავობა - ვთქვათ, ხუთი შვილიდან ოთხი მაინც ინარჩუნებს სიცოცხლეს, ასეთ დროს ქალი უკვე ბევრ შვილს აღარ აჩენს. ცხრა ძმა ხერხეულიძის მაგალითს მინდა შევეხო. როგორც ჩანს, ცხრა ზრდასრული ძმა მაშინაც იშვიათობა იყო. მარაბდის ბრძოლაში სხვა ძმებიც დაიღუპებოდნენ გმირულად, ოღონდ ისინი ამდენი არ იქნებოდნენ და ისტორიაც მათ შესახებ დუმს. მე-19 საუკუნის ბოლოს ერთი ქალი საშუალოდ 5 შვილს სჯერდებოდა. ამ მაჩვენებელმა ნელ-ნელა იკლო და ჩვენი საუკუნის მიჯნაზე 1,4-1,7 ფარგლებში მერყეობს. მაგრამ მოსახლეობის მარტივი აღწარმოებისთვის (როდესაც მომდევნო და წინა თაობების რაოდენობა ერთმანეთს უტოლდება) საჭიროა, რომ ერთ ქალზე საშუალოდ 2,1 ბავშვი მოდიოდეს. მარტივად რომ ვთქვათ: ყოველ 100 ქალს 210 ბავშვი უნდა ჰყავდეს. შეიძლება ითქვას, რომ შობადობის შემცირება ძირითადად ბავშვების ყოლის მოთხოვნილების კლებითაა განპირობებული, თუმცა ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ სხვადასხვა მიზეზთა გამო არ ხდება ამ მოთხოვნილების ბოლომდე რეალიზება - მაგალითად, ქალს სამი შვილის ყოლა კი უნდა, მაგრამ ორის მეტს ვეღარ აჩენს.

**- მაგრამ ჩვენ გამოგვრჩა ის ნაწილი, ვისაც საერთოდ არ შეუძლია ბავშვის გაჩენა...**

- ქალების, დაახლოებით, 5 პროცენტი უნაყოფოა. ამ პრობლემას, სამწუხაროდ, ვერანაირი მატერიალური პირობების გაუმჯობესება ვერ მოხსნის, რადგან ყველა უნაყოფობა არ იკურნება. თუ სხვა ქვეყნებთან გავავლებთ პარალელს, ეს არც ისე საგანგაშო ციფრია. მაგალითად, ინგლისში პირველადი უნაყოფობა 10-15 პროცენტს შეადგენს. გასათვალისწინებელია მეორადი უნაყოფობაც - საქართველოში ეს მაჩვენებელი, დაახლოებით, 15 პროცენტია.

**- არსებობს თუ არა სახელმწიფო სტრატეგია დემოგრაფიული პრობლემების გადასაჭრელად?**

- დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება ჩვენთვის ფუფუნებაა. ამ ეტაპზე საქართველოს არ გააჩნია საამისო თანხები. ამის მიუხედავად, დემოგრაფიული პოლიტიკის მთელი რიგი ღონისძიებები, იქნება ეს ჩვილთა და დედათა მოკვდავობის შემცირება თუ სიღარიბის დაძლევა, ისედაცაა გათვალისწინებული სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამებში. დღევანდელი და ახლო მომავლის პრიორიტეტი სიღარიბის დაძლევა უნდა გახდეს. მხოლოდ ამ პრობლემის გადაწყვეტის შემდეგ გახდება შესაძლებელი აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება.

**- ეს ჩვენთან, მაგრამ რა ხდება ამ მხრივ დასავლეთში?**

- ამ პრობლემას ყველა ქვეყანა განსხვავებულად უდგება. მაგალითად, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ნულოვანი ზრდის პროგრამა გამოაცხადა, ანუ ამ ეტაპზე მათ არ სჭირდებათ მეტი მოსახლეობა. დაახლოებით ასეთივე მიდგომაა დასავლეთ ევროპაშიც. თუ გერმანია ჩათვლის, რომ საჭიროა მოსახლეობის მატება, ამ პრობლემას ერთობ მარტივად აგვარებს - უბრალოდ ცვლის მიგრაციულ კვოტას და მოსახლეობას მიგრანტების ხარჯზე ზრდის. გამოდის, რომ ამერიკელისა და დასავლეთევროპელის ეროვნული იდენტიფიკაცია სხვაგვარია, ვიდრე ჩვენი, თუმცა ევროპაშიც ყველა ერთნაირად არ ფიქრობს. მაგალითად, საფრანგეთი პრონატალისტური (შობადობის ზრდისკენ მიმართული) პოლიტიკის მომხრეა. ეს კარგად გამოჩნდა ლე პენის მაგალითზეც. ეს უკანასკნელი მიიჩნევდა, რომ ფრანგი ხალხის სირცხვილია, როდესაც ფეხბურთის ნაციონალურ ნაკრებში თერთმეტი კაციდან ცხრა აღარ არის ფრანგი.

**- 2002 წლის საყოველთაო აღწერის თანახმად 15 წლის და უფროსი ასაკის ქალს საშუალოდ ჰყავს: ქისტს და აზერბაიჯანელს - 2,7 შვილი; იეზიდს - 2,4; ოსსა და სომეხს - 2,3-2,4; ბერძენს - 2,3; აფხაზს - 2,2; ქართველს - 2,1; რუსს - 1,7. არის თუ არა იმის საშიშროება, რომ ერთ მშვენიერ დღესაც ქართველები საქართველოში ყველაზე ცოტანი აღმოჩნდებით?**

- არავითარ შემთხვევაში, პირიქით, მიგრაციის გამო ქართველების წილი მატულობს. 1989 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერამ აჩვენა, რომ ქართველები საქართველოს მოქალაქეების მხოლოდ 70 პროცენტს შეადგენდნენ, დღეს ეს მაჩვენებელი 84 პროცენტამდე გაიზარდა და მომავალშიც მატებას უნდა ველოდოთ. ახლა რაც შეეხება არაქართული მოსახლეობის დემოგრაფიულ მდგომარეობას საქართველოში. საქმე ისაა, რომ შობადობის მაჩვენებელი იქაც შემცირდა. ასე მაგალითად, 80-იან წლებში ერთი იეზიდი საშუალოდ 6 ბავშვს აჩენდა. გამოდის, რომ ერთი თაობის მანძილზე შობადობა იეზიდებში განახევრდა. ეს იმით აიხსნება, რომ მათი უმრავლესობა თბილისში ცხოვრობს. ამ შემთხვევაში შობადობის კლებაზე ურბანიზაციის პროცესმა იმოქმედა – როგორც კი მიწას მოსწყდა და მარავლსართულიან კორპუსში დასახლდა, თავს ბევრი შვილის ყოლის უფლება ვეღარ მისცა. აზერბაიჯანელების დიდი ნაწილი დღესაც სოფლად ცხოვრობს და, ამდენად, იქ შობადობა წინა წლებთან შედარებით მკვეთრად არ დაცემულა, თუმცა დაახლოებით ერთი თაობის კვალობაზე აზერბაიჯანულ მოსახლეობაშიც კლებაა მოსალოდნელი. იმის საშოშროება, რომ საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობა შიგნიდან შეიცვლება, არ არსებობს. ახლო მომავალში მივიღებთ უფრო მონოეთნიკურ ქვეყანას უფრო მცირერიცხოვანი მოსახლეობით. მიგრაციის პრობლემას თუ მივუბრუნდებით, ვნახავთ, რომ 1989 წლიდან დღემდე საქართველო დატოვა დაახლოებით 1 მილიონმა კაცმა, მათგან ერთი მესამედი ქართველია. ვინ ბრუნდება და ვინ არა, ამის სტატისტიკური მონაცემები, ჯერჯერობით, არ არსებობს. ჩვენი უმთავრესი პრობლემა მიგრაციის შეჩერებაა - ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენნაირი ქვეყნისთვის, სადაც ძალიან მოკლე პერიოდში (10-12 წელი) შობადობა თითქმის გაუსწორდა მოკვდავობას.

**- მრავალშვილიანობა დემოგრაფიული გაგებით და მრავალშვილიანობა დღევანდელი გადმოსახედიდან.**

- დემოგრაფიაში მრავალშვილიანობას სხვა შინაარსი აქვს. ერთი და ორი შვილი მცირეშვილიანობას ნიშნავს, სამი და ოთხი - საშუალოს, ხუთი და უფრო მეტი -მრავალშვილიანობას. დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, სამი შვილი მრავალშვილიანობად ითვლება და, შესაბამიად ასეთ ოჯახებს გარკვეული შეღავათები უწესდება. მაგრამ მრავალშვილიანობა დღეს დემოგრაფიულ სურათს არ ცვლის, რადგან ასეთი ოჯახების წილი მხოლოდ 5,8 პროცენტია.

**- როგორია საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიული განვითარების პერსპექტივები?**

- სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით 2002 წელს საქართველოს მოსახლეობა, არაკონტროლორებადი ტერიტორიების ჩათვლით, 4,6-4,7 მილიონი იყო. 2025 წლისთვის იგი 4 მილიონამდე შემცირდება, ხოლო 2050 წელს ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო დაიწევს და 3,3 მილიონს გაუტოლდება. აღნიშნული გაანგარიშება პროგნოზის საშუალო ვარიანტიდან გამომდინარეობს, პროგნოზის დაბალი ვარიანტით კი 2050 წლისთვის საქართველოს მოსახლეობა 3 მილიონამდე შემცირდება.

# დიდი შესაძლებლობა

### ამერიკაში მხარს უჭერენ სააკაშვილის წინადადებებს კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების თაობაზე

ირაკლი კაკაბაძე
ვაშინგტონიდან

მრავალარხიანი დიპლომატია ამერიკის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარეა. 80-იანი წლების დასაწყისში ეს ტერმინი სტრატეგიულ კვლევათა ინსტიტუტის წამყვანმა თანამშრომელმა **ჯო მონტვილმა** და გაეროში ამერიკის ყოფილმა ელჩმა, **ჯონ მაკდონალდმა** დაამკვიდრეს. ახლა ეს ტერმინი ფართოდ გამოიყენება სახელმწიფო დეპარტამენტსა და საგარეო პოლიტიკურ ისტებლიშმენტში. დღეს, მრავალარხიანი დიპლომატიის კანალები გამოყენებულია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. მათს შორის **ბოსნიაში, კოსოვოში, კვიპროსზე, ტანზანიაში, იორდანიაში, ქაშმირში (ინდოეთსა და პაკისტანს შორის), ლიბერიაში, ლიბიაში, ნეპალში, ტიბეტში** და სხვა. ეს წარმატებული მუშაობის მაგალითებია, რის შედეგადაც თავის დროზე მეტად სისხლიან კონფლიქტებს სიტუაციის დარეგულირება მოჰყვა და ახლა მშვიდობიანი თანაცხოვრებისათვის დიალოგი მიმდინარეობს. ქაშმირში დაწყებულ ინიციატივას - საქმიან წრეებს შორის ურთიერთობების დამყარების შესახებ - მხარი დაუჭირეს პრეზიდენტმა მუშარაფმა და პრემიერ-მინისტრმა სიგჰმა. ამ წინადადებამ საკმაო პროგრესი მოიტანა ინდო-პაკის მოლაპარაკებებში ქაშმირის საკითხთან დაკავშირებით. ბიზნეს წრეების ინიციატივით დაწყებული სამშვიდობო მოლაპარაკებები უკვე სხვა პროფესიულ დონეებზე გადავიდა. ახლა ფერმერები და მასწავლებლები საუბრობენ ერთიანი ქაშმირის მომავალზე. ასევე, მრავალი შეიძლება ითქვას კვიპროსის სამშვიდობო პროცესზე, რომელიც მრავალარხიანი დიპლომატიის ინსტიტუტმა 1992 წელს დაიწყო. ახლა სამშვიდობო მოლაპარაკებები გადამწყვეტ ფაზაშია შესული და უკვე საკმაოდ შთამბეჭდავ შედეგებს უჩვენებს. ამ ინსტიტუტის დირექტორთა საბჭოს წევრებს შორის არიან მსოფლიო ბანკის პოსტ-კონფლიქტური დივიზიის უფროსი **ნად კოლეტა**, ამერიკული ინსტიტუტის მთავარი მკვლევარი **ტომ დონაჰიუ**, ბოსნიის ოპერაციის ერთ-ერთი წარმმართველი, გენერალი **უილიამ ნეში** და სხვები.

მრავალარხიანი დიპლომატიის შედეგები გაცილებით უფრო შთამბეჭდავია, ვიდრე ტრადიციული ძალოვანი მიდგომისა. სწორედ ამიტომაა, რომ დღეს ამერიკის საგარეო პოლიტიკურ ისტებლიშმენტში "მეორე არხის" გზით კონფლიქტების მოგვარება ბევრად უფრო პოპულარული კონცეფციაა, ვიდრე ტრადიციული კისინჯერიანული "რეალური" მიდგომა, რომელიც ძირითადად სამხედრო ძალაზე დაყრდნობას გულისხმობს. 90-იანი წლების შუაგულიდან შეერთებული შტატების საგარეო უწყებაში მეტად დიდი როლი უჭირავს კონფლიქტის გადაჭრისას ალტერნატიული და მშვიდობიანი გზების ძიებას. რა თქმა უნდა, ერაყისა და ავღანეთის შემთხვევაში სამხედრო ძალა გამოიყენეს, მაგრამ მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის ჩათვლით, მრავალარხიანი დიპლომატია დღესაც მუშაობს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბევრისათვის მოულოდნელად ბუშის ადმინისტრაციამ ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოში ამ ბოლო ხანებში მნიშვნელოვნად გაზარდა კონფლიქტების მოგვარებისა და დარეგულირების განყოფილების ბიუჯეტი 10 მილიონიდან 400 მილიონამდე. ახლა ეს განყოფილება მეტად მნიშვნელოვანი მონაწილე ხდება საგარეო პოლიტიკის წარმართვისა. ბუშის უკანასკნელმა განცხადებამ, რომლითაც მან ტონი ბლერთან ერთად მხარი დაუჭირა მშვიდობიანი გზით პალესტინის სახელმწიფოს შექმნას, იმის ნიშანი გააჩინა, რომ ამერიკის პრეზიდენტის ადმინისტრაცია, ამ არჩევნების შემდეგ, მშვიდობიანი მოლაპარაკებების გზით პრობლემების მოგვარებას ბევრად უფრო სერიოზულად უყურებს.

მაინც, რა არის მრავალარხიანი დიპლომატიის მთავარი დებულებები? აქ ძირითადად 12 კომპონენტს გამოყოფენ, რომელთა გარეშეც შეუძლებელია წარმატებული მოლაპარაკება. ესენი არიან: **ურთიერთობები, გრძელვადიანი მუშაობის ვალდებულება, პატივისცემა განსხვავებული კულტურებისა, პარტნიორობის მოდელი, მრავალტექნოლოგიურობა ანუ სხვადასხვა ტექნოლოგიების გამოყენება სხვადასხვა სიტუაციაში, ფასილიტაცია ანუ მხარეებისათვის ხელშეწყობა, ძალის მიცემა ჩაგრულთათვის, კვლევა ქმედების დროს, მოწვევის საფუძველზე ოპერირება, ნდობის ფაქტორი, ანგაჟირებულობა ანუ პროცესში მთლანად ჩაბმა და ტრანსფორმაცია**. ეს ელემენტები ყველა წარმატებული სამშვიდობო და მოლაპარაკების პროცესის ნაწილია. დღეს უკვე მეტად უხერხულია ლაპარაკი ძველ, იმპერიალისტური აზროვნებისა თუ ქმედებების ფორმებზე. იმპერიების დრო მიდის და თუ კი არ მოხდა იმპერიალისტური აზროვნების ტრანსფორმირება უფრო თანასწორუფლებიან მოდელზე, დიდი აფეთქებები და ძალადობა გარდაუვალი ხდება.

ამერიკის საგარეო პოლიტიკის ისტებლიშმენტის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი შესაკრები ადგილი მასაჩუსეტს-ავენიუზე განლაგებული კოსმოსის კლუბია. ეს კლუბი ჰარიმანის, ქენანის, კისინჯერის, მაკდონალდის, ოლბრაიტის, ბჟეზინსკისა და სხვა წამყვან ექსპერტთა ადგილსამყოფელია. ამ კლუბის სტუმრებს შორის ყოფილან საქართველოს ამჟამინდელი პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, თავდაცვის მინისტრი და სხვები. ეს ვარდების რევოლუციამდე ხდებოდა. ახლა, ვარდების რევოლუცია იქცა ერთ-ერთ მისაბაძ მოდელად მთელ მსოფლიოში სოციალური ცვლილებების ძალადობის გარეშე განხორციელების საქმეში. თუმცა, თქმა არ უნდა იმას, რომ ამ პროცესის მდგრადობა წლების განმავლობაში მეტად რთული შესანარჩუნებელია. ამერიკის საგარეო პოლიტიკის ისტებლიშმენტის წარმომადგენლები ამბობენ, რომ საქართველოს ახლა უდიდესი შესაძლებლობა აქვს, რათა მსოფლიოს მშვიდობიანი განვითარების საქმეში მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს. საქართველოს ხელისუფლების ამჟამინდელი პოლიტიკის შეფასებისას ამერიკელი ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ისინი მიესალმებიან პრემიერ-მინისტრის, საგარეო საქმეთა და ეკონომიკის მინისტრების წინადადებებს კოფნლიქტის რეგიონების დემილიტარიზაციის თაობაზე. სააკაშვილის სამშვიდობო დიპლომატია მისი პოლიტიკის უძლიერესი ნაწილია, რომელსაც გამოძახილი არა მხოლოდ საქართველოში აქვს. ახალი რეალობები ისეთია, რომ მილიტარიზმისა და იარაღის ჩხარუნის დრო წარსულს ჩაბარდა. ბირთვული იარაღის ეპოქაში პატარა სახელმწიფოების შეიარაღებისა არავის ეშინია, რადგანაც მათ დაახლოებით იგივე ბედი ელით, რაც სადამ ჰუსეინის ერაყს, მაგრამ განუზომლად დიდია სამშვიდობო ინიციატივების ადგილი.

საქართველოს ეკონომიკის მინისტრის მოადგილესთან, ვატო ლეჟავასთან შეხვედრის დროს, მრავალარხიანი დიპლომატიის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა განსაკუთრებით გამოყვეს სააკაშვილისა და ბენდუქიძის სამშვიდობო ეკონომიკური წინადადებები. ეკონომიკური განვითარება, როგორც კონფლიქტების მოგვარების საუკეთესო გზა – ეს არის ნებისმიერი ჩიხური სიტუაციიდან გამოსავალი. ელჩმა მაკდონალდმა მხარი დაუჭირა საქართველოს საგარეო საქმეთა და ეკონომიკის მინისტრების ხედვას ამ საკითხთან დაკავშირებით. მაშინ, როდესაც რუსეთი საკუთარ იმპერიულ პოლიტიკას უკვე ასე აშკარად ავლენს, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული მხარის კონსტრუქციულ პოზიციას. ამერიკელი საგარეო ექსპერტების აზრით, ნოემბრის დასასრული მეტად რთული პერიოდი იქნება საქართველოსთვის, რადაგანაც რუსეთი ყველანაირად ეცდება შეიარაღებული კონფლიქტის პროვოცირებას საქართველოს ტერიტორიაზე – სამხრეთ ოსეთში ან აფხაზეთში. ძალიან მნიშვნელოვანია ამ დროს კონსტრუქციული პოზიციის დაჭერა და ყველა ზომის მიღება იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ შეიარაღებული დაპირისპირება.

საქართველოს დღეს შესაძლებლობა აქვს, ეკონომიკური განვითარების გზით მოაგვაროს კონფლიქტები. ეს პროცესი, უდავოდ, რთული იქნება, მაგრამ შედეგი შეიძლება მეტად კარგი იყოს. ეს კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ჩვენი ქვეყნის საგარეო ავტორიტეტის ამაღლებას. წინა პრეზიდენტმა შანსი ხელიდან გაუშვა, ვნახოთ რას იზამს ახლანდელი. ამას არა მარტო საქართველოში ადევნებენ თვალყურს, არამედ კოსმოსის კლუბშიც.

# ევროპა ამერიკას დოლარის სისუსტეში ადანაშაულებს

დიანა ჩაჩუა

ევროპის სახელმწიფოების ლიდერებმა ამერიკის მთავრობა ევროს მიმართ დოლარის კურსის მკვეთრ შემცირებაში დაადანაშაულეს. მათი სიტყვებით, ვაშინგტონი განუწყვეტლივ საუბრობს დოლარის გამყარების აუცილებლობაზე, თუმცა არანაირ ნაბიჯებს ამ მიმართულებით არ დგამს. ბრიუსელში გამართულ შეხვედრაზე ევროპის 12 ქვეყნის ფინანსთა მინისტრებმა თავიანთი შეშფოთება გამოხატეს ევროს კურსის ირგვლივ მიმდინარე პროცესების შესახებ, რის გამოც ევროპელი ექსპორტიორები ზარალდებიან.

დღეს დოლარის კურსი ევროს მიმართებაში ძალიან ახლოსაა კურსის დაცემის აბსოლუტურ რეკორდთან. ექსპერტები აცხადებენ, რომ ეს ტენდენცია დროებითია, ხოლო ევროპელი მინისტრების განცხადებები მთლიანობაში ძალიან სუსტია, რათა ბაზარმა მათზე რეაგირება მოახდინოს.

საფრანგეთის ფინანსთა მინისტრმა ნიკოლა სარკოზიმ განაცხადა, რომ ის და მისი კოლეგები ერთსულოვანნი არიან კურსთან დაკავშირებულ პოზიციაში, რადგან ეს სიტუაცია უარყოფით გავლენას ახდენს მათი ქვეყნების ეკონომიკაზე და მათ საექსპორტო შესაძლებლობებს ასუსტებს. **"არსებული სიტუაცია დესტაბილიზაციას იწვევს და ჩვენს ამერიკელ მეგობრებთან დეფიციტის ზრდასთან არის დაკავშირებული,"** - განაცხადა სარკოზიმ.

ამ განცხადებამდე ერთი დღით ადრე ამავე საკითხზე საუბრობდა აშშ-ს ფინანსთა მინისტრი ჯონ სნოუ, რომელმაც ხაზი გაუსვა, რომ ძლიერი დოლარი ამერიკულ ინტერესებს პასუხობს. თუმცა, ეს სარკოზისთვის საკმარისი არ არის. **"თუ ამერიკელებს სურთ, თავიანთი პოლიტიკა შეცვალონ, მაშინ კარტები მათ ხელშია,"** - აღნიშნა მან. ფრანგ მინისტრს მხარი დაუჭირა ეკონომიკის და სავალუტო პოლიტიკის ევროპელმა კომისარმა ხოაკინ ალმუნიამ, რომელმაც განაცხადა, რომ თუ ამერიკის ეკონომიკაში არაბალანსირებული სიტუაცია არ გამოსწორდება, ბაზრის გადაწყვეტილება იგივე იქნება, რაც ბოლო კვირებში, ანუ დოლარი კვლავ შესუსტდება.

თუმცა, ეკონომისტები აღნიშნავენ, რომ რაც არ უნდა ილაპარაკოს ევროპამ, მოკლევადიან პერსპექტივაში სუსტი დოლარი ბუშის ადმინისტრაციისთვის ძალიან მომგებიანია. ეს არა მხოლოდ ხელს უწყობს ამერიკელ ექსპორტიორებს, არამედ ბუჯეტის დეფიციტის შემცირების პრობლემასაც აგვარებს. მეორე მხრივ, ევროპული ექსპორტისათვის დარტყმამ შეიძლება ევროზონის ქვეყნების ეკონომიკური ზრდა შეაჩეროს, რაც, თავის მხრივ, საქონელზე მოთხოვნილების შემცირებას უქმნის საფრთხეს, მათ შორის - ამერიკულზეც.

# რაიონულ ბიუჯეტებში სრული ქაოსია

*საქართველოს რაიონებში საბიუჯეტო განუკითხაობაა, რაიონული ბიუჯეტების შედგენა-შესრულება კანონდარღვევით ხორციელდებოდა - ასეთია კონტროლის პალატის მიერ ოქტომბერში 11 რაიონში ჩატარებული კომპლექსური რევიზიის დასკვნა. შესამოწმებელი პერიოდი 2001-2004 წლებს მოიცავდა და მიზნად რაიონული ბიუჯეტების შედგენა-შესრულების მდგომარეობის შესწავლას ისახავდა.*

სოფიკო ოხანაშვილი
თამარ მჭედლიშვილი

დაცული მუხლების დაუფინანსებლობის პირობებში 100 პროცენტითაა დაფინანსებული სხვა ხარჯები, ხშირია რაიონული ბიუჯეტების თანხების არამიზნობრივი ხარჯვის ფაქტები, წლების განმავლობაში თითქმის ყველა რაიონში რაიონული ბიუჯეტების წარდგენა და საკრებულოების მიერ მათი დამტკიცება დაგვიანებით ხდებოდა, ახალქალაქის რაიონში მთლიანად მოშლილია საბიუჯეტო პროცესი და ბუღალტრული აღრიცხვა, არ არსებობს სალაროს მეურნეობა და სხვა - ეს იმ დარღვევების მცირე ჩამონათვალია, რომლებიც კონტროლის პალატამ შემოწმების პერიოდში აღმოაჩინა. რევიზიამ აჩვენა, რომ რაიონულ ბიუჯეტებს რამდენიმე დაჯგუფება და თანამდებობის პირი განკარგავდა, მოსახლეობისთვის კი არაფერი კეთდებოდა. რევიზიის შედეგების თანახმად, ძირითადად, დარღვევები 2002-2003 წლებზე მოდის. თუმცა, დარღვევები ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ - 2004 წლის პირველ ნახევარშიც გაგრძელდა.

კონტროლის პალატის რევიზიის შედეგად დუშეთის, ბაღდათისა და ხარაგაულის რაიონების ბიუჯეტების შემოწმებისას, სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების შემცველი ფაქტები გამოვლინდა. **"დატაცებულია თანხები და გაყალბებულია საფინანსო დოკუმენტები,"** - განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ხელაიამ. მისივე თქმით, მასალები რეაგირებისთვის გენერალურ პროკურატურას უკვე გადაეგზავნა. პროკურატურაში გადაიგზავნა ახალქალაქისა და ლენტეხის რაიონების ბიუჯეტების შემოწმების აქტებიც. რაც შეეხება ოზურგეთისა და ონის რაიონების შემოწმების აქტებს, ისინი ცალკეული საკითხების დაზუსტებას საჭიროებენ, ამიტომ აქ თემატური შემოწმებებიც ჩატარდება. თელავის რაიონის საფინანსო განყოფილებაში კი რევიზია დღესაც მიმდინარეობს. კონტროლის პალატის ხელმძღვანელობამ, შესაბამისი საკადრო გადაწყვეტილებების მისაღებად, პრეზიდენტის რწმუნებულებს შემოწმების მასალები გადაუგზავნა.

კონტროლის პალატა 2004 წლის ბოლომდე თბილისის ორ რაიონს შეამოწმებს. მომავალ წელს კი დედაქალაქის სხვა რაიონების შემოწმებაა გათვალისწინებული. **"კვლავაც უმკაცრესნი ვიქნებით იმ რაიონის ხელმძღვანელთა მუშაობის მიმართ, რომლებიც არ გაითვალისწინებენ შემოწმების აქტებში დაფიქსირებულ შენიშვნებს და რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის ინტერესებს"**, - განაცხადა ხელაიამ.

კონტროლის პალატა მიღწეული შედეგებით გუშინ კმაყოფილი იყო, თუმცა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და პარლამენტარების ერთი ნაწილი ადგილობრივი ბიუჯეტების შემოწმების ფაქტს ხელისუფლების მხრიდან უპასუხისმგებლობას, კონტროლის პალატის მხრიდან კი კანონდარღვევას უწოდებენ. **"კონტროლის პალატა არ არის ის ორგანო, რომელმაც ადგილობრივი თვითმმართველობები უნდა ამოწმოს. მაკონტროლებელი სტრუქტურები თავად ადგილობრივმა თვითმმართველობებმა უნდა შექმნან სარევიზიო კომისიებისა თუ დამოუკიდებელი აუდიტების სახით და სწორედ მათ კონპეტენციაში უნდა შედიოდეს თვითმმართველობის ერთეულების საქმიანობის რევიზირება,"** - განაცხადა ფრაქცია "მემარჯვენე ოპოზიციის" წევრმა მამუკა კაციტაძემ. **"კონტროლის პალატის ასეთი საქმიანობა ყოველთვის წყლის ნაყვა იქნება, თუ არ შეიცვლება მიდგომა თვითმმართველობასთან მიმართებაში. რაიონებში ადგილობრივი ბიუჯეტები ყოველთვის დგება და სრულდება კანონდარღვევით, რადგან თვითონ სისტემაა კორუფციული. თვითმმართველობა ქვეყანაში არ არსებობს. ადგილობრივი ბიუჯეტები, ძირითადად, ტრანსფერების ხარჯზე დგება, რომლის ოდენობაც დღეს არ არის ზუსტად განსაზღვრული. ამიტომ ტრანსფერი ყოველთვის იმაზე იქნება დამოკიდებული, ვინ რამდენს და როგორ "გააჩალიჩებს" - იქნება ეს მაჟორიტარი თუ გამგებელი. კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ ძირეულადაა შესაცვლელი ადმინისტრაციული მოწყობა და საჭიროა რეალური თვითმმართველობის შემოღება. თუკი თერთმეტ რაიონში ჩატარებული შემოწმების შედეგები ასეთია, უკვე ნათელია, რა სურათი იქნება, მთლიანად, ქვეყანაში"**, - "24 საათთან" საუბარში განაცხადა პარლამენტის რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მთიანი რეგიონების კომიტეტის წევრმა ალექსანდრე შალამბერიძემ.

ადგილობრივი ბიუჯეტების შემოწმების ფაქტთან დაკავშირებით "ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციას" დავუკავშირდით, რომელიც წლების განმავლობაში ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტების მონოტორინგს ატარებს. **"როცა კანონი თითქმის არაფერს არეგულირებს ადგილობრივი ბიუჯეტების სფეროში და ამ დროს კონტროლის პალატა მიდის და მათ მუშაობას აკონტროლებს, ეს, რბილად რომ ვთქვათ, უპასუხისმგებლობაა. ხელისუფლებამ იმის მაგივრად, რომ შეამოწმოს, ჯერ სამართლებრივად უნდა დაარეგულიროს ეს სისტემა და მერე აკონტროლოს,"** - განაცხადა "24 საათთან" საუბარში არასამთავრობო ორგანიზაციის თავმჯდომარემ თენგიზ შერგელაშვილმა. მისივე თქმით, ადგილობრივი ბიუჯეტების შედგენის სისტემა აბსოლუტურად ალოგიკურ პრინციპებზეა აგებული, რის გამოც კანონმდებლობაში ძალიან ბევრი ვაკუუმია, ამიტომ მუშაობა ნორმალურადაც რომ მიმდინარეობდეს, ყოველთვის შეიძლება ამა თუ იმ ნაწილში დარღვევის აღმოჩენა. შერგელაშვილის თქმით, როცა მთელი რიგი საკითხები დაურეგულირებელია და სისტემა ქაოტურია. რა თქმა უნდა, ხშირია ბიუჯეტის თანხების არამიზნობრივი ხარჯვის შემთხვევები. **"სადაც სიბნელეა, ნებისმიერი ადამიანი ხელს მოითბობს. უბრალოდ, უნდა ეშინოდეს, რომ დაიჭერენ. დაჭერის რომ არ ეშინოდათ ადრე, იმიტომაც უფრო მეტს ჭამდნენ, ახლა დაჭერის ეშინიათ და უფრო ნაკლებს ჭამენ. მეტი არაფერი შეცვლილა - სისტემა აბსოლუტურად ისევ იდენტურია. ადგილობრივი ბიუჯეტების საკითხი იმდენად დასარეგულირებელია, რომ ახლა შეიძლება ისე მოიპარო, ვერავინ ვერაფერი გაიგოს"**, - დასძინა შერგელაშვილმა.

"ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციამ" ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის დარეგულირების მიზნით კანონპროექტების პაკეტი მოამზადა, რომელიც ოფიციალურად უკვე წარუდგინა კიდეც ფინანსთა სამინისტროს. შერგელაშვილის თქმით, ფინანსთა სამინისტრომ, იმის გამო, რომ კანონი არ დაერღვია და ვადებში ჩატეულიყო, პირველ ოქტომბერს პარლამენტში სამინისტროს ვერსია წარადგინა, რომელიც მთლად არც ფინანსთა სამინისტროში მოსწონთ. **"ჩვენი პროექტის დამტკიცების შემთხვევაში ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა ანუ დარეგულირდება ყველა ის საკითხი, რომლის დაურეგულირებლობის გამო, დიდი ჭაობია ადგილობრივ ხელისუფლებებსა და ადგილობრივ ბიუჯეტებში"**, - განაცხადა "ახალგზარდა ეკონომისტთა ასოციაციის" თავმჯდომარემ.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** რუსეთმა აფხაზეთთან სარკინიგზო მიმოსვლა დროებით, 10 საათით შეაჩერა. ჩრდილოეთ კავკასიის უშიშროების სამსახურის სამმართველოს ინფორმაციით, რუსეთ-საქართველოს საზღვრის აფხაზეთის მონაკვეთზე მოქმედ საკონტროლო-გამშვებ პუნქტ "ვესიოლაია-ავტოდოროჟნაიაზე" ტვირთებისა და მგზავრების მიმოსვლა 15 ნოემბერს 22.00 საათზე შეჩერდა და გუშინ 08.00 საათზე აღდგა. სამმართველოში აცხადებენ, რომ სარკინიგზო მიმოსვლის შეჩერება ერთჯერადი აქციაა, რომელიც 3 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ აფხაზეთში ვითარების გართულებას უკავშირდება და "აჟიოტაჟისთვის არანაირი საფუძველი არ არსებობს". **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბაქოში დასრულდა კასპიისა და შავი ზღვის რეგიონების ქვეყნების ენერგეტიკისა და ტრანსპორტის მინისტრების ორდღიანი კონფერენცია. ფორუმის მონაწილეები ენერგეტიკისა და ტრანსპორტის სექტორებში თანამშრომლობის გაღრმავებაზე, კერძოდ, სატრანსპორტო და საბაზრო სექტორებში ევროკავშირთან და სხვა წამყვან საერთაშორისო სტრუქტურებთან გაერთიანებაზე შეთანხმდნენ. საქართველოს მხრიდან ტრანსპორტის სექტორის მუშაობას სახელმწიფო მინისტრი თამარ ბერუჩაშვილი უძღვებოდა, ხოლო ენერგეტიკული სექტორის მუშაობას - ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოში 90-იან წლებში შეჩერებული "ხუდონჰესის" მშენებლობის გაგრძელებით, შესაძლოა, ჩინელი ინვესტორები დაინტერესდნენ. ამის შესახებ გუშინ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში გამართულ შეხვედრაზე პრეზიდენტმა სააკაშვილმა განაცხადა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საპარლამენტო კომიტეტებისთვის ჯერ კიდევ უცნობია, "საგადასახადო კოდექსის" რა ვარიანტი მიიღო პარლამენტმა პირველი მოსმენით. პარლამენტის მიერ პირველი მოსმენით მიღებული პროექტის წერილობითი ვარიანტი სხდომის სტენოგრამასთან ჯერ არ შეჯერებულა და, შესაბამისად, პირველი მოსმენით მიღებული პროექტის ვერსიაც არ არის მზად. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**რუსთავი.** რუსთავის მოსახლეობა ელექტროენერგიის არსებული გრაფიკით უკმაყოფილოა. როგორც ქალაქის მერი მერაბ ტყეშელაშვილი აცხადებს, რუსთავი მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდის მაჩვენებლით ერთ-ერთ პირველ ადგილზეა, თუმცა ელექტროენერგიით მაინც არასტაბილურად მარაგდება.

ამ დროისთვის რუსთავი ელექტროენერგიით დღე-ღამეში 8 საათის განმავლობაში მარაგდება. **მედია-ნიუსი**

# საწარმოთა მართვის სააგენტოს ირაკლი ჩოგოვაძე უხელმძღვანელებს

*16 ნოემბერს საწარმოთა მართვის სააგენტოში გამართულ პრესკონფერენციაზე, სააგენტოს გადამდგარმა თავმჯდომარემ ერეკლე ქიქოძემ სააგენტოს თანამშრომლებს და საქართველოს მთავრობას თანამშრომლობისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ გადადგომის შესახებ გადაწყვეტილება მათთან შეთანხმების შემდეგ მიიღო. საწარმოთა მართვის სააგენტოს თავმჯდომარედ ირაკლი ჩოგოვაძე დაინიშნა.*

**"იგი ერთი თვეა, საქართველოში იმყოფება და საწარმოთა მართვის სააგენტოში მუშაობს. მანამდე ჩოგოვაძემ რამდენიმე მნიშვნელოვან საერთაშორისო ორგანიზაციაში მუშაობის გამოცდილება მიიღო, ამიტომ მჯერა, რომ საქართველოში მისი საქმიანობა წარმატებული იქნება,"** - განაცხადა ქიქოძემ.

საწარმოთა მართვის სააგენტოს უკვე ყოფილმა თავმჯდომარემ ასევე განაცხადა, რომ გადადგომის შესახებ გადაწყვეტილება მან თავად მიიღო, რადგან სურს, საქართველოში მიმდინარე პრივატიზაციის პროცესში როგორც ბიზნესმენმა მიიღოს მონაწილეობა. **"როგორც ბიზნესმენი და მენეჯერი, ვამჯობინებ, აუქციონებში ვიყო მყიდველი და არა გამყიდველი,"** - განაცხადა ქიქოძემ.

საწარმოთა მართვის სააგენტოს ახალი თავმჯდომარე ირაკლი ჩოგოვაძე სააგენტოში რეორგანიზაციის განხორციელებას არ აპირებს. მისი თქმით, საწარმოთა მართვის სააგენტო აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ქვეყანაში მიმდინარე პრივატიზაციის პროცესში და მის ბალანსზე რიცხულ სახელმწიფო ქონებას საპრივატიზაციოდ მოამზადებს.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*სააგენტოს გადამდგარმა თავმჯდომარემ ერეკლე ქიქოძემ სააგენტოს თანამშრომლებს და საქართველოს მთავრობას თანამშრომლობისთვის მადლობა გადაუხადა.*

# ონოფრიშვილი მინსკში მოსკოვი-სოხუმის მარშრუტის ამოქმედებას აპროტესტებს

გუშინ ბელორუსის დედაქალაქში მუშაობა დაიწყო სარკინიგზო ტრანსპორტის რიგით 29-ე საბჭოს სხდომამ, რომელსაც რუსეთის სს "რუსეთის რკინიგზის" ხელმძღვანელი გენადი ფადაევი თავმჯდომარეობს. შესაბამისად, სხდომაზე რუსეთის ინტერესები დომინირებს.

მინსკში ეს შეხვედრა მნიშვნელოვნია იმითაც, რომ "საქართველოს რკინიგზას" პირველად მიეცა შესაძლებლობა, დაეფიქსირებინა ოფიციალური პოზიცია აფხაზეთში 11 სექტემბერს საზეიმოდ გახსნილი მოსკოვი-სოხუმის-სარკინიგზო მარშრუტის თაობაზე. ქართულმა მხარემ მოითხოვა ამ საკითხის გუშინდელი სხდომის დღის წესრიგში შეტანა, თუმცა საბჭოს თავმჯდომარის მხრიდან მას უარი ეთქვა იმ მოტივით, რომ ეს საკითხი პოლიტიკურია და საბჭო ძირითადად ტექნიკურ სფეროს, რკინიგზის შიდა პრობლემებს და რკინიგზათა შორის ურთიერთობებს განიხილავს.

ფადაევის წინააღმდეგობის მიუხედავად, "საქართველოს რკინიგზის" დირექტორმა დავით ონოფრიშვილმა ოფიციალური განცხადება საბჭოზე საჯაროდ წარადგინა და დელეგაციის ყველა წევრს წერილობით გადასცა. ეს განცხადება დაფიქსირებულ იქნა, როგორც საქართველოს ოფიციალური პოზიცია აფხაზეთში რკინიგზის გახსნასთან დაკავშირებით.

ონოფრიშვილმა აფხაზეთის რკინიგზის გახსნა შეაფასა, როგორც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის უხეში დარღვევა. გარდა ამისა, მან რუსეთის მხარეს შეახსენა იმ ვალდებულებების შესახებ, რაც გულისხმობს რუსეთის ჩაურევლობას საქართველოს შიდა საქმეებში, რომელთა შესრულების აუცილებლობა განპირობებულია გაეროს, დსთ-ს, ეუთოს და რკინიგზელთა შორის გაფორმებული სახელმწიფოთა შორის შეთანხმება-ხელშეკრულებებით; ხოლო ცალმხრივი შეუთანხმებელი მოქმედება და ზემოთ ხსენებული შეთანხმებების დარღვევა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს დსთ-ს ჩარჩოებში გაფორმებულ მთელ რიგ ხელშეკრულებებს.

მოსკოვი-სოხუმის სარკინიგზო მარშრუტის გახსნის თემაზე დავით ონოფრიშვილი დღეს ჟურნალისტებისთვის გამართულ პრესკონფერენციაზე ისაუბრებს, რომელიც სარკინიგზო ტრანსპორტის 29-ე საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ გაიმართება.

გარდა ამისა, საქართველოს წინაშე რუსეთის რკინიგზამ დასვა საკმაოდ პრობლემატური საკითხი აფხაზეთის ომის შემდგომი პერიოდის განმავლობაში აფხაზეთის ტერიტორიაზე შემოსული რუსული ვაგონების დაბრუნებასთან დაკავშირებით, რომლებიც აფხაზეთის ტერიტორიაზე დაიკარგა.

*24 საათი*


## ს.ს. "თელასი" გთხოვთ მოგვაწოდოთ

- დენის ტრანსფორმატორი **ТВЛМ**-10 100/5 - **10ც**
- დენის ტრანსფორმატორი **ТЛМ-10** 100/5 - **10ც**
- დენის ტრანსფორმატორი **ТПЛ**-10 75/5 - **4ც**
- დენის ტრანსფორმატორი **ТПЛ**-10 100/5 - **4ც**

- საყრდენი იზოლატორი **ИОР-10 / 7.5 III УХЛ-2** - **150ც** (ფაიფურის, ცენტრალური ხრახნით მ16 , განაპირა ხრახნებით მ8, ორივე მხარეს)
- საყრდენი იზოლატორი **ИОР-10 / 7.5** - **100ც** (ფაიფურის, ცენტრალური ხრახნით მ16, ორივე მხარეს)

***გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ტრანსფორმატორები და იზალატორები უნდა იყოს გამოუყენებელი და შესაბამისი გარანტიებით.***

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა დაწვრილებითი ინფორმაციის
მისაღებად მოგვმართონ სს "თელასის" კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილებაში;
ტელეფონის ნომრებზე: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53;

წერილის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 22 ნოემბერი.

## "ს/ს თელასის" განცხადება

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:

**18 ნოემბერს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:**
ვარდისუბნის, ქვიშხეთის, ქსნის, არბოს, ერწოს ქუჩების მაცხოვრებლებს.

**18 ნოემბერს, 10.00-დან 12.00-სთ-მდე:**
რუსთავის გზატკეცილის(ნაწილობრივ) მაცხოვრებლებს.

**18 ნოემბერს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:**
ჭავჭავაძის გამზირის(ნაწილობრივ), თამარაშვილის, მოსაშვილის, ტიციან ტაბიძის, აბაშიძის, დარიალის, მუხაძის, ფალიაშვილის(ნაწილობრივ) ქუჩების მაცხოვრებლებს.


Mercy Corps — btc — SCP South Caucasus Pipeline

## რუსთავის მე-10 სკოლა აქტიურად ჩაება "ბი-პი"-ს პროექტის განხორციელებაში



კომპანია "ბი-პი" და მათი პარტნიორები - ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და სამხრეთ კავკასიური გაზსადენის პროექტები რეალურ დახმარებას უწევენ მილსადენის მარშრუტის გასწვრივ მცხოვრებ მოსახლეობას. 2004 წლის ზაფხულში "მერსი ქორპს"-მა დაიწყო BP-სა და მისი BTC/SCP პარტნიორების მიერ დაფინანსებული კიდევ ერთი ინიციატივის, სკოლების გაუმჯობესების პროგრამის განხორციელება ქალაქების - რუსთავი, მარნეული, გარდაბნისა და თეთრიწყაროს 42 სკოლაში მათი რეაბილიტაციის, მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების სოციალური და პროფესიული განვითარების მიზნით.

რუსთავის მე-10 საშუალო სკოლა - ერთ-ერთია, სადაც "მერსი კორპს"-მა ჩაატარა მოქმედების დაგეგმარების შეხვედრა, სადაც მასწავლებლებმა, მშობლებმა და მოსწავლეებმა ერთად აირჩიეს პრიორიტეტები და დაასახელეს ის პრობლემები, რომლის გადაჭრაზეც ერთად იმუშავებენ პროგრამის განმავლობაში. ეს სკოლა 1990 წელს ჩამოყალიბდა როგორც გაძლიერებული ფრანგული ენის სწავლების სკოლა, სადაც საფრანგეთის საელჩოს დახმარებით წარმატებით ხორციელდება პედაგოგთა გაცვლითი პროგრამა; ბოლო წლების განმავლობაში საფრანგეთიდან ჩამოსულმა პროფესორებმა მე-10 სკოლის მასწავლებლებს და მოსწავლეებს ტრენინგები და გაკვეთილები ჩაუტარეს, რუსთაველმა მასწავლებლებმა პარიზის ერთ-ერთ ლიცეუმში კვალიფიკაციის ამაღლების კურსები გაიარეს. მაგრამ სასწავლო პროცესის ჩატარება სკოლაში ფერხდება - წვიმის დროს საკლასო ოთახებში წყალი ჩამოდის, სიცივეში კი მათი გათბობა შეუძლებელია.



"ჩვენი სკოლის შენობა კაპიტალურ რემონტს საჭიროებს, - ამბობს სკოლის დირექტორი გურამ კობიაშვილი - პირველ რიგში სახურავია გამოსაცვლელი - გაგიგონიათ, გაკვეთილები უამინდობის გამო რომ ცდებოდეს? ჩვენი სკოლის თანამშრომლები და მშობლები აქტიურ მონაწილეიბას მიიღებენ სკოლის რეაბილიტაციის პროცესში, რომელსაც BTC/SCP -ს ინიციატივით და დაფინანსებით ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაცია "მერსი კორპს"-ი ახორციელებს. მინდა, ჩვენი მასწავლებლების და 800 მოსწავლის სახელით მათ დიდი მადლობა გადავუხადო, ზრუნვისათვის. რემონტი ამ დღეებში დაიწყება და ყველა ღონეს ვიხმართ, რომ იგი შეუფერხებლად ჩატარდეს - უკვე ჩამოყალიბებულია სამუშაო ბრიგადები, ვაპირებთ რეგულარულად გავაკონტროლოთ მუშაობის პროცესი და ხარისხი. პროექტი და ყველა გათვლები ჩვენი თემის საინიციატივო ჯგუფმა მოამზადა; მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, მის განხორციელებაში მაქსიმალურად იქნება ჩართული უმუშევარი მოსახლეობა, რითიც მათ სერიოზულ დახმარებას გავუწევთ".

# რას გვასწავლის კომუნიზმი დღესაც

პირველი გვერდიდან

თუმცა, შესაძლოა, უბრალოდ, ახალი ტექნოლოგიებით გამოწვეული პარადიგმების ცვლილების მოწმენი ვართ და არაფერია სანერვიულო. მაგრამ, იქნებ უფრო ღრმა პრობლემასთან გვაქვს საქმე? გლობალურმა კორპორაციებმა, მედია კარტელებმა და გავლენიანმა ბიუროკრატებმა პოლიტიკური პარტიები ისეთ ინსტიტუტებად გადააქციეს, რომელთა მთავარი საზრუნავი არა საზოგადოებისთვის სამსახური, არამედ ცალკეულ კლიენტთა და ინტერესთა დაცვა გახდა. პოლიტიკა ლობისტთა ბრძოლის არენა ხდება, მედია სერიოზულ პრობლემებს ბანალობად აქცევს, ხოლო დემოკრატია სულ უფრო ემსგავსება ვირტუალურ თამაშს და სერიოზული მოქალაქეების სერიოზული საქმიანობის სახეს კარგავს.

დემოკრატიულ მომავალზე ოცნებისას, ჩვენ, დისიდენტები, რასაკვირველია, ხშირად ვექცეოდით უტოპიური ილუზიების ტყვეობაში და ეს დღევანდელი გადმოსახედიდან უფრო აშკარაა. თუმცა, ჩვენ არ ვცდებოდით, როდესაც ვამტკიცებდით, რომ კომუნიზმი სულაც არ იყო დასავლური რაციონალიზმის ცრუ მიმართულება. ბიუროკრატიზაცია, უხილავი მანიპულაციები და უზარმაზარი მასშტაბების კონფორმიზმი კომუნისტურ სისტემაში "სრულყოფილებამდე" იყო აყვანილი; თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამათგან ზოგიერთი დღესაც განაგრძობს არსებობას.

ჯერ კიდევ მაშინ, ჩვენ გვწამდა, რომ ფასეულობებისგან დაცლილი დემოკრატია, პოლიტიკური პარტიების კონკურენციამდე - როგორც ყველაფრის პანაცეამდე – დაყვანილი, შესაძლოა არც იყოს დემოკრატიული. სწორედ ამიტომაც ვამახვილებდით ყურადღებას ზნეობრივ ასპექტსა და აქტიურ საზოგადოებაზე, როგორც პოლიტიკური პარტიებისა და სახელმწიფო ინსტიტუტების საპირწონეზე.

ჩვენ უფრო სამართლიან საერთაშორისო წესრიგზეც ვოცნებობდით. ორპოლუსიანი საერთაშორისო სისტემის დაშლამ არაჩვეულებრივი შანსი მოგვცა, მსოფლიო უფრო ჰუმანური გაგვეხადა. ამის ნაცვლად ჩვენ ვხედავთ პოლიტიკური კონტროლის გარეშე დარჩენილ ეკონომიკურ გლობალიზაციას, რომელიც ეკონომიკური ქაოსის, ეკოლოგიური კატასტროფის საფრთხის მატარებელია.



*ვაცლავ ჰაველი: ალტერნატიული აზრი და სამოქალაქო საზოგადოება უაღრესად მნიშვნელოვანია.*

**სამწუხაროდ, კომუნისტური მმართველობის შედეგად ჩამოყალიბებული მსოფლმხედველობა ჯერაც არ გამქრალა.**

**დემოკრატია სულ უფრო ხშირად ემსგავსება რიტუალს. როგორც ჩანს, დასავლურ საზოგადოებაში დემოკრატიული სულისა და სამოქალაქო საზოგადოების დაკნინების ტენდენციაა.**

**პოლიტიკა არ არის უბრალოდ მართვის ტექნოლოგია და მას აუცილებლად სჭირდება ზნეობრივი მხარე.**

კომუნიზმის დამარცხებამ შანსი მოგვცა, შეგვექმნა დემოკრატიულ პრინციპებზე დამყარებული უფრო ეფექტური პოლიტიკური წყობა – წყობა, რომელსაც უნდა უზრუნველეყო ინდუსტრიული საზოგადოებისთვის დამახასიათებელი თვითგანადგურების ტენდენცია. თუ ჩვენ არ გვსურს, რომ უხილავმა ძალებმა დაგვამარცხოს, თავისუფლების, თანასწორობისა და სოლიდარობის პრინციპებმა (დასავლური დემოკრატიის სტაბილურობისა და აყვავების საფუძველმა) გლობალურ დონეზე უნდა იმუშაოს.

მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, აუცილებელია, არ დავკარგოთ რწმენა (ისევე, როგორც დაგვიკარგავს კომუნისტურ ეპოქაში), რომ ალტერნატიული აზრი და სამოქალაქო საზოგადოება უაღრესად მნიშვნელოვანია. არ მივცეთ საშუალება დაგვარწმუნონ, რომ "დამკვიდრებული" წესისა და "ობიექტური" კანონის შეცვლის მცდელობა სრული უაზრობაა. მოდით, ვცადოთ, ავაშენოთ გლობალური სამოქალაქო საზოგადოება. და მყარად ვიდგეთ პოზიციაზე, რომ პოლიტიკა არ არის უბრალოდ მართვის ტექნოლოგია და მას აუცილებლად სჭირდება ზნეობრივი მხარე.

ამავდროულად, დემოკრატიული ქვეყნების პოლიტიკოსები სერიოზულად უნდა დაფიქრდნენ საერთაშორისო ორგანიზაციების გარდაქმნაზეც, რადგანაც ჩვენ უაღრესად გვჭირდება რეალური გლობალური მართვის შემძლე ინსტიტუტები. შეგვიძლია დავიწყოთ, მაგალითად, გაერო-დან, რომელიც თავისი ფორმით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილი სიტუაციის გადმონაშთს წარმოადგენს. მასში არ არის ასახული ის ძალები, რომლებმაც ბოლო დროს რეგიონულ დონეზე შესამჩნევი გავლენა შეიძინეს. თანაც, დემოკრატიული ქვეყნები გათანაბრებულნი არიან ისეთ ქვეყნებთან, რომელთა მმართველებიც, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ საკუთარი ან საკუთარი გარემოცვის ვიწრო ინტერესებს გამოხატავენ – ეს უბრალოდ ამორალურია.

ევროპელებს ერთი კონკრეტული მიზანი გვაქვს. დღეს მთელ მსოფლიოში გაბატონებული ინდუსტრიული ცივილიზაცია სწორედ ევროპაში ჩაისახა. ასე რომ, ყველა მისი სასწაული, ისევე როგორც შემაძრწუნებელი წინააღმდეგობები, შეიძლება აიხსნას, როგორც ევროპული სულისკვეთების გამოვლინება. აქედან გამომდინარე, ევროპის გაერთიანება დანარჩენი მსოფლიოსთვის იმის მაგალითი უნდა გახდეს, თუ როგორ უნდა გავუმკლავდეთ დღეისათვის არსებულ საფრთხეებსა და პრობლემებს.

მართლაც, ასეთი ამოცანის გადაწყვეტა, რომელიც თავის მხრივ მჭიდრო კავშირშია ევროპული ინტეგრაციის წარმატებასთან, ევროპის მიერ გლობალური პასუხისმგებლობის შეგრძნების სრულფასოვანი რეალიზაცია იქნებოდა. აი ეს კი ნამდვილად უკეთესი სტრატეგიაა, ვიდრე თანამედროვე მსოფლიოს ყველა უბედურებაში ამერიკის მიმართ გამოთქმული იაფფასიანი ბრალდებები.

*პროექტი "სინდიკატი", 2004 წლის ნოემბერი*




## კოტ დ`ივუარის გართულებული ვითარება და გაერო-ს ემბარგო



გაერო-ს უშიშროების საბჭოზე ერთსულოვნად მიიღეს გადაწყვეტილება კოტ დ`ივუარის წინააღმდეგ შეიარაღებული ამბოხის გამო ემბარგოს დაუყოვნებლივი შემოღების შესახებ. საფრანგეთის ინიციატივით მომზადებული რეზოლუციის პროექტი სანქციების დაწესებას 13 თვის განმავლობაში ითვალისწინებს. ჯერჯერობით კი დაპირისპირებულ მხარეებს ერთი თვე ეძლევათ სამშვიდობო პროცესის აღდგენისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანას ახალი სანქციები ემუქრება. აღნიშნული რეზოლუციის მიღების მომხრე აღმოჩნდა აფრიკული კავშირიც, რომელიც კონფლიქტის ომში გადაზრდის წინააღმდეგია.

კოტ დ`ივუარის პრეზიდენტი ლორან გბაგბო საფრანგეთს ადანაშაულებს აჯანყებულებისათვის დახმარების აღმოჩენაში. "საფრანგეთის მოქმედება ჩვენ წინააღმდეგ ომს ნიშნავს," - აცხადებს ლორან გბაგბო. ამასთან ერთად, აბუჯაში, სადაც აფრიკული კავშირის სამიტი ჩატარდა, მიტინგებიც გაიმართა, სადაც საფრანგეთის ჩარევას აპროტესტებდნენ. კაკაოს უმსხვილეს ექსპორტიორ ქვეყანაში სამოქალაქო ომი 10 დღის წინ განახლდა, როცა ქვეყნის შეიარაღებულმა ძალებმა სამშვიდობო შეთანხმება დაარღვია და მეამბოხეთა მიერ კონტროლირებად ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილზე საჰაერო თავდასხმა განახორციელა.

პრეზიდენტ გბაგბოს განცხადებით, ფრანგი სამშვიდობოების ყოფნა კოტ დ`ივუარში 1968 წელს ჩეხოსლოვაკიაში საბჭოთა ჯარების შეყვანას აგონებს. რაზეც საფრანგეთის თავდაცვის მინისტრმა მიშელ ალიო-მარიმ აფრიკელ პრეზიდენტს თეთრკანიანების წინააღმდეგ პროპაგანდისტული გამოხდომებისაგან თავშეკავებისა და უცხოელებისადმი ძალმომრეობის დასასრულისაკენ მოუწოდა.

ჟაკ შირაკის თქმით, ფრანგი სამხედროები თავის მოვალეობას ასრულებენ კოტ დ`ივუარში და არ დაუშვებენ ამ ქვეყანაში "ანარქიისა და ფაშისტური რეჟიმის" გამეფებას, თანაც მათ გაერო და ყველა აფრიკული ქვეყანა უჭერს მხარს.

აფრიკული ქვეყნების: ნიგერიის, სენეგალის, განას, ბურკინა-ფასოს, ტოგოსა და გაბონის ლიდერებმა ნიგერიის დედაქალაქ აბუჯაში მოლაპარაკებები გამართეს. სწორედ ამ შეხვედრაზე გადაწყდა გაერო-სა და საფრანგეთის მიერ შემოთავაზებული სანქციების მხარდაჭერა. "ამის გაკეთება საჭიროა დაუყოვნებლივ," - განაცხადა ნიგერიის პრეზიდენტმა ოლესეგუნ ობასანჯომ. გარდა ამისა, ლიდერებმა შეშფოთება გამოთქვეს ქვეყნის ჩრდილოეთი ნაწილის ელექტროენერგიის გარეშე დარჩენის გამო. "ჩვენს შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ ასეთი ღონისძიება ყოველთვის შეიარაღებული თავდასხმის პრელუდია იყო. ჩვენ ყველას მოვუწოდებთ, მხარი დაუჭირონ ცეცხლის შეწყვეტას და არ მიიღონ ისეთი ზომები, რაც ახალ თავდასხმებს მოიტანს შედეგად," - განუცხადა ობასანჯომ სააგენტო "ფრანს პრეს"-ის წარმომადგენელს.

სამშვიდობო ინიციატივას არ იზიარებენ ამბოხებულები და აცხადებენ, რომ ქვეყნის ჩრდილოეთზე თავდასხმა გარდაუვალია.

აფრიკული კავშირის სამიტზე კოტ დ`ივუარის ელჩმა მამადუ კულიბალუმ ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, რომ საფრანგეთის ქმედებები გადაჭარბებული იყო. მან ფრანგი სამხედროების ყოფნას აბიჯანში "არალეგალური ოკუპაცია" უწოდა.

ამჟამად კოტ დ`ივუარში ჩრდილოეთისა და სამხრეთის საზღვარზე (ეს უკანასკნელი კოტ დ`ივუარის ხელისუფლების კონტროლს ექვემდებარება) 4 000 ფრანგი და გაერო-ს 6 000 სამხედრო მოსამსახურეა დისლოცირებული. **ბი ბი სი**

## ორი სიტყვით

**ახლო აღმოსავლეთი.** პალესტინის შეიარაღებული დაჯგუფებები "ჰამასი" და "ისლამური ჯიჰადი" იასირ არაფატის სიკვდილის შემდეგ კვლავ ერთიანი პალესტინური ხელისუფლების შექმნის მოწოდებით გამოდიან. ასეთი განცხადება მათ ღაზას სექტორში პალესტინის განმათავისუფლებელი ორგანიზაციის ახალ მეთაურთან მაჰმუდ აბასთან შეხვედრის დროს გააკეთეს. ზემოაღნიშნული დაჯგუფებების მიზანს კოლექტიურ ხელისუფლებაში მონაწილეობა წარმოადგენს. ამ ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს პალესტინის ავტონომიის საპრეზიდენტო არჩევნების მომზადება, რომლის ჩატარებაც ერაყის მსგავსად მომავალი წლის იანვარშია დაგეგმილი. თუმცა, ის ფაქტი, რომ არაფატის მოძრაობა "ფათჰი"-ც აპირებს არჩევნებში მონაწილეობის მიღებას, მათ ამოცანას ურთულებს, რადგან ნაკლებად სავარაუდოა, რომ არაფატის მოძრაობა ისლამურ დაჯგუფებებთან ხელისუფლების გაყოფას დათანხმდეს. **24 საათი**

■ ■ ■

**ჩინეთი.** პეკინმა აღიარა, რომ წინა კვირას იაპონიის ტერიტორიულ წყლებში აღმოჩენილი წყალქვეშა ნავი ჩინური იყო. თუ დასაწყისში იაპონიის ხელისუფლების განცხადების კომენტირებისაგან ოფიციალური პეკინი თავს იკავებდა, მოგვიანებით მათ აღნიშნულ ინციდენტთან დაკავშირებით შეშფოთება გამოთქვეს. გასულ კვირას ჩინელი დიპლომატი იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროში იყო დაბარებული, სადაც მას ოფიციალური საპროტესტო ნოტა გადასცეს. იაპონური მხარის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ წყალქვეშა ხომალდი წყლის ზედაპირზე არც ამოსულა, მისი იდენტიფიცირება ნავის ტიპით, აღებული კურსის მიმართულებითა და ხმაურის მეშვეობით გახდა შესაძლებელი. "ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ წყალქვეშა ნავი ჩინეთს ფლოტს ეკუთვნოდა და შესაძლოა, ბირთვულიც ყოფილიყო," - განაცხადა იაპონიის ხელისუფლების წარმომადგენელმა ხიროუკი ხოსოდამ.

უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში იაპონიის ფლოტი პირველად იყო საგანგაშო მდგომარეობის გამო სრულად მობილიზებული. ბოლოს ანალოგიური ვითარება 1999 წელს გამოცხადდა, როცა იაპონიის ტერიტორიულ წყლებში ჩრდილოკორეული ორი წყალქვეშა ნავი შენიშნეს.

ახლახანს მომხდარ ფაქტს იაპონიის პრემიერ-მინისტრმა ძუნიშირო კოიძუმიმ "შემაშფოთებელი" ინციდენტი უწოდა.

წყალქვეშა ნავი კუნძულ საკისიმოს შორიახლოს შენიშნეს, იმ კუნძულების 120 კილომეტრის რადიუსში, რომლებზეც პრეტენზიას როგორც ჩინეთი, ისე იაპონია აცხადებენ. თუმცა, ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გამწვავებას სხვა ფაქტორებიც განაპირობებს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბუნებრივ რესურსებთან დაკავშირებით არსებულ აზრთა სხვადასხვაობას იაპონიის თავდაცვის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული ანალიტიკური დოკუმენტის შინაარსიც ემატება. აღნიშნულ დოკუმენტში საკამათო წიაღისეულზე, ტერიტორიებსა და ტაივანის პრობლემებზეა საუბარი, ამასთან იაპონური მხარე ჩინეთის სავარაუდო თავდასხმასაც არ გამორიცხავს. **ბი-ბი-სი**

## შესწორება

"24 საათის" 13 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში ("საკრებულო "თბილგაზში" გადარიცხული თანხების მისამართს არკვევს") აღნიშნული საკრებულოს თავმჯდომარის ფრაზას – "გამოარკვიეთ....რითი გაიკეთა დავით მორჩილაძემ სახლში ევრორემონტი?" ზაზა ბეგაშვილი კატეგორიულად აპროტესტებს და აცხადებს, რომ მას 12 ნოემბერს გამართულ სხდომაზე მორჩილაძის სახლი არ უხსენებია. **"მე ვთქვი, ოფისში რითი გააკეთა რემონტი-მეთქი, და არა - სახლში",** – აცხადებს ბეგაშვილი. როგორც "24 საათმა" საკრებულოს საოქმო განყოფილებაში არსებული საოქმო ამონაწერი გადაამოწმა, ბეგაშვილის გამოსვლაში "თბილგაზის" ხელმძღვანელის სახლი ნახსენები არ აქვს. თუმცა, არც სიტყვა ოფისი წერია - მხოლოდ კონტექსტის მიხედვით იგულისხმება.


## კონკურსი "სასტუმრო ბორჯომში"

**კონკურსის შინაარსი**

კონკურსი ცხადდება ქ. ბორჯომში, ყოფილი ბალნეოლოგიური ცენტრის ტერიტორიაზე, რომლის ფართი შეადგენს, დაახლოებით 4000 კვადრატულ მეტრს, სადაც უნდა აშენდეს შესაბამისი მასშტაბის ოთხვარსკვლავიანი სასტუმრო სასურველია გათვალისწინებულ იქნას ტრადიციული ბალნეოლოგიური ფუნქციაც.

**კონკურსის მიზანი**

კონკურსის მიზანია დამკვეთმა ესკიზური პროექტის დონეზე მიიღოს იდეურად გამართული მასალა, რომლის გეგმარებით-მოცულობითი მხარე სრულყოფილად იქნება წარმოდგენილი. მასალას თან უნდა ერთვოდეს განმარტებითი ბარათი.

**კონკურსის პირობები**

კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი მასალის მოცულობა არ არის შეზღუდული და დამოკიდებულია ავტორისეულ შეხედულებებზე. წარმოდგენილ მასალას თან უნდა ახლდეს დალუქული კონვერტი, რომელშიც მოთავსებული იქნება ბარათი მონაწილის ან მონაწილეთა ჯგუფის ვინაობის, მისამართის და ტელეფონის ნომრების აღნიშვნით. აგრეთვე ბარათში მინიშნებული უნდა იყოს პრემიის მიღების შემთხვევისათვის მათ შორის პროცენტული განაწილების მონაცემები. წინააღმდეგ შემთხვევაში პრემია განაწილდება თანაბრად. კონვერტის გარეკანზე მითითებული უნდა იყოს მონაწილის ექვსციფრიანი კოდი.

**კონკურსის პირობებს ერთვის:**

1. სიტუაციური გეგმა - მ. 1:1000
2. ტოპოგრაფიული გეგმა პირობითი წითელი ხაზებით - მ. 1:500
3. არსებული სიტუაციის ფოტო განშლა.
4. ქ. ბორჯომის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული განაშენიანების კოეფიციენტები.

პირობები გაიცემა 2004 წლის 20 ნოემბრამდე მისამართზე: **ძმები კაკაბაძეების ქ. N2, კინოს სახლი, მესამე სართული, "GENTO"-სერვისი.**

საკონკურსო მასალების ჩაბარების ბოლო ვადა 2004 წლის 25 დეკემბერი, 20:00 საათი; **ქ. ბორჯომში, მისამართზე ნინოწმინდის ქუჩა 2, სასტუმრო "ბორჯომი".**

კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2004 წლის 30 დეკემბერს, 18:00 საათზე იგივე მისამართზე.

**კონკურსში დაწესებულია ერთი პირველი პრემია 5000 ლარის ოდენობით**

**გამარჯვებული, ავტორის უფლებით, მონაწილეობას მიიღებს პროექტის შემდგომი დამუშავების პროცესში დამატებითი ხელშეკრულების საფუძველზე.**

**კონკურსის ჟიური შედგება 7 წევრისაგან:**

4 არქიტექტორი,
დამკვეთი,
ქ. ბორჯომის საზოგადოებრიობის 2 წარმომადგენელი.

**ჟიურის შემადგენლობა ანონიმურია და გამოცხადდება კონკურსის შედეგებთან ერთად.**

**კონკურსი დახურულია და კონკურსანტების ვინაობა ჟიურისთვისა და საზოგადოებისათვის ერთდროულად გახდება ცნობილი გამარჯვებული პროექტის გამოცხადებისას.**

**წარმოდგენილი მასალა დაუბრუნდება კონკურსის მონაწილეებს.**

**საკონტაქტო ტელეფონები: 441- 814, 441- 815.**



ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"
OPEN SOCIETY - GEORGIA FOUNDATION
*საერთაშორისო განათლების საკონსულტაციო ცენტრი*
***INTERNATIONAL STUDENT ADVISING CENTER***

**ღია საზოგადოების ინსტიტუტი, დიდი ბრიტანეთის საგარეო ურთიერთობათა სამინისტრო და ესექსის უნივერსიტეტი**

აცხადებს კონკურს ერთწლიანი სტიპენდიების მოსაპოვებლად ესექსის უნივერსიტეტის მაგისტრატურაში, შემდეგ დარგებში სასწავლებლად:

**- ადამიანის უფლებები ( პრაქტიკა და თეორია ) MA**
**- საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებებში LLM**

ძირითადი მოთხოვნები:

- პროგრამაში მონაწილეობის მსურველები უნდა იყვნენ საქართველოში მცხოვრები 35 წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქეები;
- ჰქონდეთ დამთავრებული ბაკალავრიატი, ან იღებდნენ შესაბამის დიპლომს;
- კონკურსის ფარგლებში საჭირაო ინგლისური ენის ტესტის IELTS ჩაბარება;
- ჰქონდეთ სამუშაო გამოცდილება;
- არ უნდა ჰქონდეთ ნასწავლი წელიწადზე მეტი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, ყოფილ საბჭოთა კავშირის და მონგოლეთის უმაღლეს სასწავლებლებში;
- სწავლის დამთავრების შემდეგ დაბრუნდნენ საქართველოში;

ესექსის უნივერსიტეტის სტოპენდიის მოპოვება იწარმოებს კონკურსის საფუძველზე

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღით უნივერსიტეტის ვებსაიტზე:

http://www.essex.ac.uk or http://www.sx.ac.uk
http://www2.essex.ac.uk/human-rights-centre/
http://www2.sx.ac.uk/human-fights-center/

**საგანაცხადო ფორმებისათვის გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე:**

***ფონდი "ღია საზოგადოება საქართველო"***
***საერთაშორისო განათლების საკონსულტაციო ცენტრი***
**თბილისი, ჭოველიძის 10, ოთახი 102.**
**საკონტაქტო ტელეფონი 25 26 15, 25 04 63**

**ჯგუფური კონსულტაციები ჩატარდება ხუთშაბათს 15:00 საათზე.**
**განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა**
**2005 წლის 26 იანვარი**


# ღია ეკლესია ღია საზოგადოებისათვის

*ღია ეკლესია ღია საზოგადოებისათვის - ეს ლოზუნგი გუშინ გამართულ შეხვედრაზე ირაკლი ჩარკვიანმა მოიფიქრა. იმ ადამიანთა დიდ ნაწილს, რომელიც გუშინ ლიტერატურულ კაფეში შეიკრიბა, საეკლესიო პრობლემებით დიდი დაინტერესება ადრე არ გამოუხატავს. თუმცა, ბოლო დროს ეკლესიაში განვითარებულმა მოვლენებმა უკვე ჩვენი საზოგადოების ფართო სპექტრის ყურადღება მიიპყრო.*


ვახო ბესელიას ფოტო

*შეხვედრა "ლიტერატურულ კაფეში".*

ნინო ცინცაძე

საქმე ისაა, რომ "24 საათში" სასულიერო აკადემიის სტუდენტთა ხელმოწერით გამოქვეყნებულ წერილს, სადაც ეკლესიაში დაგროვილ პრობლემებზე ღიად იყო საუბარი, აკადემიის რექტორატის მხრიდან მწვავე გაღიზიანება მოჰყვა. სტუდენტებმა მკაცრი გაფრთხილება მიიღეს - თუ მსგავსი რამ კიდევ განმეორდება, მათ გარიცხავენ. რექტორატის პოზიცია ასეთი იყო: შინაური საქმეების გარეთ გატანა არ შეიძლება, ეს "ოჯახის შერცხვენაა". "ოჯახის წმინდა სახელის" დაცვა აკადემიის იმ სტუდენტებმაც განიზრახეს, რომლებიც რექტორატის მოსაზრებას ემხრობიან. "ოჯახის დასაცავად" მათ საკმაოდ მარტივ და ჩვენი საზოგადოებისათვის ტრადიციულ ხერხს მიმართეს - ხელისმომწერ სტუდენტებს ცალ-ცალკე უსაფრდებიან და სცემენ. ბევრი იფიქრებს, რომ ეს საეკლესიო წრისათვის წარმოუდგენელი საქციელია, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ სტუდენტებს უახლეს წარსულში ამის მრავალი მაგალითი აქვთ. სწორედ მღვდლებმა და მათმა სულიერმა შვილებმა მიაყენეს მორალური და ფიზიკური შეურაცხყოფა თავიანთი პოზიციების ღიად დაფიქსირებისათვის მამა გიორგი ჩაჩავასა და მამა ზაზა თევზაძეს. ამ და კიდევ მრავალ სხვა ფაქტზე არც საპატრიარქოსა და არც სამართალდამცავებს ჯერჯერობით, რეაგირება არ მოუხდენიათ. ჰოდა, სტუდენტებმაც ჩათვალეს, რომ ეს ასეა საჭირო, რომ ეს ნამდვილი ქრისტიანული საქციელია და განსხვავებული აზრის მქონე თავიანთ თანაკურსელებს დაერივნენ. როგორც დეკანოზი ბასილ კობახიძე აცხადებს: **"ამ წერილშივე იყო დაფიქსირებული, რომ კათოლიკოს-პატრიარქი მის გარემოცვას იზოლაციაში ჰყავს მოქცეული. ჰოდა, სწორედ ეს გარემოცვა აწვდის მას არასწორ ინფორმაციას ამ სტუდენტების შესახებ. ამბობენ, რომ მას განზრახული აქვს, ეს ახალგაზრდები ეკლესიის მტრებად გამოაცხადოს. თუკი ეს ასე მოხდა, მაშინ არსებობს საშიშროება, რომ ჩვენი ისედაც აგრესიულად განწყობილი საზოგადოების ნაწილი ამ ახალგაზრდებს, რომლებმაც სინდისის წინაშე უკან არ დაიხიეს, ფიზიკურად გაუსწორდეს. საზოგადოებამ, როგორმე, ხმა უნდა მიაწვდინოს პატრიარქს და სთხოვოს, დასკვნების გამოტანას ნუ იჩქარებს".**

ნოდარ ლადარია: **"აქ ვრცლად სალაპარაკო არაფერია. თუმცა, ეს სულაც არ არბილებს მომხდარი ფაქტის საშინელებას. ყველამ უნდა იცოდეს, არ არსებობს არანაირი კანონიკური და სარწმუნოებრივი საფუძველი, რომელიც ადამიანს უკრძალავს საკუთარი ეკლესიის ფარგლებში ილაპარაკოს იმაზე, რასაც მას სინდისი კარნახობს. ისღა დაგვრჩენია, ვაღიაროთ, რომ თუ ამ წერილმა საპატრიარქოსა და სასულიერო აკადემიაში ამგვარი რეაქცია გამოიწვია, ე.ი. რაც იქ წერია, მართალია".**

შეხვედრაზე შეკრებილი ადამიანები ამბობდნენ, რომ მიუღებელია ვინმეს დევნა თავისუფალი აზრის გამოხატვისათვის, მით უმეტეს, თუ ეს დევნა ეკლესიის წიაღში ხორციელდება.

**"თუ ეკლესიას სურს, საზოგადოებაში ჯანსაღი როლი ითამაშოს, ის უნდა იყოს ღია, ჩაკეტილობა ხომ საბჭოთა წყობის რუდიმენტია და იგი ეკლესიას არ უნდა ახასიათებდეს"**, - ასეთი იყო იმ ადამიანების აზრი, ვინც სტუდენტთა მხარდასაჭერად გუშინ ლიტერატურულ კაფეში შეიკრიბა.

**"არსებობს შვიდი საიდუმლო. გარდა ამ საიდუმლოებებისა, არ შეიძლება ეკლესიაში იყოს რაიმე დამალული. როდესაც სჭირდებათ სიამაყით ამბობენ, რომ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის 83,9 პროცენტი მართლმადიდებელი ქრისტიანია, სხვა შემთხვევაში კი, იგივე ხალხი ამბობს, რომ ეკლესია ცალკე მდგომი ინსტიტუტია და მის შესახებ არავინ არაფერი უნდა იცოდეს. საეკლესიო დოგმატები, ჭეშმარიტება დემოკრატიული განხილვის გზით მიიღებოდა და არა სული წმინდას პირდაპირი ინსპირირებით. ღია საზოგადოების იდეა ქრისტიანული იდეაა, ამას კი ჩვენ დღეს ეკლესიაში არ გვასწავლიან. წესდება, რომელიც ადამიანს უკრძალავს გამოხატვის თავისუფლებს, თავისთავად ცხადია, სახარებისეულ სულისკვეთებას ეწინააღმდეგება. არანაირ წესდებაზე არ შეიძლება იყოს საუბარი, როდესაც სინდისი გაიძულებს, ასე მოიქცე და არა სხვაგვარად. ადამიანებმა იციან, რაც ხდება ეკლესიაში, მაგრამ დუმან ამის შესახებ. ჩვენ ასე ცხოვრება არ გვსურს. წესდებით მანიპულირება რექტორატს იმისათვის სჭირდება, რომ საზოგადოების ყურადღება ამაზე გადაიტანონ და ჩვენს წერილში დასმულ პრობლემებს დუმილით აუარონ გვერდი. ისინი იქცევიან როგორც ადმინისტრატორები და არა როგორც სულიერი მოძღვრები"**, - ასეთია ხელმომწერ სტუდენტთა პოზიცია.

# "ქორო - გუნდური კავშირი"


"მაგთიკომმა" 2004 წელს მრავალი ახალი მომსახურება დანერგა და შესთავაზა ქართველ მომხმარებელს. მომსახურებები, როგორიცაა MMS და GPRS-ი ქართული მობილური კომუნიკაციის ბაზრისათვის სიახლეს წარმოადგენდა. თუმცა, მიუხედავად ზემოთქმულისა, ქართველმა მომხმარებელმა დროის უმოკლეს ვადაში ახალი სერვისები გაითავისა და დღეს ისინი საკმაოდ დიდი პოპულარობითაც სარგებლობენ. მომსახურება **ქორო** კი სიახლეს წარმოადგენს არა მხოლოდ ქართველი, არამედ ევროპელი მომხმარებლისთვისაც.

**ქორო** "მაგთიკომის" ახალი მომსახურებაა, რომელიც წარმოადგენს ჩვეულებრივი მობილური ტელეფონისა და ტრანკული სისტემის, ე.წ. რაციის გაერთიანებას.

"მაგთიკომი" ევროპაში პირველად აცხადებს Push-to-Talk (ფუშ-თუ-თოქ) ტექნოლოგიაზე დაფუძნებული სერვისის - **ქოროს** უკვე კომერციულ სტადიაზე გაშვებას. ამ სისტემისთვის განკუთვნილი ტელეფონი ჩვეულებრივი მობილური ტელეფონისგან გარეგნულად მხოლოდ ერთი დამატებითი ღილაკით გამოირჩევა. მასზე თითის დაჭერით ხდება დაკავშირება სასურველ აბონენტთან ან აბონენტთა ჯგუფთან, რომელთა ნომრები წინასწარ არის შეყვანილი ტელეფონის მეხსიერებაში. ამ დროს მიმღები აბონენტი ან აბონენტები, SMS-ის მსგავსად, მომენტალურად იღებენ ხმოვან შეტყობინებას.

ეს სისტემა წააგავს მსოფლიოში ფართოდ გავრცელებულ ჩეთს (chat), რომელშიც აბონენტები ერთმანეთს ტექსტურ შეტყობინებებს უგზავნიან, იმ განსხვავებით, რომ აქ, ტექსტის ნაცვლად, იგზავნება ხმოვანი შეტყობინება.

თუ ჩვეულებრივი რაციის მუშაობის ზონა შემოიფარგლება საკმაოდ შეზღუდული არეალით, **ქოროთი** სარგებლობას მომხმარებელი შეძლებს ყველგან, სადაც ვრცელდება "მაგთიკომის" დაფარვის ზონა - ანუ საქართველოს დასახლებული ტერიტორიის 95%-ზე.

**P.S.** დღეს 13:30 საათზე (ჯიქიას ქ.N5) შპს "მაგთიკომი" აწყობს პრესკონფერენციას მომსახურების "ქორო - გუნდური კავშირის" კომერციულ რეჟიმში გაშვებასთან დაკავშირებით.


სკოლის ასაკის ბავშვებსა და მოზარდებზე ზრუნვა ექიმების უპირველესი მოვალეობაა. პროფესიის გარდა, ჩვენც ვართ მშობლები და გვინდა ჩვენი მომავალი თაობა იყოს ჩვენი საქმის, ოჯახის ტრადიციების გამგრძელებელი. შესაბამისად, თითოეული ჩვენგანი ადევნებდა თვალყურს განათლების სფეროში მიმდინარე ცვლილებებს.

ახალი გარემო, მით უმეტეს სკოლა, დიდი სტრესია პატარისათვის. მოზარდებს უხდებოდათ ურთულესი, ზოგჯერ დიდებისთვისაც გაუგებარი პროგრამის ათვისება, მაგრამ ყველა ბავშვი ხომ ერთნაირი ნიჭისა და უნარის არ არის და დიდი ნაწილი პატარებისა იჩაგრებოდა, ითრგუნებოდა და იკეტებოდა საკუთარ თავში, რაც იწვევდა გარკვეულ დაავადებებს.

აქედან გამომდინარე, ჩვენ, ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს თანამშრომლები, ვიზიარებთ და მხარს ვუჭერთ განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმებს, რომელიც მოიცავს სასკოლო პროგრამის გამარტივებას მოზარდის ასაკის შესაბამისად. ასევე ტესტური გამოცდების სისტემას, რომელიც უმაღლეს სასწავლებლებში ცოდნის მაღალი დონის შენარჩუნების გარანტად მიგვაჩნია.

თანამშრომელთა სახელით
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **გ. ცეცხლაძე**

მსოფლიოს, განსაკუთრებით სკოლის ასაკის ბავშვებსა და მოზარდებს ემუქრება სიმსუქნის პანდემია, რომელიც შემდგომში გამოიწვევს ისეთი დაავადებების რაოდენობის ზრდას, როგორიცაა შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2. ეს დაავადება უწინ ძირითადად ვითარდებოდა 35 წლის ზემოთ ასაკის პირებში, მაგრამ დღეისათვის სულ უფრო გახშირდა ტიპი 2 შაქრიანი დიაბეტის შემთხვევები ბავშვთა ასაკში. ამის ძირითადი მიზეზია ჰიპოდინამია, არაჯანსაღი ცხოვრების წესი და კვება.

უნდა აღინიშნოს, რომ პაციენტთა ადრეული გამოვლენა და დაავადებათა პრევენცია ეკონომიკურად მეტად მომგებიანია როგორც პაციენტისთვის, ისე სახელმწიფოსთვის, ვიდრე დაავადებათა გართულებების მკურნალობა.

ჩვენი აზრით, სასკოლო პროგრამის გამარტივება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ბავშვთა ფსიქოლოგიურ ადაპტაციას. გარდა ამისა, ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ კარგ მოსწავლეს არ დასჭირდება წლობით მისაღები გამოცდების ჩაბარება სასურველი სპეციალობის დასაუფლებლად, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს სტრესის ფაქტორს.

აქედან გამომდინარე, განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმები, ეს არის ჯანსაღი თაობის აღზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი. ამიტომ, აჭარის ექიმთა ასოციაცია დადებითად აფასებს და მხარს უჭერს განათლების სისტემაში მიმდინარე პროგრესულ რეფორმებს, რომლებიც იქნება მიმართული მოზარდი თაობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისაკენ.

*აჭარის ექიმთა ასოციაციის თავმჯდომარე,*
*მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი* ***ს. ღლონტი***

აჭარაში უკვე 12 წელია ფუნქციონირებს სამედიცინო ფაკულტეტი. მოგეხსენებათ, ყოველთვის, რთული იყო მისაღები გამოცდების ჩაბარება. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ღირსეული კადრის გაზრდაც შევძელით, იყვნენ და არიან ისეთი სტუდენტებიც, რომლებიც ცოდნით არ შეესაბამებიან არჩეულ პროფესიას.

ქ. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის პროფესორ მასწავლებლები მივესალმებით განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმებს და ვიმედოვნებთ, რომ მისაღები გამოცდების ნაცვლად ტესტური სისტემის შემოღება ბევრად წინგადადგმული ნაბიჯია ღირსეული ახალგაზრდების შესარჩევად.

ჩვენ ვიზრუნებთ იმისათვის, რომ ჩვენი ფაკულტეტი ღირსეულად ჩაებას რეფორმებიდან გამომდინარე პროცესებში, რათა გავხდეთ კონკურენტუნარიანი.

პროფესორ-მასწავლებელთა სახელით
სამედიცინო ფაკულტეტის დეკანის
მოვალეობის შემსრულებელი, მედიცინის მეცნიერებათა
კანდიდატი, დოცენტი **კ. ქაშიბაძე**
კერძო ქირურგიის კათედრის გამგე, მედიცინის
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ა. ბერიძე**

# კონკურენცია ძალადობის გარეშე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა "სტუდენტური არაძალადობრივი კონკურენციის აქტს" მოაწერეს ხელი და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს მიმართეს, სახელმწიფო უნივერსიტეტში გართულებული კრიმინოგენული ვითარების მოწესრიგების მიზნით.*

თამარ ჭაჭანიძე

თსუ-ს სტუდენტების შინაგან საქმეთა მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილისადმი მიმართვაში ვკითხულობთ, რომ ხშირია უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და მაღლივი კორპუსების მიმდებარე ტერიტორიაზე სტუდენტთა დაყაჩაღების ფაქტები. გარდა ამისა, რექტორისა და სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებზე, საკუთარი შეხედულებების გამო, სტუდენტთა აქტიური ნაწილი მკვეთრადაა გამიჯნული. ამიტომ, საკუთარი პოზიციების გარკვევა სამართლებრივ და ზნეობრივ ჩარჩოებს სცდება და ქუჩურ დაპირისპირებებში გამოიხატება. სტუდენტები მოითხოვენ, უნივერსიტეტის აღნიშნული კორპუსების მიმდებარე ტერიტორიისთვის გამოიყოს საპატრულო პოლიციის ავტომანქანები; შესაძლებლობიდან გამომდინარე, გაიზარდოს და გაძლიერდეს უნივერსიტეტის დაცვის სამსახური.

**"უნივერსიტეტის კორპუსები ღია ტერიტორიებია და თსუ-ს სტუდენტების გარდა, აქ სხვა ახალგაზრდებიც მოძრაობენ. უნივერსიტეტის დაცვის სამსახური შეუიარაღებელია და არც ჩხრეკის უფლება აქვს, საქართველოს კონსტიტუციიდან გამომდინარე. ამიტომ, ჩვენც დიდი სიამოვნებით ვუჭერთ მხარს სტუდენტებს და პატრულის თითოთითო ავტომანქანის მორიგეობას მოვითხოვთ პირველ და მაღლივ კორპუსებთან, რათა დროულად მოხდეს რეაგირება დაყაჩაღებისა თუ სხვა დაპირისპირებების დროს"**, - აცხადებს თსუ-ს დაცვის სამსახურის უფროსი დავით შარაბიძე.

თსუ-ში სტუდენტთა თვითმმართველობის არჩევნები რექტორის არჩევნების შემდეგ ჩატარდება. ამიტომ, დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ ვინ იქნება უნივერსიტეტის რექტორი. დაპირისპირებული სტუდენტების რიცხვიც იზრდება. ამ დროისთვის თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად უკვე ოთხი სტუდენტური გაერთიანებაა ჩამოყალიბებული. "სტუდენტთა ლიგასა" და "სტუდენტურ კლუბს" "ერთიანი სტუდენტური მოძრაობა" და სტუდენტთა ახალი გაერთიანება "ალტერნატივა" შეუერთდნენ.

ერთ-ერთი მათგანი - "სტუდენტური კლუბი", "სტუდენტური არაძალადობრივი კონკურენციის აქტის" მიღების ინიციატივით გამოვიდა. დარბაზში სოლიდარობის გამოსახატავად "ერთიანი სტუდენტური მოძრაობის" წევრებიც გამოჩნდნენ. სტუდენტები აღნიშნავენ, რომ სტუდენტთა აქტიური ნაწილი, სხვადასხვა პოზიციის გამო, მკვეთრად არის გამიჯნული; არის საშიშროება, სტუდენტთა კონკურენცია გადაიზარდოს პიროვნულ დაპირისპირებებში. ამიტომ, მოითხოვენ: **"ყოველგვარი პოზიციისა და განსხვავებული აზრის დაფიქსირება მოხდეს პირადი თუ ზოგადი შეურაცხყოფის გარეშე; ყოველი საუნივერსიტეტო და სტუდენტთა პრობლემური საკითხი განხილულ იქნეს დიალოგის, დისკუსიის, შეხვედრების და მოლაპარეკების გზით; სტუდენტური სასწავლო, სამეცნიერო, საარჩევნო და სხვა სახის კონკურენცია არ უნდა გასცდეს ზნეობრივ და სამართლებრივ ჩარჩოებს".**

# „ყაზბეგის პროცესის" გაგრძელება

*თბილისში სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა საერთაშორისო კონფერენცია თემაზე "თემთაშორის დიალოგი ქართულ-ოსური ურთიერთობების განვითარებაში".*
*დანიის ლტოლვილთა საბჭოს მხარდაჭერით მოწყობილი კონფერენციის ჩატარების ინიციატორები იყვნენ ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის საქართველოს ეროვნული კომიტეტი, ცხინვალის რეგიონის გაერთიანებული თემების წარმომადგენლები, ვლადიკავკაზში და ცხინვალში არსებული არასამთავრობო ორგანიზაციები. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ ექსპერტები, სახელმწიფო სტრუქტურების, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომელთაც რეალური კავშირები აქვთ ქართულ-ოსურ კონფლიქტთან.*

ლელა მარგიანი

რიგით მეორე კონფერენცია წარმოადგენდა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ა.წ. 27-28 ივლისს ჩატარებული სამშვიდობო მოძრაობა - "ყაზბეგის პროცესის" გაგრძელებას და მიზნად ისახავდა თემთაშორისი ურთიერთობების გამყარებას, ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირებას, კავშირების განვითარებასა და კონსტრუქციული დიალოგის ჩამოყალიბებას. სამდღიანი შეხვედრა მნიშვნელოვანი იყო იმით, რომ პირველად იქნა განხილული კონფლიქტის ზონაში მცხოვრებ პირთა უსაფრთხოება, უფლებები და ინტერესების დაცვის საკითხები.

კონფერენცია დასრულდა ჟურნალისტთა სახლში ჩატარებული პრესკონფერენციით, რომელზეც "ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის საქართველოს ეროვნული კომიტეტის" ხელმძღვანელმა ალექსანდრე რუსეცკიმ აღნიშნა, რომ ბევრი საელჩო დაინტერესდა მათი მოძრაობით. მაგრამ, მათ ასეთივე დაინტერესება ვერ იგრძნეს ოფიციალური სტრუქტურების მხრიდან. თუმცა, ეს შეიძლება იმდენად გასაკვირი არ იყოს, რადგანაც ოფიციალური სტრუქტურები თავად არიან ჩართულები ამ პროცესში. რუსეცკის აღშფოთებას უფრო ოპოზიციური პარტიების უყურადღებობა და აღნიშნული საკითხისადმი მეცნიერთა უინტერესობა იწვევს.

პრესკონფერენციას ესწრებოდა ცხინვალში მცხოვრები ქართველი ქალბატონი (ვინაობას მისივე თხოვნით ვერ დავასახელებთ), რომელმაც აღნიშნა, რომ ცხინვალში ირღვევა არამხოლოდ ქართული, არამედ ოსური მოსახლეობის უფლებები. ქალბატონმა საყვედური გამოთქვა ეუთო-ს დამკვირვებლების მიმართ: **"მათ მანდატით ევალებათ ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევების მხოლოდ აღრიცხვა და ისინი ამასაც კი არ აკეთებენ. ისინი, უბრალოდ, შეხმატკბილებულები არიან ცხინვალის ხელისუფლებასთან და თავის ატკიებაც კი არ უნდათ".**

ბოლო წლების განმავლობაში სამშვიდობო ღონისძიებებზე 20 მილიონი დოლარია დახარჯული, რეალური შედეგი კი არ ჩანს, - ითქვა პრესკონფერენციაზე.

კონფერენციის მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია, რომ ისინი უარყოფითად აფასებენ მოლაპარაკებების პროცესებს, რომ ადამიანთა დაღუპვის გამო, მთელ პასუხისმგებლობას აკისრებენ საქართველოს ოფიციალურ სტრუქტურებსა და არაღიარებული სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობას; რუსეთის ქმედებებს მიიჩნევენ პროვოკაციულად, რომელიც მხოლოდ ხელს უწყობს კონფლიქტის ესკალაციას; მკვეთრად უარყოფითად აფასებენ ეუთო-ს მისიის მოღვაწეობას.

კონფერენციის მონაწილეებს მიაჩნიათ, რომ უნდა შეიქმნას პრობლემის შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო კომისია. 20 ნოემბრიდან დაიწყოს ფართომასშტაბიანი ღონისძიებები ტერისტორიის ასაფეთქებელი მოწყობილობებისა და ნაღმებისგან გასაწმენდად, ხოლო 23 ნოემბერს - მაშინ, როდესაც ორივე ხალხი აღნიშნავს გიორგობას, გამოცხადდეს სრული მორატორიუმი ცეცხლის შეწყვეტაზე.

# საკუთარ მომავალზე ფიქრი სიკვდილმისჯილთა საკანში

თამარ კაციტაძე

*1980-91 წლებში საქართველოში სიკვდილით დასჯა 124 ადამიანს შეეფარდა, აქედან 65 პირის მიმართ სასიკვდილო განაჩენი აღსრულდა. განაჩენთა უმეტესობა დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობისთვის იყო გამოტანილი, ექვსი განაჩენი კი, ძალადობის გარეშე ჩადენილი ეკონომიკური დანაშაულისთვის. 1994-1996 წლებში დახვრიტეს 14 პატიმარი. 1997 წლის ნოემბერში, ევროსაბჭოს რეკომენდაციის თანახმად, საქართველოში სიკვდილით დასჯა გაუქმდა, სამი თვით ადრე კი, 54 სიკვდილმისჯილ, პატიმარს პრეზიდენტის შეწყალების საფუძველზე, სასჯელის უმაღლესი ზომა 20 წლით თავისუფლების აღკვეთით შეეცვალა.*



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*დახვრეტის აღსრულების საკანში, რომელიც, ფაქტობრივად, მუზეუმის ფუნქციას ასრულებს, დღესაც აწყვია სოდის ყუთი, გვამის გადასატანი "მაშა", სისხლის მოსარეცხი ცოცხი, დახვრეტილთა ფეხსაცმელი და სხვა ნივთები.*

საქართველოს უახლესი წარსულის არცთუ სასიამოვნო სტატისტიკური მონაცემი დღეს იმ საკნის კედელზეა გამოკრული, სადაც რამდენიმე წლის წინ კანონის სახელით ათობით ადამიანი გამოასალმეს სიცოცხლეს. სამწუხაროდ, როგორც ამბობენ, დახვრეტილთა შორის იყვნენ ადამიანები, რომლებიც სასჯელის უმაღლეს ზომას ნამდვილად არ იმსახურებდნენ. სიკვდილით დასჯის ინსტიტუტი წარსულს ჩაბარდა, შესაბამისად, ფუნქცია დაკარგა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №1 საპყრობილის იმ საკანმა, სადაც თვალებახვეულ სიკვდილმისჯილს ჯალათი სამ სასიკვდილო ტყვიას კეფაში აჭედებდა.

სიკვდილმისჯილთა საკნიდან დახვრეტის აღსრულების ოთახამდე მიმავალ მიწისქვეშა, ბნელ, ნესტიან და გრძელ გვირაბს გუშინ თბილისის 157-ე სკოლის მოსწავლეები მიუყვებოდნენ.

**"ეს საშინელებაა. ძლიერი ემოციური სტრესი მივიღეთ, რომელსაც ვერასოდეს დავივიწყებთ",** - ამბობდნენ სიკვდილმისჯილთა გზის გასავლელად ექსკურსიაზე მისული მოსწავლეები, რომლებსაც საპყრობილის დღევანდელი ხელმძღვანელობა, ყოველგვარი შელამაზების გარეშე, ადამიანების დახვრეტის პროცესს უყვებოდა.

**"დახვრეტის პროცესს ესწრებოდა სამი ადამიანი - პროკურორი, ექიმი და აღმსრულებელი (ჯალათი). ამ საკანში შემოყვანილ სიკვდილმისჯილს ხელფეხს თოკით უკრავდნენ, სპეციალური ორმოს წინ მუხლებზე აყენებდნენ და ჯალათი თავის არეში "მაკაროვის" სისტემის იარაღიდან სამჯერ ესროდა. გარდაცვლილი რკინის "მაშით" დროებით მეორე ორმოში გადაჰქონდათ, დაქცეულ სისხლს სპეციალური სოდით რეცხავდნენ, სისხლიან ორმოს ნახერხს აყრიდნენ, რომ მეორე პატიმარზე არ ემოქმედა და მომდევნო სიკვდილმისჯილი შეჰყავდათ. ზოგჯერ ერთ დღეში ათამდე პატიმარიც დაუხვრეტიათ. სიკვდილმისჯილებს იაღლუჯას მთაზე ასაფლავებდნენ,"** - ასეთი ისტორიის მოსმენა მოუწიათ მოსწავლეებს წარსულიდან შემორჩენილი ნივთების ფონზე. დახვრეტის აღსრულების საკანში, რომელიც, ფაქტობრივად, მუზეუმის ფუნქციას ასრულებს, დღესაც ალაგია სოდის ყუთი, გვამის გადასატანი "მაშა", სისხლის მოსარეცხი ცოცხი, დახვრეტილთა ფეხსაცმელი და სხვა ნივთები.

**"მსგავსი ღონისძიებები მოზარდთა მიერ დანაშაულის ჩადენის ალბათობას შეამცირებს. ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ კანონმორჩილი თაობა აღვზარდოთ, რათა მათ ფსიქიკაში ფეხი არ მოიკიდოს შავი სამყაროს გავლენამ,"** - ამბობს 157-ე სკოლის სამართლის პედაგოგი რომან ჩხაიძე.

ღონისძიების ერთ-ერთი ორგანიზატორის, არასამთავრობო ორგანიზაციის - "დედამიწა ჩვენი სახლია" - წარმომადგენელი ელგუჯა ხოდელიც დარწმუნებულია, რომ საპყრობილეების მონახულება და იქ არსებული პირობების გაცნობა, მოზარდებში დანაშაულის შემცირებას შეუწყობს ხელს.

რამდენად გაამართლებს გუშინდელი ექსპერიმენტი და მოახდენს თუ არა იგი გავლენას მომავალში 157-ე სკოლის მოსწავლეების ცხოვრებაზე, ძნელი სათქმელია.

**"საშინელებაა. პატიმრები მართლაც გაუსაძლის პირობებში არიან. არანაირი სურვილი არ მაქვს, ამათი ბედი გავიზიარო. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ბევრი მათგანი ცხოვრებამ მიიყვანა ციხემდე. როცა შიმშილის გამო იპარავენ, ამაში სახელმწიფოა დამნაშავე. ამიტომ, დანაშაულამდე რომ არ მივიდეთ, ხელშეწყობა გვჭირდება,"** - გვითხრა 15 წლის ლევან კოჭლამაზაშვილმა. ამ აზრს მისი ყველა მეგობარი იზიარებდა.

# "საპყრობილეში "სტავკების" ოდენობა კატასტროფულად გაიზარდა"

"საქართველოში ციხეები ყვარყვარეს საპატიმროს ჰგავს, კარები თუ დაიკეტა, ესე იგი "ეტევა", - აცხადებს არასამთავრობო ორგანიზაცია "ყოფილი პოლიტპატიმრები - ადამიანის უფლებებისათვის" ხელმძღვანელი ნანა კაკაბაძე. მისივე თქმით, ამჟამად ქვეყანა პიარით იმართება, შესაბამისად, ვითარება უფრო უარესდება, რაც განსაკუთრებით პენიტენციარულ სისტემაზე აისახა. "ვერ ხერხდება გირაოს ინსტიტუტის განვითარება, რაც, შესაბამისად, შეამცირებდა წინასწარ აღმკვეთ ღონისძიებად პატიმრობის შეფარდებას. ის, რაც ხდება, გირაოს ინსტიტუტი კი არა, რეკეტია. გაიზარდა პატიმართა რიცხვი და შემიძლია გითხრათ, დღეს წინასწარი დაკავების საკნები გადაჭედილია. იქ გათვალისწინებული 13-ის ნაცვლად, 60 კაცი ათევს ღამეს. ამ პირობების გამო ადამიანები წამების მდგომარეობაში არიან. იმატა კორუფციამაც. "სტავკების" ოდენობა კატასტროფულად გაიზარდა. ამ ვითარებაზე იუსტიციის სამინისტრო ყურს არ იბერტყავს, ჩვენ კი იმის გამო, რომ ციხეში არ გვიშვებენ, არგუმენტირებული ფაქტების წარდგენას ვერ ვახერხებთ. ნიშანდობლივია, რომ ფაქტების წარდგენა მაშინაც გაძნელდებოდა, რადგან ეს ის ვითარებაა, როცა ფულის გამცემსაც და ამღებსაც არსებული სიტუაცია ხელს აძლევს. წარმოიდგინეთ, 13-კაციან საკანში 60 კაცი ზის, ეს ხალხი ხომ იძულებულია, ზედამხედველს სთხოვოს საკნის გაღება. ზედამხედველმა იცის, რომ ეს კანონდარღვევაა და მას უნდა ულიირდეს ამის გაკეთება. შესაბამისად, იზრდება ეგრეთ წოდებული "ობშიაკის" თანხები", - აცხადებს ნანა კაკაბაძე.

"ყოფილი პოლიტპატიმრები - ადამიანის უფლებებისათვის" ხელმძღვანელი მიიჩნევს, რომ ციხეებში პატიმრების მდგომარეობის გაუარესება ადეკვატურად აისახება საზოგადოებაზეც. "ვერ წარმოიდგენთ, რა მდგომარეობაში არიან პატიმრების ოჯახის წევრები. მხოლოდ "პერედაჩის" გადაცემის პროცესი რომ ნახოთ, მიხვდებით, რა დონის კორუფცია მძვინვარებს. იუსტიციის სამინისტრომ კი კედლების შეღებვის ნაცვლად, სჯობს, იმ კედლების ამოშენება დაიწყოს, რომლებიც ამ შეღებვის დროს ჩამოიშალა. თუ სამინისტრო ამ ტემპით გააგრძელებს მუშაობას, დაპირებული ახალი ციხეების აშენებას ხუთ წელიწადშიც ვერ მოასწრებს", - აცხადებს ნანა კაკაბაძე.

*მედია-ნიუსი*

# ცხინვალი უარყოფს, თბილისი - ადასტურებს

ცხინვალი კატეგორიულად უარყოფს თბილისის განცხადებას იმის შესახებ, რომ გუშინწინ გორში დაკავებული გიორგი თედეევი სამხრეთ ოსეთის სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელი იყო. როგორც თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პრესისა და ინფორმაციის კომიტეტის თავმჯდომარე ირინა გაგლოევა აცხადებს, დაკავებულ თედეევს არასდროს ჰქონია კავშირი სამხრეთ ოსეთის სამართალდამცავ ორგანოებთან. მისი თქმით, თედეევი გორში იმ დროს დააკავეს, როცა ის ქართველი ნათესავის დაკრძალვაზე იმყოფებოდა.

გაგლოევა ეჭვით უყურებს თედეევისადმი იარაღით ვაჭრობაში წაყენებულ ბრალდებას და თვლის, რომ ამ შემთხვევაში ქართული მხარე გამოძიებაში ჩართავდა ცხინვალის სამართალდამცავ ორგანოებს, რაც არ მომხდარა.

თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოში კი კვლავ კატეგორიულად ირწმუნებიან, რომ თედეევზე ქართველ სამართალდამცავებს დიდი ხნის განმავლობაში ჰქონდათ ოპერატიული ინფორმაცია და ცხინვალის "ომონის" ყოფილი უფროსი საბრძოლო მასალებისა და იარაღის ვაჭრობაში იყო ეჭვმიტანილი. როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, სამხრეთ ოსეთის წინა მოწვევის პარლამენტის დეპუტატი გიორგი თედეევი თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტთან ედუარდ კოკოითთან დაახლოებული პირია.

შეგახსენებთ, რომ დაკავებისას თედეევს დიდი რაოდენობით ცეცხლსასროლი იარაღი, ხელყუმბარები და საბრძოლო მასალა აღმოუჩინეს.

*პრაიმ-ნიუსი*

საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია

ლიცენზირებისა და ნებართვების დანერგვის

პროექტი

უფასო სატელეფონო კონსულტაციები ლიცენზიისა და ნებართვის მიღებასთან დაკავშირებით

ლიცენზირების ცხელი ხაზი 93 64 75

პროექტის ფარგლებში გამოიცა გზამკვლევი "როგორ მივიღოთ მშენებლობის ნებართვა"

გზამკვლევი უფასოა

ცხელი ხაზი ფუნქციონირებს ყოველ დღე შაბათ-კვირის გარდა, 11-დან 19 საათამდე.

საკონტაქტო ინფორმაცია: მისამართი: ვ. ორბელიანის ქ. №35, თბილისი 0105; ე-მაილ: office@economists.ge

IRIS პროექტს ხორციელდება IRIS- საქართველოს მხარდაჭერით

# ოთხი ქართველი მეზღვაურის სასამართლო პროცესი გადაიდო

საბერძნეთის ტერიტორიულ წყლებში დაკავებული ოთხი ქართველი მეზღვაურის სასამართლო პროცესი, რომელიც გუშინ უნდა ჩატარებულიყო, 25 ნოემბრისთვის გადაიდო. ქართული მხარისთვის პროცესის გადადების მიზეზი უცნობია. როგორც ცნობილია, ხუთივე მათგანი მძიმე - ტრეფიკინგის ბრალდებით არიან გასამართლებულნი და 10-10 წლით პატიმრობა აქვთ მისჯილი. საბერძნეთის სასამართლოს მიერ გამოტანილი ეს განაჩენი თავის დროზე განსასჯელთა ადვოკატმა სააპელაციო წესით გაასაჩივრა და სწორედ ამის გამო მიმდინარეობს ქართველი მეზღვაურების საქმის ხელახალი განხილვა. პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის ელენე თევდორაძის განცხადებით, საბერძნეთში დაკავებულ ქართველ მეზღვაურებთან დაკავშირებით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო და პარლამენტი საქმის კურსში არიან, რადგან დაკავებულთა ოჯახებმა ორივე სახელმწიფო უწყებას მიმართეს დახმარებისთვის. თევდორაძის თქმით, საბერძნეთში დაკავებული მეზღვაურებიდან ერთი მედიკამენტების უქონლობის გამო გარდაიცვალა. ელენე თევდორაძეს დაკავებული ქართველი მეზღვაურების მეუღლეებმა მიმართეს და დახმარება სთხოვეს.

ადამიანის უფლებების დამცველი პარლამენტარი მიიჩნევს, რომ საბერძნეთში საქართველოს საკონსულომ აღნიშნულ პირებს სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს. "მნიშვნელობა არ აქვს, კანონიერად არიან დაკავებულები ქართველი მეზღვაურები, თუ უკანონოდ. მათ ყურადღება სჭირდება," - აცხადებს ელენე თევდორაძე.

გავრცელებული ინფორმაციით, ქართველ მეზღვაურებს სასჯელი შეუმსუბუქდებოდათ, თუ ისინი ტრეფიკინგის სათავეებში მყოფ პირებს დაასახელებდნენ, არადა, მათ ვინაობას მეზღვაურები არ ახმაურებენ.

საბერძნეთში საქართველოს საკონსულოს წარმომადგენლის განცხადებით, მეზღვაურთა მდგომარეობას საკონსულო მუდმივად აკონტროლებს და მას შემდეგ, რაც მათ საბოლოო განაჩენს გამოუტანენ, მათი საქართველოში ექსტრადიცია მოხდება.

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

____________________________________________

### ა ნ კ ე ტ ა

სახელი, გვარი..............................................................

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი ...................................

საკონტაქტო ტელეფონი....................................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" შენობის 1-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".



# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

აფხაზური დღიური

## რძალ-მამამთილიანი

მინდა გიამბოთ იმის შესახებ, თუ როგორ დაველაპარაკე პირველად ჩემს მამამთილს. საქმე იმაშია, რომ ჩვენი, აფხაზური წეს-ჩვეულებით, ოჯახში ახალმიყვანილ რძალს არა აქვს უფლება, დაელაპარაკოს არც დედამთილს, არც მამამთილს და არც ოჯახის სხვა უფროს წევრს.

მართალია, დროთა განმავლობაში, გინდა თუ არა, დედამთილთან დალაპარაკება მაინც გიწევს, მაგრამ მამამთილთან დაკავშირებით, საქმე უფრო რთულადაა.

გათხოვების პირველ წელსვე მე დავიწყე ლაპარაკი ქმრის ოჯახის სხვა უხუცეს წევრებთან, მაგრამ მამამთილთან დალაპარაკება ასე "ადვილად" არ შეიძლებოდა. მე მგონი, ამაში ცუდი არაფერია - ეს ხომ ქმრის გამზრდელი მამის პატივისცემის ნიშანია. თუმცა, ამჟამად ბევრს აფხაზეთში მიაჩნია, რომ ეს წარსულის გადმონაშთია.

აი, ასე ვცხოვრობდით: ვერ ველაპარაკებოდი ჩემს მამამთილს ერთი წელი, ორი წელი, სამი წელი და ასე გავიდა, არც მეტი, არც ნაკლები, ათი წელი. მე არამცთუ არ ველაპარაკებოდი მას, არამედ იმ ოთახიდან გასვლისას, სადაც იგი იმყოფებოდა, მისკენ ზურგითაც კი არ ვტრიალდებოდი. ამავე დროს, მიუხედავად იმისა, კარგ ხასიათზე ვიყავი, თუ ცუდზე მას მხოლოდ ვუღიმოდი. ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც კი არ მიმიცია ჩემი თავისთვის უფლება, მის წინ გამევლო. ამდენი ხნის მანძილზე, ყოველთვის ვგრძნობდი, რომ ოჯახში ყველას მოსწონდა, რომ მე, თანამედროვე გოგონა, ასე ვიცავდი ძველ აფხაზურ ტრადიციებს.

მაგრამ მაშინ, როდესაც ბავშვები უკვე წამოიზარდნენ, გადავწყვიტე, რომ ბოლოს და ბოლოს დრო იყო, ჩემს მამამთილს დაველაპარაკებოდი. დახმარება დედამთილს ვთხოვე, მაგრამ იგი ცივად შეხვდა ჩემს იდეას.

ამ დროს მე და ჩემი ქმარი უკვე ცალკე ვცხოვრობდით, ქალაქში. ერთხელაც მამამთილი გვესტუმრა. ბავშვებისა და ჩემ გარდა შინ არავინ იყო. და მე გადავწყვიტე - ან ახლა, ან არასდროს, დაე მოხდეს მოსახდენი! ვცდი მამამთილთან დალაპარაკებას-მეთქი.

მოვუმზადე ვახშამი, გავუწყვე მაგიდა...და გავბედე ხმის გაცემა. ვუთხარი: "მამა, ივახშმეთ, ალბათ უკვე მოგშივდათ"...

ეს სიტყვები წარმოვთქვი და თავადაც შემეშინდა საკუთარი ხმის. მას ხომ ათი წელია, ჩემი ხმა არ გაუგონია! ეს გავიფიქრე და მაშინვე ოთახიდან ჩემს საძინებელში გავვარდი. გულს ბაგა-ბუგი გაუდიოდა, ასე მეგონა, საგულედან ამომივარდებოდა. ხელები და მთელი სხეული მიკანკალებდა.

ცოტა ხანში თავი ხელში ავიყვანე და გავიფიქრე, რომ რახან გავბედე და ხმა ამოვიღე, ჩემი პოზიციები კიდევ უფრო უნდა გამემტკიცებინა. თორემ ხომ შეიძლება ეფიქრა, რომ ეს ჩემდაუნებურად მომივიდა. ყავა მოვუდუღე, შევუტანე ოთახში და ვუთხარი: "ყავა მოგიხარშეთ, თქვენ ხომ გიყვართ?"

იგი კარგა ხანს მიყურებდა გაოცებული თვალებით, მაგრამ ბოლოს თავი ველარ შეიკავა და გამიღიმა.

მერე ყურადღებით ვუსმენდი მის საუბარს, მინდოდა მივმხვდარვიყავი, ხომ არ ეწყინა ჩემგან ასეთი ქცევა, მაგრამ არანაირი გაბრაზება ან გაღიზიანება არ ისმოდა მის ხმაში. პირიქით, იგი პატივისცემით მესაუბრებოდა და მეც გულზე მომეშვა.

როდესაც ქმარი სახლში მოვიდა, ვუამბე ჩემი "გმირობის" ამბავი. არც მას გავუმტყუნებივარ.

ასე, რომ ერთ ჩვეულებრივ საღამოს უცებ, ერთი ხელის მოსმით, გადავწყვიტე პრობლემა, რომელიც გადაუწყვეტელი იყო მთელი ათი წლის განმავლობაში. ჩვეულებისამებრ, ასეთ შემთხვევებში, მამამთილი არის ხოლმე რძალთან საუბრის დაწყების ინიციატორი. უფროსი წყვეტს საკითხს, რძალი კი უბრალოდ ემორჩილება უფროსის გადაწყვეტილებას. ჩემს შემთხვევაში კი, მისთვის რომ მეცადა, ალბათ, ძალიან, ძალიან დიდ ხანს მომიწევდა მოცდა.

**რუბრიკას უძღვება**
**ლელა მარგიანი**

პროექტი "ცხოვრებისეული ისტორიები" მიმდინარეობს ბრიტანული ორგანიზაცია "შერიგების რესურსების" მხარდაჭერით.
ჩანაწერები მოგვაწოდა რადიოპროგრამა "პოსტფაქტუმმა".

# დადგა ჟამი აფხაზთა და ქართველთა შერიგებისა

### ომით დაბრუნებაზე ფიქრს მებრძოლებიც ერიდებიან

აფხაზთა და ქართველთა ცალცალკე, დამოუკიდებლად ცხოვრება შეუძლებელია, რადგანაც ჩვენი ერთობა არ არის ერთი ან ორი საუკუნის და ხელოვნურად წარმოშობილი. ქართველებიც და აფხაზებიც ამ კუთხის მკვიდრი მოსახლეობაა. ჩვენი საერთო უბედურებაა ის, რომ უცხო ძალამ, რომელიც ყოველთვის იყო კავკასიაში დესტაბილიზაციის შემქმნელი, მოახერხა ქართველთა და აფხაზთა დაპირისპირება.

აფხაზეთის დამოუკიდებლობა იმ წარმოდგენით, რასაც აფხაზთა ვაილიდერები და სხვებიც "უხატავენ" აფხაზებს თავის მოტყუებაა და სხვა არაფერი, რადგანაც აფხაზები დამოუკიდებელნი მხოლოდ საქართველოში და ქართველებთან შეიძლება იყვნენ, ისევე, როგორც საქართველოს დამოუკიდებლობა მხოლოდ აფხაზ ერთან ერთად არის შესაძლებელი. განგება ყველა "პოლიტიკოსს" (ეროვნების მიუხედავად) მიუჩენს ადგილს ნაგავსაყრელზე, ხოლო ხალხი მუდამ ერთად იქნება და მათზეა მხოლოდ აფხაზთა და ქართველთა მომავალი დამოკიდებული.

**დროებით (11 წლის) დაშორიშორებას რომ საომარი მოქმედებების განახლება და სისხლისღვრა არ მოჰყვა, ეს აშკარად მიუთითებს აფხაზთა და ქართველთა სიბრძნეზე და ღვთის ნებაზე**, რომელმაც ჩვენი ცოდვების მონანიებისათვის და სერიოზული განსჯისათვის მოგვცა დრო. მხოლოდ უგუნურ ადამიანს შეუძლია იმის იმედად ყოფნა, რომ კიდევ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ქართველები შეეგუებიან უაფხაზეთოდ არსებობას. დროა, რეალურად გადავდგათ ნაბიჯები თანაცხოვრებისაკენ და ამ მიზნის მისაღწევად მხოლოდ გარეშე ძალების იმედზე ნუ ვიქნებით.

ჩვენი დაპირისპირება მესამე ძალის მიერ (აქ არა მარტო რუსეთი, არამედ ბევრი ეროვნებით ქართველი და აფხაზიც უნდა ვიგულისხმოთ) რომ არის ინსპირირებული, კარგად ვიცით და ისიც კარგად უნდა გავიგოთ, რომ ჩვენი ერთობით იგი უკან დაიხევს. ისე გამარჯვებული არც აფხაზი იქნება და არც - ქართველი.

ისიც რეალობაა, რომ საქართველოს დაშლას არცერთი ქვეყანა არასდროს შეეგუება და ამის არავითარი შანსი არ არსებობს. ამაზე მიუთითებს აშშ-ს, ევროპის ქვეყნებისა და რუსეთის ლიდერთა განცხადებებიც. აშკარაა, რომ საქართველოსათვის (მათ შორის აფხაზეთისთვისაც) მსოფლიო პოლიტიკის წარმმართველი ქვეყნების მიერ განსაკუთრებული მისიაა მინიჭებული და ამ მისიის შესრულება მხოლოდ აფხაზებთან ერთად იქნება შესაძლებელი.

აფხაზეთში იარაღის გამოყენება ქართველთა და აფხაზთა შეცდომა იყო. ქვეყნის მმართველ იმ პირთა ნაწილი, ვისაც "წვლილი" მიუძღვის ამაში, დღეს ისტორიას ჩაბარდნენ, მათ შორის ნაწილობრივ აფხაზების მხრიდანაც. **შეცდომა იყო იმ დროს, არალეგიტიმური ხელისუფლების მიერ აფხაზეთში ჯარის შეყვანა და ამის აღიარება არაერთხელ მომხდარა. შეცდომა იყო აფხაზთა მიერ ქართველთა ნების დაუკითხავად ცნობილი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაც.** თუმცა ანალოგიური, თუ უფრო დიდი არა, შეცდომა იქნება ამ მოტივით ქართველებისა და აფხაზების ერთად ცხოვრების გამორიცხვის ქადაგება და აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობიდან გამოსვლაზე ფიქრიც კი. ასეთი იდეის დამკვიდრება, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ადრე თუ გვიან მხოლოდ სისხლისღვრასთან მიგვიყვანს. არა იმიტომ, რომ ქართველები უფრო პრივილეგირებულნი არიან და აფხაზებზე მეტი უფლება გააჩნიათ. უბრალოდ ქართველებიც ვერ შეეგუებიან აფხაზების მსგავსად წინაპართა მიწიდან და მშობლიური სახლებიდან აყრას, წინაპართა საფლავების მიტოვებას. ეს კი ქართველთა და აფხაზთა განადგურების მეტს არაფერს მოიტანდა. მიუხედავად იმისა, თუ ვის მიუძღვის ჩვენგან მეტი ბრალი მომხდარში, (ქართველებიც და აფხაზებიც მხოლოდ თავიანთ ოჯახებს, წინაპართა მიწას იცავდნენ) დაუყოვნებლივ უნდა გადავდგათ რეალური ნაბიჯები ქართველთა და აფხაზთა გასაერთიანებლად ერთიან საქართველოში.

ფაქტია, რომ იყო თვითნებური დანაშაულებრივი ქმედებები, როგორც ქართველთა, ასევე აფხაზთა მხრიდანაც. ჩვენს შორის პროვოცირებული ომის დროს წარმოქმნილი მტრობის მეტად დასაძაბად იყო მესამე ძალის პროვოკაციული მოქმედებებიც. მაგალითად, 1992 წლის 24 ივნისს სოხუმის ცენტრში მშვიდობიანი მოსახლეობის დაბომბვა. ვერავინ დამაჯერებს, რომ ეს აფხაზთა გადაწყვეტილება იყო.

ამ ფაქტებს შეფასება აუცილებლად უნდა მიეცეს, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს მხოლოდ ენგურს იქეთ დარჩენილი მოსახლეობის მიერ. ძირითადი დამნაშავე კი მხოლოდ ხელისუფლება იყო და არა ხალხი. სწორედ მათი უვიცობით მოხდა ხალხის პატრიოტული გრძნობების არადანიშნულებისამებრ გამოყენება და შედეგად ძმათა სისხლისმღვრელი ომის პროვოცირება მივიღეთ. აფხაზური მხარე თითქოს კმაყოფილია, მაგრამ გასულ წლებს მათთვის სიმშვიდე არ მოუტანია და ვერც მოუტანდა.

დარწმუნებული ვარ, რომ ერთადერთი გარემოება, რის გამოც აფხაზები (და არა პოლიტიკოსები) აქამდე თავს იკავებენ და არ თანხმდებიან ქართველთა აფხაზეთში დაბრუნებაზე, მხოლოდ ქართველთა მხრიდან მათზე სავარაუდო შურისძიების შიშია, რასაც გარკვეულწილად საბაბიც გააჩნია. თუმცა, საკითხისადმი ასეთი მიდგომა მხოლოდ დროის უსაფუძვლოდ გაჭიმვას ემსახურება და მოსალოდნელი სისხლისღვრის მომავალი თაობისათვის გადაბარებას ნიშნავს. უნდა დაიჯეროთ, რომ ენგურს აქეთ თითქმის არ არსებობს აფხაზთა მიმართ შურისძიების გრძნობა და თუ არსებობს, ისიც მხოლოდ მანამდე, სანამ ჩვენ ერთმანეთისგან ხელოვნურად ვართ დაცილებულნი. ეს რეალობაა.

იმავდროულად საღი აზრის გამარჯვებაზე მიუთითებს ის გარემოება, რომ სკოლებში ბავშვებს არ უნერგავენ აფხაზთა სიძულვილს ან აფხაზეთში ძალის გამოყენებით და შურისძიების მიზნით დაბრუნების იდეას. პირიქით, ომით დაბრუნებაზე ფიქრს მებრძოლებიც ერიდებიან, რადგან კვლავ გააჩნიათ რწმენა იმისა, რომ ორივე მხარეს ეყოფა გონიერება, მოინანიოს შეცდომები. ნურავის დაუჯერებთ, ვინც საწინააღმდეგოს დამტკიცებას შეეცდება. აფხაზეთში უნდა დაბრუნდეს ყველა ქართველი, აფხაზი და სხვა ეროვნების წარმომადგენელი, ვინც დღეს იქედან დევნილია. ყველა მებრძოლი (და არა დამნაშავე) მიუხედავად ეროვნებისა და იმისა თუ ვის მხარეზე იბრძოდა, ვინც რწმენით საკუთარ ოჯახს, მიწას, წინაპართა საფლავებს და აფხაზეთში არსებულ ძირძველ ტრადიციებს იცავდა და თავი დადო ბრძოლებში, უკვდავყოფილი უნდა იყოს.

ნუ დაიჯერებთ იმას, რომ ქვეყნის ახალი ხელმძღვანელობა ძალის გამოყენებაზე იფიქრებს აფხაზეთის საკითხის მოგვარებისას. დაიჯერეთ, რომ ეს თაობა მხოლოდ აფხაზთა და ქართველთა გაერთიანებაზე გააკეთებს აქცენტს და ამ მიმართებით, ალბათ, თამამ და არაპოპულარულ ნაბიჯებსაც გადადგამს აფხაზთა ინტერესების გასათვალისწინებლად (მე პირადად მიმაჩნია, რომ აფხაზეთის ფაქტობრივ ხელისუფლებასთან "ოფიციალური" მოლაპარაკებები უნდა გაიმართოს). ნურც აფხაზებს შეაშინებს ის გარემოება, რომ ეს მთელი საქართველოს ინტერესების გათვალისწინების ეგიდით მოხდება. საბოლოოდ, გამარჯვებულები აფხაზები და ქართველები იქნებიან. ეს მსოფლიო თანამეგობრობის მოთხოვნაც არის, თუმცა რაც მთავარია, პირველ რიგში ქართველი და აფხაზი ხალხის მოთხოვნაა.

აფხაზებს და ქართველებს, რომ ერთად უნდათ ცხოვრება, ეს ფაქტია და თავს ნუ მოვიტყუებთ. აფხაზეთში ჩატარებული ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნები გარკვეულწილად ადასტურებს კიდეც ამას. გამარჯვებული ჩვენს დაპირისპირებაში არავინ რომ არ არის და ვერც ვერასდროს იქნება, ესეც, ალბათ, ყველამ გაიგო. მთავარია, ქართველებმა და აფხაზებმა გადადგან კონკრეტული პირველი ნაბიჯები აფხაზეთში დევნილთა დაბრუნებისაკენ და შემდეგ ყოველგვარი ეჭვი გაიფანტება. აფხაზებო და ქართველებო, ნუ შევქმნით მტრის ხატს ერთმანეთისგან, მაშინ როდესაც ჩვენს შორის მტრობა არ არსებობს.

რაც უფრო დიდხანს გაგრძელდება ჩვენი დაშორიშორება, მეტად გავახარებთ ეშმაკს და ამით კი მხოლოდ გავზრდით დაპირისპირების რისკს, აქედან გამომდინარე გარდაუვალი სავალალო შედეგებით.

ალბათ, პირველი ნაბიჯები მიტოვებული საფლავების მონახულებისათვის ხელსაყრელი პირობების რეალური და სასწრაფო შექმნა უნდა იყოს, რაც წინაპართა სახელების შელახვის გამო ორივე მხარის მიერ მონანიებისაკენ გადადგმული სერიოზული ნაბიჯი იქნება და ნდობის აღდგენას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს. ამ ეტაპზე, ალბათ, ორივე მხარისათვის სანდო ქვეყნის ან ქვეყნების ჯარების გამოყენება დაგვჭირდება რაიმე პროვოკაციის თავიდან ასაცილებლად და ამაში, იმედია, საქართველოს ახალ ხელმძღვანელობას აფხაზებთან ერთად სერიოზული მხარდაჭერა ექნება.

**უნდა გადავდგათ რეალური ნაბიჯები აფხაზეთის მართვისათვის ქართულ-აფხაზური ადმინისტრაციების შესაქმნელად, რაც პირველ რიგში აფხაზეთის მოსახლეობის (ორივე მხარის) წარმომადგენლებით დაკომპლექტდება. ამავე პრინციპით შევქმნათ პოლიცია და სხვა სტრუქტურები. შესაძლებელია, ერთად მომზადდეს სამხედრო ბატალიონები, თუნდაც "კომანდოს" ტიპის, რაც ასევე სერიოზული გარანტია იქნება ნდობის აღსადგენად.**

მოიძებნება საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ კონტროლირებადი ისეთი გარანტიები, რაც რეალურად უზრუნველყოფს აფხაზური სახელმწიფო წარმონაქმნის და აფხაზთა რეალურ დამოუკიდებლობას საქართველოში, მაგრამ ეს საკითხი არამც და არამც არ უნდა იქნეს გამოყენებული დროის გასაჭიანურებლად. დღევანდელი სიტუაციის შენარჩუნება ადრე თუ გვიან აშკარად მეტ მსხვერპლამდე მიგვიყვანს. თუ რატომ არ შეიძლება ასეთი ფუნქცია მხოლოდ რუსეთს დაეკისროს, ეს ორივე მხარეს კარგად გვესმის. ნუ მოვიტყუებთ თავს მცდარი მოსაზრებით, რომ რუსეთი საბოლოოდ მხოლოდ ერთ ან მეორე მხარეს დაუჭერს მხარს. აფხაზთა და ქართველთათვის სასურველი გეგმა დღევანდელ რუსეთს აშკარად არ გააჩნია. თანაც, უახლოეს მომავალში მას სამხედრო ბაზების გაყვანაც მოუწევს საქართველოდან, მათ შორის აფხაზეთიდან. ამას ისინი თავადაც ვერ უარყოფენ. არ დაიჯეროთ იმ სატყუარის, რომ რუსეთი აფხაზეთში ან სხვაგან "თავისი მოქალაქეების" ინტერესებს დაიცავს. იმ ვითარებაში, როდესაც მსოფლიო თანამეგობრობა ნათლად ხედავს, რომ საქართველოს აფხაზეთში და "სამხრეთ ოსეთში" საომარი მოქმედებების წარმოების არავითარი სურვილი არა აქვს, ასეთ განმარტებებს მხოლოდ ფარული აგრესიის კვალიფიკაცია ეძლევა. ამას ისინი ბალტიისპირეთის ქვეყნებთან დაკავშირებითაც იძახდნენ, შედეგები ცნობილია.

უნდა გავიგოთ, რომ დადგა ჟამი აფხაზთა და ქართველთა შერიგებისა, რეალური გაერთიანებისა, აფხაზეთში დაბრუნებისა და მშვიდობიანი თანაცხოვრებისა. ქართველებმა და აფხაზებმა ერთად უნდა დავიბრუნოთ აფხაზეთი და, შესაბამისად, მთელი საქართველო. ეს ჩვენი მონანიება იქნება და ჩვენი ერების აყვავების საწინდარი გახდება. სხვა გზა არ არსებობს.

*ნუგზარ სალია,*
*დევნილი იურისტი*

# გავერთიანდეთ ენგურს გაღმა და გამოღმა

### ღია წერილი აფხაზეთის მოსახლეობას შინ და გარეთ

დიდმა ქართველმა მეფემ აფხაზეთიდან ბაგრატ III-ემ და მისმა თანამებრძოლებმა X საუკუნის ბოლოსათვის გააერთიანეს საქართველო. ასი წლის შემდეგ, მეორე უდიდესმა მეფემ დავით აღმაშენებელად წოდებულმა, "მესიის მახვილმა" ხმლითა და გონებით შეჰკრა სრულიად საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდის.

უდიდესმა მეფეთ-მეფემ საქართველოს ყველა მაშინდელ და მომავალ შვილებს ანდერძად დაუტოვა ერთიანობა, სიმტკიცე, რაინდობა, ქვეყნისათვის თავდადება, მოყვასის სიყვარული, უბრალოება, თანასწორობა, მშობლიური მტკაველი მიწის არდაკარგვა, ერონული თვითმყოფადობის შენარჩუნება, სამშობლოს მთლიანობა. მეფის გადაწყვეტილება - დაემარხათ ისე, რომ მის მკერდზე ყველას დაედგა ფეხი, თანამედროვე ცივილიზაციის ენაზე, სხვა არაფერია, გარდა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა უპირველესობისა, სახალხო სახელმწიფოს უზენაესობისა.

ათასი წლის შემდეგ, უფლის ნებით, საქართველოს კვლავ მოევლინა ერისა და სახელმწიფოს წინამძღოლი, რომელმაც ფიცი დადო, არა მარტო გააგრძელოს დიად წინაპართა გზა, არამედ კვლავ გააერთიანოს მტერთა მიერ დაგლეჯილი სამშობლო, არნახულ მწვერვალებზე აიყვანოს საქართველო, დაუმკვიდროს მას მსოფლიოში მისთვის უფლის ნებით მინიჭებული ადგილი, მოუპოვოს საქართველოს ყველა მოქალაქეს კეთილდღეობა და ბედნიერება.

ჩვენ ამ იმედით ვცოცხლობთ, ჩვენ ამ რწმენით ველოდებით მზის ყოველ ამოსვლას, თუმცა აფხაზეთის დაკარგვიდან ათ წელიწადზე მეტია, სიღატაკის, უძლურების კუნძულზე ვბინადრობთ, საზოგადოების კუთხეში ვართ მიყუჟული და თავს დევნილებად ვგრძნობთ საკუთარ ქვეყანაში. ენგურს გაღმა და გამოღმა.

ჩვენ უმოკლეს დროში გვპირდებოდნენ თავისუფლებისა და სამართლიანობის აღდგენას საზღვარგარეთელი მეგობრები, ჩვენი ყოფილი ხელისუფლება, მაგრამ, მოხდა ისე, რომ მსოფლიომ ძალისმიერი თუ მშვიდობიანი საშუალებებით მოიცალა ყველასათვის, ჩვენ კი კვლავ დიდსულოვანი ლოდინი გვირჩია; არადა, იქმნება შთაბეჭდილება, რომ თითქოს არაფერს ნიშნავდეს აფხაზეთიდან დევნილი და იქ დარჩენილი მოსახლეობის განუკითხავი ხოცვა-ჟლეტა, დამცირება, გაუპატიურება, ენის წართმევა, მონობაში ყოფნა, ქონების განადგურება, საკუთარ ეზოში ქურდულად შეპარვა, თავშესაფრებსა და მიწურებში ცხოვრება, მოქალაქის, ოჯახის, ბავშვის ყველა იმ უფლების დარღვევა, რომლის გარეშეც ახალ მსოფლიოში ადამიანი არ შეიძლება იწოდებოდეს ადამიანად.

ჩვენთვის დღევანდელი დილა არის მეოთხეათასეჯერ არსებობისათვის ბრძოლის დასაწყისი, რათა ვიშოვოთ საკვები და ტანმისაფარებელი, ღამე - დასაძინებელი, შუადღემდე - ავადმყოფისათვის წამალი და საოპერაციო თანხა, ხურდა ფული საშოვარზე მგზავრობისათვის, ჩასაცმელი და სახელმძღვანელოები მოსწავლეებისათვის; შუაღამიდან კი აფხაზეთისათვის ფიქრის დროა, რომელიც მაჯლაჯუნასავით გვაწვება და არ გვშორდება გათენებამდე.

ჩვენ აფხაზეთში შეზღუდული, მაგრამ სახელმწიფო გვქონდა. გვქონდა ჩვენი პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებები, ენა ქართული, საურთიერთობო ენაც, მოვალეობები, პასუხისმგებლობა, ჩვენი "მე," რომელთაც ავად თუ კარგად ვიყოფდით აფხაზებთან, სხვა ერის შვილებთან. გვქონდა ჩვენი სალოცავები, ჩვენი საფლავები, ადათები და ტრადიციები, რომლებიც სრულიად ქართული იყო და ამავდროულად - ადგილობრივი, მრავალეროვანი სინამდვილის ასახვა. ჩვენ გვყავდა ჩვენი საყოველთაოდ აღიარებული და ფორმალური ლიდერები.



ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

*ენგურის ხიდი. გაღმაც საქართველოა და გამოღმაც.*

აფხაზეთი საქართველო იყო ქვეყნის მოსახლეობაში მეხუთე ადგილით, ფართობით - მესამე, ეკონომიკის მოცულობით - მეოთხე.

რა დარჩა ახლა?

დრო ჩვენს წინააღმდეგ მუშაობს. ჩვენი ქვეყნისათვის დამღუპველი იქნება, თუ ვერ გავაცნობიერეთ, რომ კონფლიქტების მოგვარებისათვის დაუყოვნებელი ცვლილებები გადაუდებელია, ილუზიებისაგან გათავისუფლება გარდუვალი.

ჩვენ ყოველმხრივ მხარს ვუჭერთ ხელისუფლებას, მაგრამ მოვითხოვთ, ქვეყნის ხელისუფლებამ უფრო ენერგიულად გამოგვიყენოს, მოძრაობაში ჩართოს აფხაზეთის ჯერ კიდევ შემორჩენილი ინტელექტუალური თუ ადამიანური რესურსები, უნიჭიერესი ახაგაზრდობის პოტენციალი ცოცხალ საქვეყნო საქმეში ჩააყენოს, ყველა თაობას, ომის შვილებს მოუნახოს თავისი შესაფერისი საქმე.

რაღა დასამალია და ადრე აფხაზეთის ადგილობრივი ქართველობის მიმართ იყო გარკვეული უნდობლობა, რასაც შესანიშნავად იყენებდნენ სეპარატისტები და კარიერისტები სხვა რეგიონებიდან; ეს ყოვლად გაუმართლებელი და დანაშაულებრივი პრაქტიკა, იმედია, არ გაგრძელდება.

ათწლიანმა გაუსაძლისმა ყოფამ, დამცირებამ და შეურაცხყოფამ ჩვენი რიგები შეამჭიდროვა, მთლიანობაში მონოლითური გახადა. ომი და სისხლი, თუნდაც დამარცხება, ადამიანის ცხოვრებაში ყველაზე დიდი გამოცდაა. ვინც როგორ არ უნდა იმართლებდეს ამჟამად თავს, ადგილობრივი ქართველობა ომში არ დამარცხებულა, ამას აფხაზები და ვოლონტერებიც აღიარებენ; დამარცხდა ქვეყნის ხელმძღვანელობა, დამარცხდა ქართველობა ათასჯერ ძლიერ მოწინააღმდეგესთან და ისიც მტრისათვის მოღალატეთა პირდაპირი ხელშეწყობით.

ახლა შესანიშნავად ვიცით, რომ ცალ-ცალკე ჩვენ ვერ ვივლით, რადგან უკანდასახევი გზა უკვე არ დარჩა. ჩვენ მანამდე არ დავწყნარდებით, სანამ აფხაზეთში არ დავბრუნდებით ხელისუფლების ნებით თუ სკუთარი ძალისხმევით, ყოველისა და თითოეულის პირადი წვლილით. ჩვენ არ დავმშვიდდებით, სანამ სიმართლე არ გაიმარჯვებს, სანამ ქართველები და აფხაზები ერთად არ დავიწყებთ დანგრეულის აღდგენას.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ მრავალმა თქვენთაგანმა აქ და აფხაზეთში უბედურების ქარ-ცეცხლი გამოიარა, ბევრი ვერ ეღირსა მშობლიურ საძვალეთში დაბრუნებას, რასაც თქვენი შვილები არასოდეს აპატიებენ საკუთარ თავს, მაგრამ აუცილებელია, განვაგრძოთ გზა იმ რწმენით, რომ დაუმსახურებელი ტანჯვა არის მონობისაგან თავის დახსნის ერთადერთი სულიერი და ფიზიკური გზა.

ჩვენ უფალმა ყველა თანასწორი შეგვქმნა, მაგრამ, ამასთან ყველას მიგვიჩინა თავისი კუთხე და თავისი საკეთებელი საქმე. მთავარი ჯერ კიდევ არ გაგვიკეთებია და წინ გველოდება; იგი ხელისუფლებასთან ერთად უნდა განისაზღვროს, სანამ ჩვენი მოთმინების ფიალა მთლიანად არ დაიცალა. ჩვენ ვალში ვართ აფხაზეთის წინაშე: აფხაზეთი ჩვენს შვილებს, შვილიშვილებს, მიუხედავად მათი ეროვნული წარმომავლობისა, ჩვენვე უნდა დავუბრუნოთ, რადგანაც ჩვენს ხელში დაიკარგა. მოწესრიგების პროცესში ჩვენი წვლილი უნიკალურია და შეუცვლელი. აფხაზებთან, იქ მცხოვრებ სხვა ადამიანებთან, გაუჭირდებათ სხვებს საუბარი!

აფხაზეთში დემოკრატიის ნათელმა შეაღწია, გაიხლიჩა სისხლითა და თეთრი ძაფით ნაკერი ე.წ. აფხაზური მონოლითურობა. იქ, ჩვენს მიწაზე, დაპირისპირებათა გორდიას კვანძი იკვრება, რაც, ბუნებრივია რომ, არც ერთ ჩვენთაგანს გულგრილად არ დაგვტოვებს, შორიდან მაყურებლის ფუნქციას არ დაგვაკისრებს. როგორადაც არ განვითარდეს იქ მოვლენები, ჩვენ ჩვენი გზა გვაქვს, გზა, რომელმაც უმოკლეს დროში აფხაზეთში უნდა მიგვიყვანოს. სხვა არჩევანი ჩვენი თაობის სიკვდილის ტოლფასია.

უფლის, საქართველოს, ერისა და ხალხის, აფხაზეთისა და სრულიად საქართველოს ყველა სალოცავის, აფხაზეთში დაღუპული ყველა თქვენი შვილებისა და ახლობლების სახელით მოგმართავთ, რათა გავერთიანდეთ ენგურს გაღმა და გამოღმა, გადავდოთ უტკივილესიანი გაჭირვება აფხაზეთისათვის, ჩვენი თავისუფლებისათვის, ჩვენი ღირსებისა და სახელისათვის, რათა მტერმა და მოყვარემ ნახოს, რომ ჩვენ სხვა სხეულისაგან ვართ ნაკეთი, ჩვენ გვაქვს უმაგალითო თავმოყვარეობა და სიმტკიცის ცეცხლი, წესი და რიტუალი, გული და გონება, რითაც ჩვენმა წინაპრებმა სათავე დაუდეს საქართველოს გაერთიანებას, რომლის დიდება და სახელი საუკუნეთა ქარტეხილებმა ვერ წაშალეს და რომლის უკვდავება, მიუხედავად ყოველივესი, დღემდე გენეტიკურადაა თითოეულ ჩვენთაგანში და შარავანდედად გვადგას თავზე.

**აფხაზეთში ამჟამად ოქროს შემოდგომაა. კვლავ თაკარობს მზე, ზოგჯერ ბრაზობს ლილისფერი ზღვა, ვარსკვლავები ლამის ჩამოცვენილან ციდან, ელვარებენ კავკასიონის ყინულისქუდიანი მწვერვალები, ზოგჯერ ისე დაუშენს, რომ ცაზე აგიყვანენ წვიმის ჩანჩქერები.**

**ახლა ჩვენს ეზოებში ფოთოლცვენაა და გადარჩენილი ნარინჯოვნების პარადი; აქა-იქ შემორჩენილა მაყვლისფერი ადესის მტევნები, კივი და ფეიხო, ხურმა და კაკალი.**

**შორეულ სოფელში, სადღაც ხევ-ხუვში, მოგუდულად მღერის ქართველი, კვნესის, უფრო ზუსტად. ასეთი რამ პირველად ხდება. ეტყობა უფლის ნებაა, რომელიც გვეძახის, ნიშანს გვაძლევს სახვალიოდ, სიმბოლოა სამოქმედოდ სამზადისისათვის.**

**ეტყობა, დგება ჟამი თავისუფლებისა!**

**გაუმარჯოს ჩვენი და ყველა ბუნებით თავისუფალი აფხაზის თავისუფლებას!**

**რაფიელ გელანტია**
*საზოგადოებრივი კავშირის - "დემოკრატია და კეთილდღეობა" თავმჯდომარე*

„მინდა, მხოლოდ შენ გიყვარდე"

მერილინ მონრო აქტუალობას არასდროს კარგავს



B3

სტარკოვი ლატვიას ემშვიდობება



B4

ომი ვიდეოციფრული მომავლისთვის



B7

# ახალი სახე პროფკავშირებში

*პარასკევს, 19 ნოემბერს საქართველოს პროფკავშირების გაერთიანება თავმჯდომარეს ირჩევს. კანდიდატურა ორია - ჯერ ისევ მოქმედი თავმჯდომარე ირაკლი ტუღუში და სააქციო საზოგადოება თელასის პროფკავშირების თავმჯდომარე ირაკლი პეტრიაშვილი. პირველს საზოგადოება იცნობს, მეორე შედარებით ახალი სახეა. ვინ არის იგი და რა გეგმები აქვს? "24 საათის" მკითხველს ამ კითხვებზე პასუხების მიღება დღეს შეუძლია.*

მაკა ჯაიანი

**- რაც ახალი საქართველო არსებობს, პროფკავშირების გაერთიანების ხელმძღვანელი ირაკლი ტუღუშია. რატომ გადაწყვიტეთ მის ადგილზე თქვენი კანდიდატურის დაყენება, მით უმეტეს, რომ პროფკავშირები ჩვენთან დღეს, ფუნქციური თვალსაზრისით, სერიოზულ ორგანიზაციად არ აღიქმება?**

- სწორედ ამიტომ დააყენა ჩემი კანდიდატურა პროფკავშირების ახალგაზრდულმა საბჭომ და მომსახურების სფეროს მუშაკთა პროფკავშირმა. პროფკავშირები უნდა გახდეს ქმედითი, საზოგადოებისთვის მისაღები და, ვინაიდან საზოგადოებას და მეც, გამიჩნდა იმედი, რომ საქართველო, როგორც სახელმწიფო, ბოლოს და ბოლოს, შედგება, რომ ყველაფერი გაკეთდება ქვეყნის ასაღორძინებლად, მინდა, ამ საქმეში პროფკავშირმაც თავისი წვლილი შეიტანოს. რაც შეეხება ტუღუშს, მუდმივი თავმჯდომარეობის გამო, მე მას საფარ მურად ნიაზოვს ვეძახი. სხვა ქვეყნის პრეზიდენტის ლანძღვას არ ვაპირებ, მაგრამ ფაქტია - მათი მეთოდები ერთმანეთს ჰგავს. ნიაზოვი ერთპიროვნულად განკარგავს ქონებას, რომელიც თურქმენ ხალხს ეკუთვნის, მათ კი ეუბნება, - ნუ ნერვიულობთ, ეს ქონება ჩემს პირად ანგარიშზეა დაცული შვეიცარიის ბანკშიო; ამასთან ნიაზოვი მთელი ცხოვრება, მას შემდეგ რაც ერთხელ აირჩიეს, უკვდავი ხელმძღვანელია. ასე უნდა ტუღუშსაც, იყოს ხალხის უკვდავი, მარადმწვანე ლიდერი, თუმცა ლიდერობა როგორ გამოსდის და რას აკეთებს, რა ადგილი უკავია პროფკავშირებს ამ საზოგადოების განვითარებაში, თავადაც მშვენივრად ხედავთ. სურათი სავალალოა.

**- რამდენი წელია, ტუღუშის მოადგილე ხართ?**

- როგორც მოადგილე, ვარ ორი წელი, ნომინალურად კი, ხაზს ვუსვამ - ნომინალურად, კიდევ წელიწადნახევარი.

**- რას გულისხმობთ ამ ხაზგასმაში?**

- გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილედ მე ბოლო ყრილობაზე ამირჩიეს. ტუღუშმა ჩემი კანდიდატურა თავად წარადგინა, საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის ერთგვარი ხარკის გადახდის მიზნით. საერთაშორისო ორგანიზაციებსაც იგივე აზრი აქვთ საქართველოს პროფკავშირების გაერთიანების მუშაობაზე, როგორიც ჩვენ - იციან, რომ საქმე არც ისე კარგადაა. მათ გამოთქვეს სურვილი, მოემზადებინათ ახალგაზრდა კადრები, პროფკავშირულ საქმიანობაში აქტიურად ჩასართველად, იმისთვის, რომ ეს ორგანიზაცია როგორმე გამოცოცხლებულიყო, საბჭოთა ჩარჩოებიდან გამოსულიყო და დამსგავსებოდა დასავლური ტიპის პროფკავშირს, რომელიც დემოკრატიის განვითარებასა და სოციალურად სამართლიანი საზოგადოების შექმნაში საკმაოდ დიდ მონაწილეობას იღებს. ამ მიზეზით, აშშ-ს პროფკავშირების დახმარებით, გერმანელი ლექტორის ხელმძღვანელობით, საქართველოს მასშტაბით 16 ახალგაზრდა გადამზადდა პროფკავშირულ ლექტორად, მათ შორის - მეც. მხოლოდ ამ პირობების გათვალისწინებით დამასახელა ტუღუშმა თავის მოადგილედ.

**- ე.ი. ეს იყო კოსმეტიკური ცვლილება?**

- რა თქმა უნდა. ამით ტუღუშმა მადლობა გადაუხადა საერთაშორისო ორგანიზაციებს, კერძოდ, მსოფლიოს თავისუფალი პროფკავშირების კონფედერაციას, რომელშიც მიიღეს. მის წარმომადგენლებთან თუ ჩემთან საუბარში იგი ყოველთვის აღნიშნავდა, რომ პროფკავშირებში რეფორმებია გასატარებელი, რომ ახლა ჩვენ - ახალგაზრდები მოვდივართ ორგანიზაციაში და ის ჩვენთან ერთად გაატარებს ამ რეფორმებს. თანამდებობაზე დანიშვნიდან ერთი წლის განმავლობაში მეც და ჩემი მეგობრებიც ჯერ კიდევ ვიყავით იმედით, რომ რეფორმები, მართლაც, დაიწყებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. გაუთავებელი სასამართლო პროცესები ქონების დაბრუნების და არა ჩვენი წევრების, მუშაკთა სოციალური თუ შრომითი პრობლემების, მათი უფლებების დაცვის გამო, ქონების გადანაწილებისთვის ჭიდილი - აი, ამაში გავიდა წლები. მოვიდა ვარდების რევოლუცია და მთელი საზოგადოება დადგა იქ, სადაც დემოკრატიას იცავდნენ. ჩვენ მივედით და ვუთხარით ტუღუშს: ვამბობთ, რომ 350 ათასი კაცი ჰყავს პროფკავშირებს, 35 კაცი მაინც გავიყვანოთ და ვთქვათ, რომ ამ რევოლუციას საფუძველს სწორედ სოციალური პრობლემატიკა უქმნის; ეს ხომ ჩვენი უპირველესი ინტერესია და, პირველ ყოვლისა, პროფკავშირები უნდა იცავდეს, ამ კუთხით, ხალხს. მე ვერ ვიქნები ვერავის "შესტიორკა", - ზუსტად ამ სიტყვებით გვითხრა მან უარი. ამაზე სერიოზული კონფლიქტი მოგვივიდა - გამოდის, შენ საკუთარი ხალხის მოთხოვნების შემსრულებელი ვერ იქნები? ხალხმა სწორედ ამისთვის აგირჩია. ისინი კი არ არსებობენ შენთვის, შენ არსებობ მათთვის და მოვალე ხარ, მათი ინტერესები დაიცვა-მეთქი, - ვუთხარი.

კონფლიქტი მოგვივიდა შემდეგაც, როცა აჭარის წარმომადგენლობასთან გავმართეთ აქცია ასლან აბაშიძის წინააღმდეგ. იქ ჩვენს წევრებს ცხვირ-პირი დაუმტვრიეს, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. იქ არ ყოფილა საუბარი სააკაშვილი-ჟვანია-ბურჯანაძის მხარდაჭერაზე, იქ საუბარი იყო იმ ნიშის მხარდაჭერაზე, რასაც დემოკრატია ჰქვია. დემოკრატია თუ არ არსებობს ქვეყანაში, იქ პროფფკავშირებს არაფერი ესაქმება - ანუ ჩვენ სისხლ-ხორცეულად უნდა ვყოფილიყავით დაინტერესებული ამ მომენტით. ტუღუში სხვაგვარად ფიქრობდა. ქაღალდზე, როგორც ადრე იყო, რა თქმა უნდა, ვიქნებოდით, მაგრამ იმ ფუნქციას, რომელიც პროფკავშირებს რეალურად აქვს, ვერაფრით შევასრულებდით. მას სწორედ ამ მდგომარეობის შენარჩუნება უნდოდა. გუბერნატორები ხელს უწყობდნენ იმას, რომ ტუღუში გამხდარიყო პროფკავშირების თავმჯდომარე; აჭარის დელეგაციიდან 60 ხმა ჩამოდიოდა და ჯიბეში უპრობლემოდ უჩხრიალდებოდა - თანამდებობაზე დარჩენის გარანტია ჰქონდა. მართალია, ამ პირობებში ორგანიზაცია თავისი პირდაპირ მოვალეობის შემსრულებელი ვერ იქნებოდა, მაგრამ ტუღუში სისხლ-ხორცეულად იყო დაინტერესებული მდგომარეობის შენარჩუნებით. ამისთვის მას მხოლოდ რამდენიმე ადამიანისთვის უნდა ეკმია გუნდრუკი: შევარდნაძისთვის, აბაშიძისთვის, შაშიაშვილისთვის, მეზვრიშვილისთვის - რომლებიც ისეთ დელეგატებს აგზავნიდნენ გაერთიანების ყრილობაზე, ტუღუშს თვალდახუჭულნი რომ აძლევდნენ ხმას.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

**- გარდა აქტიური, რევოლუციური ქმედებებისა, თქვენი მოადგილეობის პერიოდში გქონდათ რაიმე რეფორმატორული წინადადება ან ინიციატივა, რომელიც მიაწოდეთ ირაკლი ტუღუშს, მაგრამ გათვალისწინებული არ იქნა?**

- რამდენიმეს ჩამოვთვლი. რეფორმებთან დაკავშირებით, ჩვენ გვქონდა კონკრეტული მონახაზი და ის ტუღუშს შევთავაზეთ. ბორჯომმინწყლები ავიღოთ - მისი გაყიდვიდან შემოსული თანხით ორგანიზაციაში იყიდეს კომპიუტერები, რომელთა გამოყენება ბევრმა დღემდე არ იცის, გააკეთეს რემონტები საკურორტო ობიექტებში, რასაც ახლა ტუღუში, საკუთარი თავისუფლების სანაცვლოდ, ხელისუფლებას აძლევს და ა.შ. ჩვენ დავაყენეთ წინადადება, - გაერთიანებას ორგანიზაციული განმტკიცება სჭირდება. ჩვენი რეიტინგი, თუ ზოგიერთ დარგობრივ ორგანიზაციას არ ჩავთვლით, ფაქტობრივად, ნულის ტოლია. მოდით, ეს ფული სხვაგვარად გამოვიყენოთ - გავუშვათ ის ხალხი, ვინც, ასაკის თუ მენტალიტეტის გამო, ნაბიჯს ვერ გვიწყობს და, რადგან სოციალური ფონი მძიმეა და ძნელია, ამდენი ხნის ნამუშევარი ადამიანი სახლში 17-ლარიან პენსიაზე გავუშვათ, კომპენსაცია მივცეთ, მათ ადგილებზე კომპეტენტური კადრები მოვიყვანოთ და გავმართოთ რეალური, საქმიანი დიალოგი ხელისუფლებასთან. ტუღუშმა ამას კურორტ "მენჯის" გარემონტება ამჯობინა.

ჩვენ გვქონდა კონკრეტული პროგრამა საორგანიზაციო კუთხით. საუბარია ანალიტიკური ცენტრის ჩამოყალიბებაზე, რომლის ბაზაზეც, მოხდებოდა დასავლეთის პროფკავშირების გამოცდილების გაზიარება, რომელიც ძალიან ძლიერია. ამ გზით, მუშაკთა სოციალურ-ეკონომიკური უფლებების დაცვა, მათი სოციალური გარანტიების შექმნა გახდებოდა შესაძლებელი. თუ ჩვენ მხოლოდ დასავლური ფინანსები არ გვაინტერესებს, თუ ისიც გვინდა, ჩვენი დასაქმებულები მონებივით არ იყვნენ, ეს ინფორმაცია უნდა გამოგვეყენებინა. არც ეს წინადადება იქნა მიღებული. არ ვიცი, რა გუნებაზე დგება ტუღუში, როცა საკუთარი კაბინეტის ფანჯრიდან იყურება და ელიავას ბაზრობასა და იმ ხიდს უყურებს, სადაც დღიური მუშები იკრიბებიან. მე, პირადად, მთლად კარგად ვერ ვგრძნობ თავს, როცა ლუკმაპურის საშოვნელად გარეთ გამოსულ ამდენ თანამემამულეს ვხედავ. არაფორმალურ სექტორში პროფკავშირების შექმნა გაუზრდიდა მეწარმეს კონკურენციას. დასაქმებულიც დაცული იქნებოდა და სახელმწიფო ინტერესებიც. ჩვენ შევედით ამ წინადადებით, მაგრამ ისიც უარყოფილი იქნა. ამით პროფკავშირებმა დაკარგა სახელმწიფოსთან სერიოზული სოციალური პარტნიორობის შანსი. ტრიპარტიზმი - ხელისუფლება-მეწარმე-პროფკავშირები - მთელ მსოფლიოშია აღიარებული; საერთო შეხების წერტილები მოიძებნება და მათი იგნორირება არ შეიძლება. ჩვენ კი დასაქმებულთა მდგომარეობის გამოსწორების ეს შესაძლებლობა ხელიდან გავუშვით.

ეს მხოლოდ რამდენიმე მაგალითია. ზუსტი ჩამონათვალი პროფკავშირების გაერთიანების დღევანდელი თავმჯდომარის მიერ იგნორირებული წინადადებებისა ყრილობაზე მექნება.

**- მიუხედავად ყველფრისა, რაც ჩამოთვალეთ, თქვენ თანამდებობა არ დატოვეთ. რატომ?**

- მე განვაცხადე, რომ ნომინალურად ვრჩები გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილედ არჩევნებამდე, რათა ტუღუშმა კიდევ ერთხელ არ დაიმკვიდროს ადგილი. ამ პიროვნებასთან ერთად პროფკავშირების რეგრესი ერთხელ და სამუდამოდ უნდა დამთავრდეს. პროფკავშირული ორგანიზაცია, მისი წესდება არ უნდა იყოს ერთ პიროვნებაზე მორგებული; მისი ხელმძღვანელები საზოგადოებისთვის, ხალხისთვის უნდა აკეთებდნენ საქმეს.

**- აჭარა ახსენეთ. იქ ყრილობა უკვე ჩატარდა და თქვენმა კანდიდატმა არჩევნებში ვერ გაიმარჯვა. ადგილზე პროფკავშირების ძველი ხელმძღვანელი დარჩა. ბევრისგან მომისმენია, რომ ირაკლი ტუღუში პოსტის შენარჩუნებას სწორედ აჭარის დელეგაციის მხარდაჭერით ახერხებდა. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ მას დღესაც აქვს ადგილის შენარჩუნების მყარი გარანტია?**

- აჭარის არჩევნები საკმაოდ საინტერესო თემაა. მე ვიტყოდი, რომ ჩვენ აჭარაში არჩევნები არ წაგვიგია და აი, რატომ: პირველად 17 წლის განმავლობაში აჭარაში დადგა ალტერნატიული კანდიდატურა; პირველად 17 წლის განმავლობაში ჩვენი დაჟინებული მოთხოვნით, კენჭისყრა ჩატარდა ფარულად; პირველად 17 წლის განმავლობაში ჩვენ პრეზიდიუმიდან გავაბრძანეთ დამსაქმებლები, გამგებელი და პარლამენტარი, რადგან მათ არაფერი ესაქმებათ პროფკავშირების ყრილობაზე. ეს ჩვენ გავაკეთეთ. ხალხმა დაინახა ჯანმრთელი მარცვალი. წაგებით, მათ წააგეს, მიუხედავად იმისა, რომ მათი კანდიდატი გახდა თავმჯდომარე. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ დოდო მექვაბიშვილს, ჩვეულებისამებრ, 85 ხმით გამარჯვების იმედი ჰქონდა, მაგრამ მხოლოდ 16 ხმით გაიმარჯვა. თავად ტუღუში დელეგატებმა ორჯერ ჩამოაბრძანეს ტრიბუნიდან, ისე, რომ სიტყვა არ დაამთავრებინეს. მე ვთვლი, რომ ყველაფერი ეს წაგება არ არის. მართალია, ჩვენი კანდიდატი ვერ გავიდა, მაგრამ იმ იდეას, რომლისთვისაც ჩვენ ვიბრძვით, ხვალ თუ ზეგ აუცილებლად გამოუჩნდება მეტი მომხრე. ხალხს ჯერ კარგად არ აქვს გაცნობიერებული, რისთვის სჭირდება პროფკავშირი, მოქმედმა პროფკავშირმა მას ეს საჭიროება ვერ დაანახა - არ იცის, რა სარგებლობა შეუძლია მოუტანოს და ა.შ. საბედნიეროდ, ნელ-ნელა ეს თემა ვითარდება და ხვალ თუ ზეგ პროფკავშირებს, საუბრისას, კომუნისტურ ლოგოს აღარ მიაკრავენ.

რაც შეეხება წმინდა ტექნიკურ მხარეს, ჩენი კანდიდატურის დამარცხება გამოიწვია ყრილობაზე დელეგატების არარსებული ორგანიზაციებიდან შემოყვანამ. ასეთებია, მაგალითად - "ბათუმტექსო", ბათუმის ფეხსაცმელების ფაბრიკა, ტყავის ქარხანა, სხვა მსგავსი საწარმოები, რომლებიც დღეს უკვე აღარ ფუნქციონირებენ.

**- ადვილი შესაძლებელია, გაერთიანების თავმჯდომარის არჩევნებიც იგივე სცენარით წარიმართოს.**

- არ არის გამორიცხული. მაქვს სერიოზული ინფორმაცია, რომ 19 ნოემბრის არჩევნები ყალიბდება. ყველაფერს გავაკეთებ, რომ ასე არ მოხდეს. სერიოზული წინააღმდეგობა მოჰყვება ამას. ჩემი მხარდამჭერები გაყალბებას ურეაქციოდ არ დატოვებენ.

**- რეაქციაში რას გულისხმობთ?**

- შეიძლება, ყრილობა ჩაიშალოს. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. ის, რასაც ჩვენ ვაჟღერებთ, ჯანსაღია, ჯანმრთელია. თუ ვითარება არ შეიცვალა, საქართველოს პროფკავშირების გაერთიანებაში დარჩება ისეთივე ქაობი, როგორიც დღეს არის. სახით ისევ ქონებისკენ იქნება შეტრიალებული ტუღუში და მისი გუნდი და ზურგით ხალხისკენ. ჩვენ გვინდა, ხალხისკენ ვიყოთ პირით შეტრიალებულები და ქონებისკენ - ზურგით. პროფკავშირულ ქონებას პროფკავშირების წევრებისთვის არაფერი მოუტანია. თქვენ ვერ ნახავთ გაერთიანების წევრს, რომელსაც მისი შეღავათით უსარგებლია. რა თქმა უნდა, კარგია, როცა ორგანიზაციას საკუთარი ინფრასტრუქტურა აქვს, მაგრამ მას საქმიანადაც უნდა იყენებდნენ. ჩვენ ვიცით, რა პრობლემების წინაშე დგას დღეს პროფკავშირები და რა სჭირდება მას. ჩემი კანდიდატურის დაყენებაც ამიტომ გადავწყვიტეთ. გავიმარჯვებთ - გავიმარჯვებთ, არ გავიმარჯვებთ და ჩვენ გვაქვს ჩვენი პროფკავშირი, სადაც საქმეს უკვე ვაკეთებთ და მომავალშიც გავაკეთებთ.

**- მაინც რა გააკეთეთ თქვენს პროფკავშირებში? რის გამო შეიძლება, ტუღუშის ალტერნატივას წარმოადგენდეთ? რატომ უნდა აგირჩიონ თქვენ?**

- დავიწყოთ იმით, რომ ჩვენ ვაიძულეთ დამსაქმებელი, ცხრაპუნქტიანი კოლექტიური შეთანხმებისთვის მოეწერა ხელი. თუ პროფკავშირს კოლექტიური ხელშეკრულება არ აქვს გაფორმებული, ჩათვალეთ, რომ ის პროფკავშირი პროფკავშირი არ არის. სხვათა შორის, გაერთიანებასაც უნდა ჰქონდეს გაფორმებული გენერალური ხელშეკრულება სახელმწიფოსთან, მაგრამ ეს დღემდე ვერ მოხერხდა. ჩვენ გვაქვს გაფორმებული კოლექტიური ხელშეკრულება დამსაქმებელთან, რომელიც კომპანიის თანამშრომლებს მნიშვნელოვან გარანტიებს აძლევს. მოკლევადიანი ხელშეკრულებები რა პრობლემაცაა, იცით. ამერიკელების პერიოდში იყო ერთთვიანი კონტრაქტები, რომელსაც ფსიქოზამდე მიჰყავდა ადამიანი - არ იცოდი, ერთი თვის შემდეგ გაგიგრძელებდნენ თუ არ გაგირძელებდნენ ხელშეკრულებას და, ამ სოციალურ ფონზე, ფაქტობრივად, ჰაერში იყავი გამოკიდებული. ჩვენ ვაიძულეთ ამერიკელი დამსაქმებელი, თანამშრომლებთან ხუთთვიანი კონტრაქტები დაედო. აქვე გეტყვით, რომ კომპანიაში რუსების შემოსვლის შემდეგ მათი ხანგრძლივობა ერთ წლამდე გავზარდეთ. უფრო მოკლევადიანი ხელშეკრულება დღეს თელასში არ არსებობს.

ჩვენ მუდმივ შტატში დავაბრუნეთ მოსამსახურეები, რომლებიც გადაიყვანეს ერთთვიან კონტრაქტებზე. ახლა თელასში სამსახურიდან ვერავის დაითხოვენ, თუკი პროფკავშირს ვერ დაუმტკიცებენ, რომ იგი გასათავისუფლებელია. გათავისუფლების შემთხვევაში, მას მინიმუმ, ხუთიექვსი თვის ხელფასის ოდენობის კომპენსაცია ეძლევა. ჩვენ ვითხოვდით, აქ დისკრიმინაცია არ ყოფილიყო და ერთნაირ სამუშაოზე მომუშავე ყველა დასაქმებულს ერთნაირი ხელფასი ჰქონოდა. ამასაც მივაღწიეთ. ვინაიდან ხელფასები იმ დონემდე ჯერ ვერ გავზარდეთ, რა მოთხოვნაც გვქონდა, ვაიძულეთ დამსაქმებელი, 200 კილოვატ საათი ელექტროენერგიის შეღავათი მიეცა მომსახურეთათვის. ეს დაიწყო ამერიკელების დროს და დღესაც ასე გრძელდება. აბსოლუტურად ყველა თანამშრომელს თელასში აქვს სამედიცინო დაზღვევა. თანხას დამსაქმებელი იხდის და ჩვენს მუშაკს შეუძლია, გაიკეთოს ნებისმიერი ოპერაცია, ისარგებლოს ნებისმიერი სამედიცინო მომსახურებით, გულის შუნტირების გარდა. ყველაფერი ეს აქციების, გაფიცვებისა და შიმშილობის ფონზე მოხდა. ჩვენ სერიოზული წინააღმდეგობა გავუწიეთ დაგეგმილ შემცირებებს და მიზანსაც მივაღწიეთ. ალბათ, ამის წყალობით მოხდა, რომ 2300-კაციან ორგანიზაციაში 100 კაცი ვერ იპოვეს ალტერნატიული პროფკავშირების შესაქმნელად, როცა მავანს ამის სურვილი გაუჩნდა.

ის, რაც თელასში პროფკავშირებს გაუკეთებია, უმნიშვნელო ნამდვილად არ არის. ვინც ჩვენთან მუშაობდა, სხვაგან გადავიდა სამუშაოდ და იქ არსებული სიტუაცია ნახა, იკითხა კიდეც, - კი, მაგრამ აქ პროფკავშირი არ არსებობსო? ამით მე უკვე მოგებული ვარ. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი გასაკეთებელი ერთ უბანზე მე უკვე გავაკეთე. იმასაც ვიტყვი, რომ თელასის თანამშრომლები, რომლებსაც საკუთარი პრობლემები მეტ-ნაკლებად მოგვარებული აქვთ, ახლა სხვებზეც ფიქრობენ. მათ შეაგროვეს ტანისამოსი, ინვენტარი ბავშვთა სახლებისთვის. უხმაუროდ, პი-არის გარეშე, გავაკეთეთ ეს და კონკრეტიკისგან ახლაც თავს შევიკავებ. 9700 ლარი აქვს კოლექტივს შეგროვებული ცხინვალის რეგიონის მცხოვრებთა ფქვილით და სხვა საკვებით დასახმარებლად. ზაფხულში ჩვენი სახსრებით 30 ოსი ეროვნების ბავშვი ქალაქ ცხინვალიდან და სოფელ ქემერტიდან ქობულეთში დავასვენეთ.

სიმართლე გითხრათ, მაინც მეგონა, რომ ირაკლი ტუღუში ამას გაცილებით ფართო მასშტაბებით გააკეთებდა. როცა პრეზიდენტს გაჰყავს 200 ბავშვი კონფლიქტის ზონიდან დასასვენებლად, შენ - ამდენი დასასვენებელი სახლისა და პანსიონატის მფლობელმა, წესით, ამ საქმეში ლომის წილი უნდა შეიტანო, მაგრამ იმედი აქაც გამიცრუვდა. არადა, თითოეულ ასეთ ნაბიჯს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობაც აქვს. შეიძლება, სახელმწიფო დონეზე შეღავათები არ მიიღოს ამ ხალხმა, რადგან არსებობს კონფლიქტი და ხელისუფალთა მიმართ ანტაგონისტური დამოკიდებულება, მაგრამ ადამიანებს შორის ურთიერთობები შეიძლება გაგრძელდეს, უნდა გაგრძელდეს, თუ ერთიანობის შენარჩუნება გვინდა. ამ შემთხვევაში, პროფკავშირებს შეუძლია მნიშვნელოვანი საქმე გააკეთოს. ჩვენ ეს საქმე, როგორც შეგვეძლო, ისე გავაკეთეთ. თუ მასშტაბები უფრო დიდი გვექნება, მეტის გაკეთებასაც შევძლებთ.

*ირაკლი პეტრიაშვილი - დაიბადა 1969 წლის 4 მაისს; დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტი; რვა წლის განმავლობაში აქტიურად თამაშობდა რაგბს. მიიჩნევს, რომ კოლექტიური ბრძოლის სურვილი სწორედ აქედან გამოჰყვა; უმაღლესის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო სააქციო საზოგადოება თელასში რიგით ინჟინრად; სააქციო საზოგადოება თელასის პროფკავშირების თავმჭდომარედ არჩევამდე თბილისის დისპეტჩერად მუშაობდა. თელასში დღესაც ბევრი იხსენებს, როგორი საუბარი გაიმართა ხელფასების დაგვიანების გამო გაფიცული თანამშრომლების დასაშოშმინებლად მისულ სააქციო საზოგადოების დირექტორ გაბრიჭიძესა და ამ გაფიცვის ორგანიზატორ პეტრიაშვილს შორის. ჩვენ ერთად ვერ ვიმუშავებთ, - უთქვამს გაბრიჭიძეს, - დიახ, ჩვენ ერთად ვერ ვიმუშავებთ, თქვენ უნდა წახვიდეთ. დირექტორი, რომელსაც არ შეუძლია, ისე წარმართოს ბიზნესი, რომ თანამშრომლებს ხელფასები მისცეს, ადგილზე არ უნდა დარჩეს, - უპასუხია პეტრიაშვილს. 2000 წლის ოქტომბრიდან თელასის მშრომელების ინტერესებს იგი უკვე ოფიციალურად - პროფკავშირების ხელმძღვანელის რანგში იცავს; იმავე წლის ნოემბერში აირჩიეს საქართველოს პროფკავშირების გაერთიანების თავმჭდომარის მოადგილედ. აქვს გავლილი სპეციალური პროგრამები ამერიკის განვითარების სააგენტოს, იაპონიის, ინგლისის ეგიდით; არის პროფკავშირული ლექტორი; ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.*



# აფიშა

## თეატრები

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
"ა.ს.ა"
"ანტისულიერების ამფეთქებელი"
რეჟისორი: ნ. შოთაძე
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
პიერ ბომარშე
"ფიგაროს ქორწინება"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
დათო ტურაშვილი
"ჯინსების თაობა"
რეჟისორი: დათო დოიაშვილი
ფასი: 3 და 5 ლარი
დას: 19:00 სთ.

**სამეფო უბნის თეატრი**
ლაშა ბუღაძე
"ნუგზარი და მეფისტოფელი"
რეჟისორი: გიორგი თავაძე
დას: 19:00 სთ.

## გამოფენები

**ქარვასლა**
"ყალბი ამბები"
(გამოფენა ქართულ-შვედური კულტურის ფესტივალის ფარგლებში)

**TMS**
ნანა ბოტკოველის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

**ბაია გალერეა**
ლევან მარგიანის ნამუშევრების გამოფენა
"მწყემსი კეთილი"

**ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
"ძველი თბილისი"

**თანამედროვე ხელოვნების გალერეა**
თბილისური შემოდგომა
(ფერწერა)

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
"უძველესი საქართველო ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე"
გამოფენა-გაყიდვა

**ძველი გალერეა**
თემურ სხულუხიას ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

**სურათების ეროვნული გალერეა**
"სამეფო პალიტრა"
(ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება)

**ჰობი**
სალონი "თექა მიქსი" წარმოადგენს
თექის ნაწარმს

**სამხატვრო აკადემია**
აკადემიის დაარსებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა

**სალონი "ხელოვნება"**
ხელოვნების ნიმუშთა გამოფენა-გაყიდვა

**დისკუსია**
**ჰაინრიჰ ბიოლის ოფისი**
(რადიანის ქ. 5)
საჯარო დისკუსია თემაზე:
ვარდების რევოლუცია": იუბილე თუ წლისთავი?
მომხსენებლები: დავით ზურაბიშვილი (საქართველოს პარლამენტი), ნათია ზამბახიძე ("რუსთავი 2"), ია ანთაძე
მოდერაცია: დავით პაიჭაძე (რადიო თავისუფლება)
დას: 17:00 სთ.

## კინოთეატრები

**რუსთაველი**
"ევროტური"
დას: 12:00; 18:00 სთ

"თეთრი გოგონები"
დას: 14:00; 20:00 სთ.

"უცხო მტაცებლის წინააღმდეგ"
დას: 16:00; 22:00 სთ.

**ამირანი**
"ტერმინალი"
დას: 22:00 სთ.

"რიდიკის ქრონიკები"
დას: 12:00; 14:30; 17:00; 19:30 სთ.

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

# საკარნავალოცა და ყოფითიც

### ქართული თექა ფართო დიაპაზონით

ვერა ნეფარიძე

*თუკი ვინმეს აქამდე თექის შესაძლებლობებსა და აქტუალობაში ეჭვი ეპარებოდა, აუცილებლად საპირისპიროს ირწმუნებდა, თუ გუშინ გალერეა "ჰობიში" გახსნილ გამოფენას ნახავდა. მათ კი, ვისაც ხალხმრავალი გახსნა გამოეპარა, - მით უკეთესი, მეტი შესაძლებლობა აქვთ, სალონ "თექა მიქსის" ნაწარმის გამოფენა გაცილებით მშვიდად და ყურადღებით დაათვალიერონ. გამოფენა შაბათამდე გაგრძელდება.*

ეს არ არის რიგითი გამოფენა, სადაც დამთვალიერებლები კომპოზიციურად ლამაზად შექმნილ თექის დეკორაციებსა თუ კედლებზე გამოფენილ ქსოვილებს შეავლებენ თვალს. ამ დღეებში სალონ "თექა მიქსის" მესვეურები დამთვალიერებელთა სრულ განკარგულებაში იქნებიან. სურვილის შემთხვევაში, ოსტატები დამთვალიერებლებს ამა თუ იმ ქსოვილისთვის შეუქმნიან სხვადასხვა ესკიზს, მიიღებენ შეკვეთებს და ა.შ.

მაგრამ, მოგეხსენებათ, თექა ძვირი სიამოვნებაა და თუ ამ ყველაფრისთვის მზად არ ხართ, გამოფენაზე მისვლა მაინც ღირს. გალერეის ორი საკმაოდ მოზრდილი დარბაზი სავსეა თექით დამზადებული სხვადასხვა საჭიროებისა და დანიშნულების ნაწარმით. ექსპოზიცია საკმაოდ ლამაზია.

გუშინ ამ ყველაფრის ყურადღებით დათვალიერება ცოტა ძნელი აღმოჩნდა. გალერეაში იმდენი ხალხი დამხვდა, მიჭირს, გავიხსენო, ბოლოს როდის ვნახე ასეთი მრავალრიცხოვანი აუდიტორია გამოფენის გახსნაზე. ხალხმრავლობა, პირადად მე, თექის პოპულარობასა და მის გულშემატკივართა სიმრავლეს დავაბრალე. არც შევმცდარვარ. დარბაზში ყოველ ნაბიჯზე აღფრთოვანებული დამთვალიერებლების რეპლიკები მესმოდა. მათი აღფრთოვანების მიზეზი ხან საპატარძლო კაბა იყო, ხან საწოლის გადასაფარებლები; გალერეაში, მართლაც, ყველაფერია წარმოდგენილი - საოჯახო, საყოფაცხოვრებო ნივთებით დაწყებული (ბალიშისპირები, გადასაფარებლები, ნაძვის ხის სათამაშოები, თმის სამაგრები, სხვადასხვა აქსესუარები...) და საკარნავალო სამოსით დამთავრებული.



ვახო ბასილიას ფოტო

გამოფენამ ისიც დაადასტურა, რომ სულ რაღაც ერთი წლის წინათ გახსნილ სალონს საკმაოდ ბევრი გულშემატკივარი ჰყავს. "24 საათი" ახლახან წერდა "თექა მიქსის" ევროპულ პერსპექტივებზე. საბოლოოდ გადაწყდა, რომ 15 დეკემბერს ქალაქ ინსბრუკში გაიხსნება გამოფენა, რომელზეც, "თექა მიქსის" ნაწარმთან ერთად, ნინო არსენიშვილის თოჯინებიც გამოიფინება. გამოფენა შეზღუდულ წრეზეა გათვლილი და ის, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი იქნება თბილისური სალონის ევროპელ კოლეგებთან ურთიერთობის ასაწყობად. ავსტრიულ გამოფენაზე ის ნიმუშები გაიგზავნება, რაც "ჰობიში" იხილა და შეაფასა თბილისელმა დამთვალიერებელმა.

სახელოსნოს მესვეურების სურვილი იყო, თბილისურ გამოფენაზე "თექა მიქსს" სიახლე შეეთავაზებინა საზოგადოებისთვის. ეს სიახლე, ძირითადად, ქსოვილების მრავალფეროვნებაში გამოიხატა. თუმცა, იყო საკმაოდ ორიგინალური ნივთებიც. გამოფენამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ თექის ტრადიცია საქართველოში ვითარდება და თანამედროვეობას პასუხობს. გამოფენას ჰყავდა შემფასებლებიც, ვინც გახსნის ოფიციალურ ნაწილზე გამოფენისა და სახელოსნოს შესახებ საკუთარი მოსაზრებები გამოთქვა. გამოხმაურება, რასაკვირველია, დადებითი იყო; გამომსვლელები კმაყოფილნი იყვნენ საქართველოში ტრადიციული საქმიანობის განვითარებით (რასაც მომრავლებული თექის სახელოსნოები და ოსტატები ადასტურებს). თუმცა, ჩემი აზრით, გამოფენის წარმატება მაინც ჩანდა დამთვალიერებელთა რეპლიკებში, რასაც არაერთხელ მოისმენდით გალერეაში.

# მე კერამიკაზე ფერწერას ვქმნი

სოფო კილასონია

როცა უძველეს ადამიანებსა და მათ მიერ შექმნილ ცივილიზაციებზე ვიწყებთ საუბარს, უნებლიეთ ის კერამიკული თასები და ფიალები გვახსენდება, რაც არქეოლოგებს მუზეუმებში მოუთავსებიათ, ან, უბრალოდ, წიგნებში მოგვიკრავს თვალი. კერამიკა, მართლაც, ათასწლეულებს ითვლის. ის ისეთივე ძველია, როგორც ცნება "ადამიანი". ჭურჭელი, რომელსაც ყოფითი დანიშნულება ჰქონდა, შეიღება, ორნამენტებითა და მითოლოგიური სიუჟეტებით მოირთო და დახვეწილ ხელოვნებად იქცა. თიხით ძერწვა, როგორც ხშირად უთქვამთ, "ხელების სიმღერა", ყოველთვის საუკეთესოდ გამოხატავდა სხვადასხვა ერის ტრადიციებს, საერთო კულტურულ ღირებულებებს. ფორმად ქმნილი სილუეტი კი არაჩვეულებრივად ითვისებდა ხელოვნების სხვადასხვა მიმდინარეობათა და ახალ ძიებათა ძირითად კრედოს: ხან ფორმას, ხანაც დეფორმაციას. ეს უკანასკნელი ყველაზე კარგად სწორედ თანამედროვე კერამიკაში იჩენს თავს. სტილიზაცია, დეკორატიულობა, სიმარტივე, სისადავე - ეს ის უკიდურესობებია, რასაც საუკუნეების განმავლობაში ითვისებს და იცილებს ხელოვნების ეს დარგი. თუმცა, ამჯერად არც თანამედროვე კერამიკაზეა საუბარი და, მით უმეტეს, არც მის ისტორიაზე. ჩვენ ქართული კერამიკის საფუძვლებთან ვჩერდებით და გუშინ TMS-გალერეაში გახსნილი ნანა ბოტკოველის გამოფენაზე ვსაუბრობთ.

მაშინ, როდესაც "დაიძრა ეროვნული კულტურის დიდი გზები, ხელოვნებაში ჩამოყალიბდა ქართული კერამიკის სახე და სტილი" - ეს კი სწორედ ნანა ბოტკოველის შემოქმედებასთან არის დაკავშირებული. თხუთმეტი პერსონალური გამოფენის (საქართველოში და საზღვარგარეთ) ნუსხას კიდევ ერთი დაემატა. ექვსწლიანი პაუზის შემდეგ მისი შემოქმედების თაყვანისმცემლებსა და, საერთოდ, კერამიკით დაინტერესებულებს შეგიძლიათ ესტუმროთ TMS-გალერეას, სადაც ავტორის მიერ ბოლო წლებში შექმნილი ნამუშევრები გელით.

ფორმისა და მასალის ურთიერთშერწყმის დიდი გრძნობა, მოცულობისა და პროპორციის შეხამება, მონუმენტურობა, ანსამბლურობა, ფერისა და ნახატის გემოვნებით შერჩევა და მტკიცედ შემუშავებული მხატვრული სტილის ერთიანობის მრავალფეროვან ფორმებში გამოვლენა - ეს გახლავთ ის, რაც ყოველთვის ხიბლავდა ნანა ბოტკოველის ნამუშევრებში მნახველსა და პროფესიონალ შემფასებელს.

გამოფენაზე წარმოდგენილი ნაკეთობები, ისე როგორც ყველა სხვა, გამოირჩევიან განსაკუთრებული სილამაზითა და მოხდენილობით. ფორმა და სილუეტი - სადა, შეკრული და კომპაქტური, შესრულების მანერა - დახვეწილი. ყველგან იგრძნობა ავტორის ფანტაზია და გარკვეული პოეტურობაც. ქართული ორნამენტითა და ეროვნული შტრიხებით სტილიზებული ნამუშევრები დარბაზში რამდენიმე სერიად არის წარმოდგენილი, რომლებსაც, ერთი შეხედვით, ფერთა გამით გამოვარჩევთ, ხოლო თუ დავუკვირდებით, განსხვავებულ ტექნიკასა და შესრულების მანერასაც ადვილად დავინახავთ. დაძერწილი, ცვარშესხმული ლარნაკები (რაც ადრეული პერიოდისაა), ჭიქურზე მაიოლიკა და მარილები, შესრულებული ყველაზე ადრეული ნამუშევრების სტილში, "შებოლილი" ანუ სუფთა ქართული კერამიკა, ტერაკოტის თასები და 9 აპრილის თემაზე შექმნილი ჩიტებით შემკული დეკორატიული თეფშები - ეს ყოველივე ნანა ბოტკოველის სახელოსნოში დაცული მუდმივი გამოფენის მესამედს წარმოადგენს და ერთი კოლექციის სახით მშვენივრად გამოიყურება, რასაც ნამუშევართა მართლაც მშვენიერი ფერთა გამაც განაპირობებს. უნდა გამოიყოს რამდენიმე ჯგუფი მოჭიქულზე მაიოლიკით შესრულებული კერამიკისა, სადაც, მეტად რთული ტექნიკის მიუხედავად, ჩაღვრილი და გარდამავალი ფერები და მათი ბზინვარება არაჩვეულებრივ შთაბეჭდილებას ქმნის და თავად ავტორის სიტყვებს - "მე კერემიკაზე ფერწერას ვქმნი"- გვაგონებს.



იური ლობოდინის ფოტო

გამოფენის საერთო ხასიათისა და განწყობის შექმნაში, კერამიკული ნამუშევრების გარდა, გარკვეულ როლს ასრულებს ნანა ბოტკოველის ფერწერაც. "მედეას აღსარება დელფოსის კარიბჭესთან", "გაზაფხული", "ჯიხვის მთებში", "აფრიკელი სიუზი", "უფლის კვართი", "სიდონია მოწიწებით ემთხვია კვართს", "მედეა", "ცრემლი" და სხვა აკვარელით, ტემპერით, გუაშით, შერეული ტექნიკით შესრულებული კომპოზიციები ავტორის მხატვრულ ძიებათა მაუწყებელია, ხოლო დიდი ლარნაკებითა და სხვადასხვა ფორმის ჭურჭლით შექნილ ექსპოზიციას სიმსუბუქესა და ჰაეროვნებას ჰმატებს. გამოფენა ქართული ეროვნული სამოსელითაა გაფორმებული, რასაც ყოველთვის კარგად იხდენს ქართული კერამიკა და განსაკუთრებით ამ ავტორის ნამუშევრები, მათი გამოკვეთილად ეროვნული ხასიათის გამო.

"ჩვენ ვხედავთ, რომ არსებობს ქართული მხატვრული კერამიკის სკოლა. ამ სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებლის ნანა ბოტკოველის მაღალმხატვრული გემოვნებით შექმნილმა ნაწარმოებებმა დაგვაჯერეს და დაგვარწმუნეს, რომ ამიერიდან დიდ წარმატებებს მოიპოვებს ეს ხელოვნება." - ეს სიტყვები ლადო გუდიაშვილმა თითქმის 40 წლის წინ დაწერა. როცა ქართული კერამიკის საფუძვლებზე ვსაუბრობთ, როგორც ყოველთვის, იბადება არაერთი კითხვა: ეს იყო მაშინ, რა ხდება დღეს? როგორ განვითარდა მშვენივრად დაწყებული საქმე? ამაზე ვერეფერს ვიტყვით. ფაქტია, რომ თანამედროვე კერამიკის გამოფენები არ ეწყობა, ან ეწყობა და არ ფიქსირდება, იმის მიუხედავად, რომ ამ მიმართულებით ბევრი მუშაობს. საფიქრალია, რომ ქართული კერამიკა გარკვეულ ჩიხში მოექცა და ჯერჯერობით სახელოსნოებში ეძებს გამოსავალს. და თუ მაინც ვცდებით, სასურველია, ჩვენი აზრის სიმცდარე თბილისში მომრავლებულ გალერეებში მოწყობილი მომავალი გამოფენებით მაინც დავინახოთ.

# დებატები წიგნის პოლიტიკაზე

17-20 ნოემბერს ევროსაბჭო საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსთან ერთად პროგრამა STAGE-ის ფარგლებში აწყობს საერთაშორისო სემინარს "საქართველოში წიგნის პოლიტიკის გატარებისა" და "სამხრეთ კავკასიაში ბიბლიოთეკების სტრატეგიის შესახებ".

ჯერ კიდევ 2000 წლის დეკემბერში ევროსაბჭომ დაამტკიცა პროექტი STAGE, რომლის ფარგლებში განხორციელდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები. პროექტმა ხელი შეუწყო ევროსაბჭოსთვის პრიორიტეტულ რეგიონში - სამხრეთ კავკასიაში კულტურის პოლიტიკის განხორციელების პროცესს.

2004-2005 წლებში ევროსაბჭოს მიერ საბიბლიოთეკო დარგი აღიარებულია პრიორიტეტად. ამასთან დაკავშირებით თბილისში დაიგეგმა ევროსაბჭოს დებატები -"საქართველოს წიგნის პოლიტიკის შესახებ" და სემინარი - "სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის საბიბლიოთეკო პოლიტიკის შემუშავებისა და გატარების შესახებ". აღნიშნული სემინარი დიდად შეუწყობს ხელს ბიბლიოთეკების საქმიანობის გააქტიურებას თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად.



# ბრალმდებელი დამნაშავის სკამზე

### ოჰ, ეს მაიკლ მური!

სალომე კიკალეიშვილი

“ამ ფილმის შემდეგ ჯორჯ ბუშის მმართველობას ბოლო მოეღება”, “ბოლოს და ბოლოს, ხალხი ნახავს სიმართლეს”, “პროვოკატორი შოუმენი”, “პოპულისტი” - ასეთი რადიკალურად განსხვავებული გამოხმაურება მოჰყვა მაიკლ მურის გახმაურებულ ფილმს “ფარენჰეიტი 9\11” - ჯორჯ ბუშის საპრეზიდენტო არჩევნებში კანონიერ-უკანონო გამარჯვებაზე, მამა-შვილ ბუშების დინასტიასა და მათ ძირძველ ფინანსურ თუ “მეგობრულ” კავშირებზე მუსლიმანურ სამყაროსთან, ბინ ლადენსა და ჰუსეინის ოჯახთან.

“ჩვენ ამ ომის წინააღმდეგი ვართ! გრცხვენოდეთ, მისტერ ბუშ! გრცხვენოდეთ!” - ჩაჰყვიროდა მიკროფონში “ბოულინგი კოლამბინასთვის” მიღებული პრიზის - “ოსკარის” ასაღებად სცენაზე ასული მური. როცა მთელი მსოფლიო თვალს ადევნებდა თვალისმომჭრელ და მდიდრულ სამოსში გამოწყობილ თავმომწონე ამერიკელებს, ერაყი ამერიკული ბომბებით ივსებოდა.

**ვინ არის მური? პროვოკატორი? მეამბოხე ხელოვანი?**

მური ისევე განთქმულია სკანდალებითა და სენსაციებისადმი თავისი უშრეტი სიყვარულით, როგორც, მაგალითად, ელტონ ჯონი - სათვალეების კოლექციით. ამ მხრივ მაიკლ მურმა ჯერ კიდევ ლიცეუმში სწავლისას გამოიჩინა თავი, როდესაც იქ არსებული განათლების სისტემის წინააღმდეგ წამოიწყო მთელი კამპანია, რასაც სულ ცოტა ხანში დირექტორის გადადგომა მოჰყვა. მალე მურმა დააარსა ჟურნალი “Flint voice” და დაიწყო ხმამაღალი განცხადებების გაკეთება ქალაქის ამა თუ იმ პასუხისმგებელ პირებზე, მონაწილეობას იღებდა მიტინგებსა და მასობრივ გამოსვლებში, ხშირად ჩნდებოდა ეკრანზე, როგორც ამ აქციების აქტიური მონაწილე. “Mother Jones” - ასე ერქვა ჟურნალს, რომელშიც მური მუშაობას იწყებს. თუმცა, მისი, როგორც მთავარი რედაქტორის კარიერა თანამშრომელთა უკმაყოფილების საფუძველზე მალევე დასრულდა. მურმა აქაც გამოიჩინა თავი და ჟურნალს სასამართლოში უჩივლა - მორალური ზარალისთვის 2 მილიონი დოლარის გადახდა მოსთხოვა. სასამართლოს მიერ დაწესებული 58 ათასი დოლარის მიღების შემდეგ ეს ფული ჩადო თავის პირველ, არანაკლებ ხმაურიან დოკუმენტურ ფილმში “როჯერი და მე”.

“General Motors” - მსხვილი კომპანია, რომელშიც მურის მამა მთელი ცხოვრება მუშაობდა, მისი ფილმის მთავარი სამიზნე გახდა. რა უფლებით გაათავისუფლა კომპანიის ხელმძღვანელმა როჯერ სმიტმა ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე საწარმოს თანამშრომელთა უმრავლესობა? სიუჟეტი, რომელმაც დოკუმენტური კინოს ისტორიაში არნახული შემოსავალი - 25 მილიონი დოლარის მოგება ნახა.

მური ავტორია არაერთი კრიტიკული წიგნისა: “თავშესაფრის გარეშე”, “მაიკლი - კონტრშეტევა”. ეს უკანასკნელი 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ გამოიცა ამერიკაში. ამ წიგნის ოთხი მილიონი ეგზემპლარი გაიყიდა და ყველაზე პრესტიჟულ გამოცემათა გვერდით დაიკავა ადგილი.

“მე მგონი, ამერიკას ეღირსა გამოღვიძება. როგორც იქნა, გამოვფხიზლდით. “ფარენჰეიტის” ნახვის შემდეგ სხვანაირად არც შეიძლება იყოს”, - განაცხადა “Marie Claire”-ისთვის მიცემულ ინტერვიუში კავშირის “ვარსკვლავები ბუშის წინააღმდეგ” ხელმძღვანელმა, ჰოლივუდის მსახიობმა სიუზან სარანდონმა სტატიაში, რომლის სათაურია “გაიტანეთ ბუში”. ფრანგული პრესის ხმამაღალი სათაური სათაურად დარჩა. თუ 2 ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებით ვიმსჯელებთ, სარანდონის ხმამაღალი შეძახილის მიუხედავად, ამერიკამ მაინც ვერ გამოიღვიძა.

მაინც რა არის უკვე მოსაბეზრებლად რეკლამირებული 2004 წლის “ოქროს პალმის რტოს” მფლობელი ფილმი-პროპაგანდა? ფილმი, რომელმაც მარტო ამერიკაში 120 მილიონი დოლარის მოგება ნახა?

მური უდავოდ ფლობს რეჟისურას, კონტრ-პარალელური მონტაჟით კარგად აწყობს, ამერიკული “სანახაობის ეფექტით” ქმნის ფილმს, რომლის “თეთრი სახლის” პერსონაჟებიც თამაშს იწყებენ. თავისთავად საინტერესოა, თვალი მიადევნო მურის მიერ მოპოვებულ მნიშვნელოვან ვიდეომასალას, მაგრამ, ცოტა არ იყოს, გამაღიზიანებელია, როცა ავტორი მაყურებელს თავს ახვევს საკუთარ პოზიციას.

მიუხედავად იმისა, რომ ბუშის ხელმეორედ არჩევამ აშკარად არ გაამართლა მურის იმედები და წინასწარ გათვლილი ფილმის პოლიტიკური შედეგები, ამბოხებული




მური მაინც არ აპირებს შერიგებას. სულ ახლახან მან განაცხადა, რომ იწყებს “ფარენჰეიტის” გაგრძელების გადაღებას - “ფარენჰეიტი 9\11 და 1\2”. ეს იქნება სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი, რომელიც, სავარაუდოდ, მომავალი არჩევნებისთვის გამოვა ეკრანებზე. სიუჟეტი იგივე რჩება - ერაყში ბუშის პოლიტიკის კრიტიკა და 11 სექტემბრის მოვლენები. “ჩვენ ახლა ვიწყებთ გადაღებებს და, ალბათ, 2-3 წელიწადში დავამთავრებთ. ის 51 პროცენტი, რომელმაც ხმა მისცა ბუშს, აშკარად ინფორმაციულ ვაკუუმში იყო. ჩვენ ისევ ვიტყვით სიმართლეს. იმ სიმართლეს, რომელსაც ყველა გულმოდგინედ მალავს. ჩვენი ამოცანაა, გავფანტოთ სიცრუის ის ბურუსი, რომლითაც ხელისუფლება თვალებს უბინდავს ამომრჩეველს”, - განაცხადა მურმა.

“ფარენჰეიტი” არაერთხელ მოქცეულა ყურადღების ცენტრში. მაგალითად, სულ ცოტა ხნის წინათ კომპანია “Pantagraph”-მა, რომელიც ამავე სახელწოდების გაზეთს უშვებს, მურს ბრალი დასდო ფაქტების დამახინჯებაში. ორგანიზაციამ რეჟისორს მოსთხოვა, საჯაროდ ბოდიში მოიხადოს და მორალური ზარალისთვის მილიონი დოლარი გადაიხადოს. საქმე კი ის იყო, რომ, გაზეთის თანამშრომელთა მტკიცებით, მურის ფილმში გაზეთის “არასწორი” ვერსიაა გამოყენებული. ერთ-ერთ კადრში ჩანს გაზეთის ქუდი და იქვე სათაური: “ფლორიდის უკანასკნელი საარჩევნო მონაცემებით, გაიმარჯვა გორმა” (ბუშ-გორის წინა არჩევნები). რედაქცია ამტკიცებს, რომ ასეთი სათაურით სტატია მათთან არასდროს დაბეჭდილა. “თუ მურს სურს ჩვენი გაზეთის რედაქტირება, მაშინ უმჯობესია, კადრების განყოფილებას დაუკავშირდეს”, - აცხადებენ “დაზარალებულები”.

მური, რომელსაც საკუთარი, სკანდალებზე გათვლილი წარმატების ფორმულა აქვს შემუშავებული, თავად აღმოჩნდა დამნაშავის ადგილზე. მას თავს დაესხა ავსტრალიელი კოლეგა ჯორჯ ჰიტოსი, რომელიც პლაგიატობაში სდებს ბრალს. მისი სიტყვებით, მაიკლმა “ფარენჰეიტში” ჰიტოსის ფილმიდან “ომის საუნდტრეკი” (რაც, ვფიქრობ, არავის უნახავს), არც მეტი, არც ნაკლები, 17 ეპიზოდი გამოიყენა. “მურმა გადაწყვიტა, რომ მე ბედნიერად ჩავთვლიდი თავს, თუ ის თავის ფილმში ამ კადრებს ჩასვამდა. მე, მართლაც, უბედნიერესი ადამიანი ვიქნებოდი, რომ საერთოდ არ მენახა ეგ ფილმი და იქ ჩემი კადრები”, - ამბობს ჰიტოსი. აქვე ავსტრალიელი რეჟისორი დასძენს, რომ ის არ აპირებს, ყველგან მურის პლაგიატობაზე ხმამაღალი განცხადებები გააკეთოს. არა, უბრალოდ, “თუ ვინმეს გაინტერესებთ, რატომ დაიწყო ერაყში ომი, მაშინ გირჩევთ, “ფარენჰეიტის” ნაცვლად ჩემი ფილმი ნახოთ”, - განაცხადა რეჟისორმა. აქაოდა, მური “ოთახის დოკუმენტალისტია”, მე კი ნამდვილ ომში ვიყავი და ასეთ რამეებში მურზე კარგად ვერკვევიო.

თუმცა, მაიკლის თავგადასავლები ამით არ დამთავრებულა. როცა რეჟისორი საკუთარი ფილმით მეზობელ კანადელებს ეწვია, იქ ფედერალური არჩევნები ტარდებოდა. პრემიერამდე გამართულ პრესკონფერენციაზე მურს ჰკითხეს: “თქვენი აზრით, ვინ უნდა მართავდეს ქვეყანას?” მური აბა რის მური იქნებოდა, პირდაპირ არ ეთქვა: “კანადელებო! არჩევნებამდე თქვენ მხოლოდ ოთხი დღე დაგრჩათ. მანამდე ნახეთ ჩემი ფილმი და დაფიქრდით, გინდათ კი ასეთი ქვეყანა? თუ გინდათ, მაშინ ხმა მიეცით მისტერ ჰერპერს”.

საქმე კი ის იყო, რომ, ადგილობრივი კანონის თანახმად, არჩევნებზე და, მით უმეტეს, რომელიმე კანდიდატზე, საჯარო ადგილებში აზრის ხმამაღლა დაფიქსირება, ყოველგვარი აგიტაცია აკრძალულია და კანონით ისჯება. ამიტომ პოლიტიკოსებმა მურს სასამართლოში უჩივლეს და მისთვის ნახევარი წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმის - 2 ათასი დოლარის გადახდა მოითხოვეს.

# „მინდა, მხოლოდ შენ გიყვარდე”

### მერილინ მონრო აქტუალობას არასდროს კარგავს

I Want to be Loved by You - ამ სიტყვების ხსენებაზე ყველას მერილინ მონროს სექსუალური ხმა და სახე ახსენდება ფილმიდან “ჯაზში მხოლოდ ქალიშვილები” არიან. ბრუკლინის ხელოვნების მუზეუმის სტუმრებს კი მოლოდინი სრულად უმართლდებათ და გამოფენაც ასეთივე სათაურით (I Want to be Loved by You: მერილინ მონროს ფოტოები) მათზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს.

“მერილინ მონრო კამერის წინ იგივე იყო, რაც თევზი წყალში”, - თქვა ერთხელ რეჟისორმა ბილი უაილდერმა; და მართლაც, ყველას ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ მსახიობს, რომელიც ამერიკის კერპად იქცა, კამერის დანახვაზე ნამდვილი დღესასწაული უდგებოდა.

გამოფენა 39 ფოტოგრაფის 200-მდე ფოტოს წარმოადგენს. მათ შორის არიან ისეთი დიდი ოსტატები, როგორებიცაა - რიჩარდ ავედონი, გორდონ პარკსი, რობერტ ფრენკი და ენდი უორჰოლი.

“წარმოდგენილი ექსპონატები დროს უძლებს. ისინი ამ მხრივ შეუფასებელია. მერილინ მონრო ახალგაზრდა გარდაიცვალა, ამიტომაც ის მარადიულად ახალგაზრდა რჩება. დრო გადის, მერილინ მონროს კი სულ უფრო მეტი ხიბლი ემატება”, - აცხადებს გამოფენის კურატორი მერილინ კეშნერი და იქვე ერთ საინტერესო ფრაზას ამბობს:

“მერილინის ურთიერთობა კამერასთან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, რაც კი მას ცხოვრებაში ჰქონია. ის კამერას აღიქვამდა, როგორც მეგობარს”.

ბრუკლინის ხელოვნების მუზეუმი ექსპოზიციას ევოლუციის პრინციპით აგებს. ჯერ დამთვალიერებლები ეცნობიან პატარა ქალაქში გაზრდილ გოგონას ნორმა ჯინს, რომელიც თანდათან, სურათ-სურათ სექს-ქალღმერთად გადაიქცევა.

მაგალითად, 1945 წელს გადაღებულ ფოტოზე 19 წლის ნორმა ლონგ აილენდის სანაპიროზე მარტო დგას და მოაჯირს ეყრდნობა. დაახლოებით ათი წლის შემდეგ გადაღებულ ფოტოზე კი უკვე მერილინია ჩვენ წინაშე - ის ნიუ იორკის ცენტრალური სადგურის ბაქანზეა, მის გვერდით მდგომ კაცს კი ვერაფრით დაუჯერებია, რომ ცოცხალ მერილინ მონროს ხედავს.



ცხადია, ყველა ფოტო თავისებურად საინტერესოა, მაგრამ ყურადღების ეპიცენტრში მაინც ლეონ და მიკელა კონსტანტინერების კოლექცია ხვდება - 59 სურათისგან შემდგარი კრებული, რომლის ავტორიც ბერტ სტერნია. გაცხოველებულ ინტერესს ამ ფოტოების მიმართ მისი გადაღების თარიღი იწვევს - სტერნმა მერილინი სიკვდილამდე რამდენიმე კვირით ადრე გადაიღო. თუმცა, ბუნებრივია, სტუმრები დიდი ინტერესით ათვალიერებენ ისეთ ცნობილ და მრავალჯერ ნანახ კადრებსაც, როგორიც აფრიალებული თეთრი კაბაა. არის უცნობი და ნაკლებ ვარსკვლავური კადრებიც - მერილინი სახლშია და წიგნს კითხულობს, მეგობრულად ებაასება რეჟისორ ჯონ ჰიუსტონს, ცეკვავს მეორე ქმართან არტურ მილერთან.

გამოფენა გაფორმებულია მულტი-მედია პრეზენტაციებითაც. დიდ ეკრანზე სტუმრები მერილინ მონროს მონაწილეობით გადაღებულ რეკლამას უყურებენ და იმ ცნობილ სიმღერასაც უსმენენ, რომელიც მსახიობმა ჯონ კენედის 45-ე იუბილეზე 1962 წლის მაისში უმღერა.

თუმცა, ბრუკლინის მუზეუმში არის ერთი ფოტო - ყველაზე ექსპრესიული და ემოციური, რომელზეც მონრო საერთოდ არ არის გამოსახული. ფოტო რობერტ ფრენკს ეკუთვნის და ის 1962 წელს არის გადაღებული. კადრში ვხედავთ ქალს, რომელიც სანაპიროზე ამერიკის დროშაზე წევს. ის გაზეთს “დეილი ნიუს”-ს კითხულობს, რომლის პირველ გვერდზეც უზარმაზარი ასოებით დაწერილი ორად ორი სიტყვა ჩანს: “MARILYN DEAD”.

სვეტი

## ძველთბილისური აივანი - ხუროთმოძღვრების მაორგანიზებელი



სამსონ ლეჟავა

ძველი თბილისის ხუროთმოძღვრულ “რიტორიკაში" ხის აივანი უმნიშვნელოვანესი ფენომენია. ის გამოირჩევა განსაკუთრებული მრავალფეროვნებით. ამასთანავე ძალიან აქტიურია როგორც ფასადზე, ისე არანაკლები ძალით - საკუთრივ ეზოშიც, სადაც ზოგან რამდენსამე სართულზეა აღმართული. გარკვეულწილად მცირემიწიანობის გამოც (თენგიზ კვირკველია), ხშირად იმდენად დიდი ზომისაა, რომ თითქოსდა ქუჩის “მეორე სართულს" აყალიბებს ხოლმე. აღიარებულია, რომ ტრადიციული ყოფისათვის იგი ოთახებზე ნაკლები მნიშვნელობის საცხოვრებელ გარემოს არც წარმოადგენდა საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე, რაც ბუნებრივიცაა ჩვენი სამხრეთული ზონისათვის. თუკი ადრე თბილისურ საცხოვრისში მრავალგან წამყვანი იყო ბანიანი ნაგებობები, XIX ს-ში აივნის როლმა და ხვედრითმა წილმა კიდევ უფრო იმატა, თუმცა აივნიან შენობათა გამართვა ამა თუ იმ კონტექსტით - ადრეც, საუკუნეთა მანძილზე, მიღებული და გაშინაგანებული იყო საქართველოში.

XIX ს. თბილისში შემუშავდა აივნის მეტად ორიგინალური ტიპი კლასიცისტური არქიტექტურის რადიკალური სახეცვალების შედეგად (გიორგი ჩუბინაშვილი, ვახტანგ ბერიძე, ვახტანგ ცინცაძე, კონსტანტინე მელითაური). ამასთან არსებითია, რომ მისი “პროგრამა" დიდწილად არისტოკრატულ წრეებში, უკვე XVIII ს. მაინც დაისახა.

მართალია, თბილისური აივნის აგებულება დაეყრდნო ე. წ. “ამპირის" ელემენტებს, მაგრამ ამქრული ტრადიციის სიძლიერემ ჩვენში აღმოაცენა, როგორც ცნობილია, კლასიციზმის პოზიციებიდან უჩვეულო, “არაორთოდოქსული" ფორმები, სადაც თავი იჩინა ძალიან მდიდარმა ფანტაზიამ და ხუროთმოძღვრული ლოგიკის შეუბღალავად - თავისებური “თამაშის" პრინციპმაც, რაც განსაკუთრებულ მიმზიდველობას სძენს ამ აივნებს - ეს კი გამოვლინდა უმრავალფეროვანეს განთავსებაში, აღნაგობის ვარიაციათა მეტად ფართო ამპლიტუდაში და მორთულობის სისტემათა გამორჩეულ სიმდიდრეშიც.

ამავე დროს, ჩვენს სინამდვილეში თავი იჩინა იმავე ამქართა წრისა, და მაღალი რანგის პროფესიული არქიტექტურის ინტენსიურმა ინფორმაციულმა ურთიერთგაცვლამ, ორსავ შემთხვევაში არსებითმა - სწავლულ არქიტექტორთათვის ეს იყო ღრმა ზიარება ცოცხალ ტრადიციასთან და მისი სახეცვალება, ხოლო ადგილობრივი, აუთენტური აღმშენებლობის მიმდევართათვის - ახლებურ მოთხოვნებთან შეხვედრისას ჩენილი - შემოქმედებითი “გამოწვევა", რომელიც უზარმაზარ სტიმულად იქცა. შედეგი ძალზე შთამბეჭდავი აღმოჩნდა: თბილისურ საუკეთესო აივანთა “ორდერის" დახვეწილობა, არქიტექტონიკული სრულფასოვანება (ზოგან გამონაკვთულობა - სიმსუბუქის შეხამებით), ტოლს არ უდებს, გნებავთ - ბრუნელესკის “უმანკოთა თავშესაფარის" სრულყოფას, ხოლო, მნიშვნელოვანწილად, ორიენტალურ გამოცდილებასთან დიალოგში შესული შემკულობის მრავალაფეროვნებაც და უმაღლესი ოსტატობაც - თბილისს ამ თვალსაზრისითაც მეტად მნიშვნელოვან კულტურულ სივრცედ აქცევს. XIX ს-ში კვლავ შედგა ჩვენში ოდითგავნვე არსებითი შეხვედრა დასავლური და აღმოსავლური ცივილიზაციებისა, და თანაც ყოველნაირი დაძაბულობისა და შეუთავსებლობის გარეშე. აქ დიდწილად იმის მსგავსი მოვლენის მოწმენი ვართ “ახალი ვერსიის" სახით, რამაც თავი იჩინა მაგ. “ვეფხისტყაოსანში", როცა გიორგი ნადირაძის დაკვირვებით, რუსთაველთან გამჟღავნდა, (რიტორიკის ტერმინთა მოხმობით), “ატიცისტური" სისადავისა და “აზიანიზმის" ჩუქურთმათა ბუნებრივი შეხამება.

ამასთანავე, თბილისური აივანი ეკლექტიზმის ხანაში (როცა საფასადო კომპოზიციური მახვილები სუსტდება, და როგორც მიიჩნევენ, ერთგვარ “რიგითობას" იძენს), სწორედაც ძლიერ აქცენტს წარმოადგენდა, და ამ თვალსაზრისითაც - ორიგინალურ სახეს სძენდა ჩვენს ქალაქს. მაგრამ, ამით როდი ამოიწურება აღნიშნულ აივანთა მნიშვნელოვანება. მართლაც, გარდა იმისა, რომ აივანი ფასადის მაორგანიზებელი იყო, ხაზგასასმელია, რომ იგი დიდწილად ქმნიდა ძველი თბილისის მთელი სივრცით-პლასტიკური მორფოლოგიის თვისობრიობას. ეს ჩანს, მაგალითად, ვიწრო ირეგულარულ ქუჩებში გამოვლენილ მათ უდიდეს “ნაირფეროვბაში" ზომების, განთავსების, ორიენტაციის, “აქტივობა-უკანდახეულობის" თუ სხვა თვალსაზრისით. ზოგან ისინი უზარმაზარია, პლასტიკურად “ღონიერი" (კონსტანტინე მელითაური), მსხვილმასშტაბიანი, სხვადასხვა ქუჩათა დამატებითი “მაერთებელი", სხვაგან მცირე, თითქმის "სიფრიფანა", დემატერიალიზირებული. დეკორიც ხან უფრო სადაა, შედარებით ძუნწი, ხანაც “ფანტასმაგორული", მაქმანისებრი. თუკი ამას დავძენთ გიორგი მარჯანიშვილის მიერ ხაზგასმულ “მრავალფასადურობას", რელიეფის სირთულის კვალობაზე ჩენილ, უეცარ და ეფექტურ რაკურსთა სიხშირეს, მცირე გადაადგილების დროსაც კი არაერთგან ჩენილ თვალსაჩინო ცვალებადობის აღქმისა, ნაირგვარ სიმაღლეზე განთავსებით მოტანილ აურაცხელ ნიუანსებს, “მიკროსივრცეთა" სიხალვათის მომტან სიმრავლეს ქუჩათა ვიწრო არეში და სხვა მახასიათებლებს, მაშინ სურათი კიდევ უფრო მრავლისმომცველი აღმოჩნდება.

და მაინც მთავარი, რაც გამოარჩევს ამ აივნებს, ესაა ცხოვრების წესიდან, და უშუალო კონტაქტურობის შინაგანი მოთხოვნიდან მომდინარე გახსნილობა (ცნებათა: “გახსნილი" და “ხსნა" სიახლოვე, ამ კონტექსტში, არაა ინტერესს მოკლებული). გახსნილობა არ ამოიწურება კლიმატურ - გეოგრაფიული ფაქტორებით, არამედ უთუოდ მსოფლმხედველობრივი ფენომენია. მართლაც, აივანი, რომელიც ქუჩის სივრცის ნაწილადაც აღიქმება (კონსტანტინე მელითაური), უცნაურ “შინაურულობას" სძენს ამ გარემოს. აივანი თავადაც გარეთკენ “იმზირება", ქუჩის სამყოფელსაც “უშვებს" საკუთარ თავში, და იმის გამო, რომ ადამიანთათვის ის გულმისავალია როგორც გარედან აღქმის, ისე მის სივრცეში ყოფნის დროსაც, იგი ცხადყოფს, რომ ბუნებისადმი ადამიანთადმი, მთელი სამყაროსადმი ნდობის გამოხატულებაა, “სასიხარულოობის" მატარებელია.

აი, ამგვარმა ხედვამ აღმოაცენა ეს არაჩვეულებრივი მოვლენა, რომელიც დღეს ღრმა კრიზისს განიცდის. რა გასაკვირია, რომ თუნდაც საშინელი ოცდაჩვიდმეტი წლის შემდგომ (დავით ცხადაძე), ადამიანთადმი ნდობა დამცრობილიყო, რასაც მოჰყვა ოთხმოცდაათიანი წლებიდან დაწყებული “ფართომასშტაბიანი" კრიმინალიზაცია... ანდა დღევანდელი ანტიეკოლოგიური დაბინძურების პროცესი გავიხსენოთ. ყოველი ამ ფაქტორის გათვალისწინებით, ალბათ, არც აივნების შემინვა და “გაშუშაბანდებაა" გასაკვირი, და არც მათში ზოგან ჩენილი სივრცითი “ჩახურვისადმი" სწრაფვა. სწორედ ამიტომ, კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვა არ უნდა გულისხმობდეს მხოლოდ ძეგლთა ფიზიკურ გადარჩენას, ან თუნდაც მარტო ფუნქციურ ადაპტაციას. ძირითადი ხომ ის ფასეულობათა სისტემაა, რომელიც ზედროულია, და რომელმაც შვა კიდეც ტრადიციული აივნის ამგვარი ფორმა ჩვენს კულტურაში. ამდენად, ალბათ ,სწორედ ფასეულობათა სისტემისადმი მიყურადებით უნდა დავიწყოთ... წარმოდგენილი ფოტოსურათი ცხადყოფს, თუ რა ემუქრება ძველთბილისურ აივანს სრული უპატრონობის შედეგად.

ფეხბურთი

# თავს ზემოთ ძალა არ იყო...

21 წლამდე ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩი

**საქართველო - დანია 2:4**

**საქართველო:** *თოთლაძე, დათუნაიშვილი, კალაძე, იმედაშვილი, ელიავა, ბურნაძე, გიორგი ჭელიძე, კანკავა (ბესარაშვილი 79`), მარცვალაძე (ნაკანი 59`), გეწაძე, მოდებაძე (გიორგი ნოდარის ძე ჭელიძე 61`).*
**დანია:** *ელეგარდი, კილდენტოფტი, ტროესტი, ჰოგი, პედერსენი, სავნ-სვერდი (ტიგესენი 74`), ბერგვოლდი, კრონ-დელი, კამპერი, კალენბერგი, რასმუსენი (აბსალონსენი 90`)*
**გოლები:** *0:1 კრონ-დელი (10`), 0:2 კალენბერგი (31` პენ.), 1:2 მოდებაძე (44`), 1:3 კამპერი (80` პენ.), 2:3 დათუნაიშვილი (86`), 2:4 ტიგესენი (88`).*
**გაფრთხილება:** *კალაძე, დათუნაიშვილი, კანკავა, კალენბერგი, სავნ-სვერდი, ელეგარდი.*
**მსაჯი:** *რიჩარდ ჰავრილა (სლოვაკეთი).*

"თავს ზემოთ ძალა არ არის - ყველაზე მეტად, ალბათ, ეს ფრაზა მიესადაგებოდა დღევანდელ თამაშს", - განაცხადა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გოჩა ტყებუჩავამ გუშინდელი მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე. ასე რომ, სავსებით შესაძლებელია, მსგავს სათაურს სხვა გაზეთებშიც წააწყდეთ. ტყებუჩავას მიერ შემოთავაზებული იდეა, მართლაც, გავიზიარეთ, თუმცა ცოტაოდენი ოპტიმიზმით მაინც გავაჯერეთ - სიტყვა "არის" "იყო"-თი შევცვალეთ...

ეროვნული ნაკრების მსგავსად, 21 წლამდე ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ჯგუფში ასპარეზობა ჩვენმა ახალგაზრდულმა გუნდმა კარგად დაიწყო. მაგრამ თურქეთში მიღწეულ ფრეს (0:0) და ალბანეთთან მოგებას (2:1) უკრაინაში განცდილი მარცხი მოყვა (0:6). ერთი წაგება, თანაც, გასვლით მატჩში, ნამდვილად არ არის ტრაგედია. სამწუხარო ის იყო, რომ დანიის ნაკრებთან გუშინდელი მატჩისთვის, იმ შემადგენლობიდან, რომელმაც წარმატებით ითამაშა თურქეთთან და ალბანეთთან, ტყებუჩავას სულ რამდენიმე ფეხბურთელი შემორჩა. დისკვალიფიცირებულ მოთამაშეებს ისინიც მიემატნენ, ვისაც უკრაინაში განცდილი მარცხის გამო მოუხდათ "პასუხისგება".

ასე რომ, თამამად შეიძლება ითქვას: გუშინდელ მატჩში ტყებუჩავას გუნდი შესუსტებული შემადგენლობით დაუხვდა დანიელ თანატოლებს. თუმცა, ოპტიმალური შემადგენლობით არც სტუმრები გვეწვივნენ. ფლემინგ სერიტსლევის გუნდს ორი ცენტრალური მცველი ლეონ ანდრეასენი და დანიელ აგერი აკლდა. მათ გარდა, ტრავმის გამო თბილისში ვერ ჩამოვიდა გუნდის კაპიტანი რასმუს ვიურცი.

წამყვანი ფეხბურთელების არყოფნამ საქართველოს ნაკრებში უფრო მეტად იჩინა თავი. მატჩის დაწყებიდან ათ წუთში სტუმრებმა სტანდარტული მდგომარეობით ისარგებლეს და ანგარიში გახსნეს. საჯარიმო დარტყმა ჩვენი კარისგან საკმაოდ შორს, დაახლოებით 25 მეტრში დაინიშნა. მიუხედავად იმისა, რომ თოთლაძე დიდხანს აყენებდა კედელს (ეს კედელი მხოლოდ მარცვალაძე იყო), ბურთი მისგან ახლო კუთხეში გაუშვა. ჩინებულად მოთამაშე მიხაელ კრონ-დელის გოლი კი საკმაოდ კურიოზული გამოდგა: ბურთი კარგა ხანს მიფრინავდა თოთლაძის კარისკენ, თუმცა, ჩვენმა მეკარემ რეაგირება ვერ მოახდინა. ბურთმა თავზე გადაუარა და ისე ჩაეშვა კარში - 0:1.

ბურთის ფლობის მხრივ უპირატესობა საქართველოს ნაკრების მხარეს იყო, თუმცა, საგოლე მომენტებისა რა მოგახსენოთ... სტუმართა კონტრშეტევები ბევრად უფრო სახიფათო იყო, ვიდრე ჩვენების იერიშები. ერთ-ერთი ასეთი შეტევისას, 31-ე წუთზე, ზაალ ელიავამ კალენბერგი მოცელა. მსაჯმა უყოყმანოდ დანიშნა პენალტი, რომელიც თავად "დაზარალებულმა", სტუმართა კაპიტანმა ტომას კალენბერგმა შეასრულა - 0:2.

რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, მეორე გოლის შემდეგ საქართველოს ნაკრები უფრო უკეთ ათამაშდა, ვიდრე მატჩის დებიუტში, როდესაც ანგარიში ჯერ არ იყო გახსნილი. ჩვენების შეტევები ბევრად უფრო გააზრებული გახდა, რამაც შედეგიც გამოიღო. მასპინძელთა ერთადერთმა ფორვარდმა *(მარცვალაძე უფრო წინ წაწეული ნახევარმცველის პოზიციაზე თამაშობდა, ვიდრე სუფთა ფორვარდის)* ირაკლი მოდებაძემ დაახლოებით 20 მეტრიდან ეშმაკურად დაურტყა ელეგარდს. ამ უკანასკნელმა კარის გადარჩენა ვერ შეძლო - 1:2. მოდებაძის გოლი 44-ე წუთზე გავიდა, რის გამოც მასპინძელთა მოზღვავებული ალმაფრენა შესვენებამ შეწყვიტა.

მეორე ტაიმი ჩვენებმა უკეთ დაიწყეს, ვიდრე პირველი, თამაშიც თანაბარი იყო და ანგარიშის გათანაბრების შანსიც გვქონდა. 78-ე წუთზე სტუმართა კართან



მძლავრი შეტევა განხორციელდა, რომლის დროსაც ჩვენებმა ზედიზედ სამჯერ დაარტყეს ელეგარდის კარში. სტუმართა მეკარემ სამივე მოიგერია. დანიელთა საპასუხო შეტევა მასპინძელთათვის ცუდად დამთავრდა - მსაჯმა ისევ პენალტი დანიშნა. კალენბერგის მიერ დარტყმული ბურთი თოთლაძემ მოიგერია, მაგრამ არა კუთხურზე, არამედ დანიელთა ფორვარდის იონას კამპერის ფეხებთან. ამ უკანასკნელს გოლის გატანა არ გასჭირვებია - 1:3.

მატჩის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. ეჭვი აღარავის ეპარებოდა, რომ დარჩენილ 10 წუთში მატჩის გადარჩენა შეუძლებელი იქნებოდა. ჩვენები მაინც უტევდნენ და გოლის გატანაც შეძლეს. პავლე დათუნაიშვილმა ძირითადი დროის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე ანგარიში შეამცირა. თუმცა, სტუმართა საპასუხო შეტევა ისევ გოლით დასრულდა. შეცვლაზე შემოსულმა ტიგესენმა მეოთხე გოლი გაგვიტანა.

ეს იყო და ეს. უკრაინაში გაშვებულ 6 გოლს საკუთარ მოედანზე მიღებული 4 ბურთიც დაემატა. უკრაინა ვახსენეთ და აქვე ისიც ვთქვათ, რომ გუშინდელი თამაში საოცრად ჰგავდა იმ ავადსახსენებელ უკრაინულ მატჩს. მსაჯი არც ამჯერად გვწყალობდა. არც ჩვენი ფეხბურთელები ჩანდნენ დაწყნარებული - აგრესია კვლავინდებურად მოზღვავებულია. პატარა ჩხუბი გუშინდელ შეხვედრაშიც მოხდა, რომლის დროსაც ჯაბა კანკავა გადაურჩა წითელ ბარათს.

არც ქართველმა გულშემატკივარმა უღალატა ტრადიციებს. მიუხედავად იმისა, რომ გუშინდელ მატჩს არცთუ ისე ბევრი ქომაგი ესწრებოდა, ტრიბუნებიდან ერთიორი ქვა და სანთებელა მაინც გადმოვარდა. შეშინებული დანიელი ფეხბურთელები მატჩის დამთავრებიდან 10-15 წუთის განმავლობაში ისევ მოედანზე იყვნენ - ელოდნენ, სანამ სტადიონი არ დაიცლებოდა. შემდეგ კი თავზე ტანსაცმელი წამოიფარეს და ისე გაიქცნენ გასახდელისკენ. რას იზამ, არ გვიყვარს ქართველებს წაგება...

მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტთა კითხვებს ჯერ სტუმართა მწვრთნელმა ფლემინგ სერიტსლევმა უპასუხა. მან თქვა, რომ უაღრესად რთული მატჩი გადაიტანა და მოპოვებული სამი ქულით ძალიან ბედნიერია. დანიელთა თავკაცმა არაერთხელ გაიმეორა, რომ იღბალი მისი გუნდის მხარეს იყო. "როდესაც ანგარიში 2:1 იყო, მასპინძლებს ანგარიშის გასათანაბრებლად ჩინებული შანსი ჰქონდათ, თუმცა, იღბალმა ზურგი აქცია და ჩვენს საპასუხო შეტევაზე მსაჯმა პენალტი დანიშნა", - აღნიშნა სერიტსლევმა. საქართველოს ნაკრებიდან სტუმართა მწვრთნელმა პირველი გოლის ავტორი მოდებაძე და მცველი დავით იმედაშვილი შეაქო: "ჩვენი ფორვარდი რასმუსენი ყველა თამაშში იგებს თავზე მომავალ ბურთებს, დღეს კი მან თითქმის ვერც ერთი ორთაბრძოლა ვერ მოიგო, რაც თქვენი მცველების დამსახურებაა".

ამის შემდეგ საკონფერენციო დარბაზში მოვიდა გოჩა ტყებუჩავა, რომელსაც ხმა თითქმის აღარ ჰქონდა. მიუხედავად ამისა, საკმაოდ ბევრი ისაუბრა მატჩის და, საერთოდ, ჩვენი ახალგაზრდული ნაკრების შესახებ. მთავარი კი მან დასაწყისში თქვა: "დავარქვათ ამას თავს ზემოთ ძალა არ არისო".

ჩვენ კი გვჯერა, რომ თავს ზემოთ ძალა არ იყო მხოლოდ ამ კონკრეტულ მატჩში. გოჩა ტყებუჩავას და მის გუნდს წინ ბევრი დიდი გამარჯვება ელით!

# შოთა არველაძე ყოფილი მწვრთნელის წინააღმდეგ

მიხეილ აბაიშვილი

საქართველოსა და დანიის ეროვნული ნაკრები გუნდების დაპირისპირებაში, რომელიც დღეს, "ლოკომოტივის" სტადიონზე, 9 საათზე დაიწყება, დიდი მნიშვნელობა ექნება, თუ როგორ ითამაშებენ ლიდერი ფეხბურთელები. როგორც მასპინძლების, ისე სტუმართა შემადგენლობაში არაერთი ისეთი ფეხბურთელია, რომელსაც მარტოს, სწორედ ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე, მატჩის შედეგზე გადამწყვეტი გავლენის მოხდენა შეუძლია. ამ თვალსაზრისით, საქართველოს ნაკრებში უდავოდ გამორჩეულია შოთა არველაძე, რომელიც, ამავე დროს, ჩვენი გუნდის საუკეთესო ბომბარდირია (19 გოლი). იგი დღეს თავისი მე-20 გოლის გატანას შეეცდება. სხვათა შორის, თბილისში გამომგზავრებამდე არველაძე თანაგუნდელ დანიის ნაკრების წევრს ლოვენკრანცს (რომელიც ასევე თბილისშია და, შესაძლოა, ოლსენმა ძირითად შემადგენლობაშიც დააყენოს), დამუქრებია, ერთ გოლს მე გაგიტანთო. სხვათა შორის, არველაძემ "ოლდ ფირმში" "გლაზგო რეინჯერსისა" და "სელტიკის" მატჩში გადამწყვეტი გოლი გაიტანა, რითაც შეწყვიტა "რეინჯერების" 7-მატჩიანი წამგებიანი სერია და, რაც მთავარია, თავისი გუნდი შოტლანდიის თასის ნახევარფინალში გაიყვანა.

შოთა არველაძე გუშინ, ბოლო ვარჯიშის წინ, სასტუმრო "ბატესტაში" მოვიხელთეთ.

**- "სელტიკთან" უმნიშვნელოვანესი გოლი გაიტანე, რითაც, წესით, დანიელებთან მატჩის წინ კარგ გუნებაზე უნდა იყო...**

- ახლა "სელტიკი" და "გლაზგო რეინჯერსი" არაფერ შუაშია. მე ნაკრებში სათამაშოდ ჩამოვედი. ძალიან სერიოზულ გუნდს ვხვდებით. დანიის ნაკრები ის იშვიათი გამონაკლისია, რომლის თამაშშიც ჰარმონიულად არის შერწყმული ფიზიკური, ტაქტიკურად გამართული, შემტევი და ინდივიდუალური ფეხბურთი. ამ გუნდს ბრწყინვალე შემსრულებლები ჰყავს, სწორ ფეხბურთს თამაშობს და ძალიან ძნელი იქნება მისი დამარცხება. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ამას არ შევეცდებით. საქართველოს ნაკრები აღმავლობის გზაზეა.

**- რის ხარჯზე შეიძლება დანიის ნაკრების დამარცხება?**

- საქართველოს ნაკრების ბოლო მატჩებმა თითოეულ ფეხბურთელს იმედი ჩაგვისახა და საკუთარი თავის, მთლიანად გუნდის რწმენა გაგვიძლიერა. ის, რომ თურქეთში ქულა მოვიპოვეთ, ალბანეთი დავამარცხეთ, ხოლო უკრაინასთან მარცხის მიუხედავად, ლვოვში საკმაოდ კარგად ვითამაშეთ, საქართველოს ნაკრების სოლიდურ გუნდად ჩამოყალიბების მანიშნებელია. ხვალინდელ მატჩზე, მისი შედეგის მიუხედავად, დარწმუნდებით, რომ ჩვენი გუნდი კიდევ უფრო მაღალ დონეზე ითამაშებს. რაც შეეხება იმას, თუ როგორ შეიძლება დანიის ნაკრების დამარცხება, ვიტყვი, რომ ყველა გუნდს აქვს სუსტი წერტილები. ამ თვალსაზრისით, არც დანიაა გამონაკლისი. მართალია, ეს გუნდი ტაქტიკურად და ტექნიკურად გამართულ ფეხბურთს თამაშობს, მაგრამ, საკმაოდ უჭირს ასევე ტექნიკური გუნდების წინააღმდეგ



*არველაძე ოლსენთან ნაცნობობას დღევანდელ მატჩში წარმატების მისაღწევად გამოიყენებს.*

თამაში. ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე, ოღონდ იმ ფარგლებში, რომ გუნდური თამაში არ დაზარალდეს, დანიელთა ჯობნა შეიძლება. ჩვენ გუნდში საკმაოდ გვყავს ასეთი ყაიდის ფეხბურთელები. ასათიანი, კობიაშვილი, იაშვილი... მათ წინააღმდეგ დანიელებს ძალიან გაუჭირდებათ.

**- მორტენ ოლსენს კარგად იცნობთ. მისი ხელმძღვანელობით "აიაქსში" ბრწყინვალე სეზონი ჩაატარეთ. ეს ნაცნობობა ხომ არ გამოგადგებათ თქვენ და საქართველოს ნაკრების სხვა ფეხბურთელებს დანიელთა წინააღმდეგ თამაშისას?**

- პრინციპში, დანიის ნაკრების დღევანდელი სათამაშო ტაქტიკა ძალზე ჩამოჰგავს იმ პერიოდის "აიაქსისას". თუმცა, ეს ჩემზე გაცილებით უკეთ იცის ჟირესმა, რომელსაც ვინმეს რჩევა ნაკლებად სჭირდება. რა თქმა უნდა, იერარქიის დაცვის ფარგლებში, მე ჟირესსაც მივაწოდე, ჩემი აზრით, მნიშვნელოვანი ინფორმაცია ოლსენთან დაკავშირებით. თუმცა, კიდევ ვიმეორებ, ჟირესი მაღალი კვალიფიკაციის მწვრთნელია და მას არავის რჩევა არ სჭირდება. პირადად მე, ალბათ, გამომადგება ის გამოცდილება, რომელიც ოლსენთან მუშაობის დროს დამიგროვდა.

## არველაძე საკუთარ სკოლაში დირექტორად დანიშნეს

ცნობილ ფეხბურთელს არჩილ არველაძეს 35-ე საფეხბურთო სკოლაში მოუხდა დაბრუნება, ოღონდ ამჯერად... დირექტორის ამპლუაში. ამ სკოლის ხელმძღვანელობა მას ქალაქის მერმა და კულტურის, სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ გიორგი უდესიანმა შესთავაზეს. "35-ე საფეხბურთო სკოლას დიდი ტრადიციები აქვს. აქ სწავლობდნენ მიხეილ მესხი და დავით ყიფიანი. ამიტომ გადავწყვიტეთ, ამ სკოლას განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ. უახლოეს მომავალში მუშაობას დავიწყებთ ახალ მენეჯმენტზე და საბიუჯეტო თანხებსაც გავზრდით. ეს სკოლა მსოფლიო დონის სკოლად უნდა ვაქციოთ," - აცხადებს ჭიაბერაშვილი.

35-ე საფეხბურთო სკოლის ყოფილი დირექტორი ანდრო თურქია თანამდებობიდან ორი თვის წინათ გაათავისუფლეს. როგორც გიორგი უდესიანი აცხადებს, ამ სკოლაში წლების განმავლობაში ბევრი პრობლემა დაგროვდა. "ბიუჯეტიდან გადარიცხული თანხა ან არამიზნობრივად იხარჯებოდა, ან საქმე უხარისხოდ კეთდებოდა. როცა სკოლა შევამოწმეთ, დირექტორი მიხვდა, რომ მოვალეობას ვერ ასრულებდა და გათავისუფლების შესახებ განცხადება დაწერა," - განაცხადა უდესიანმა.

მოკლედ

## ამელი მორესმო ფედერაციის თასზე არ ითამაშებს

მსოფლიოს მეორე ჩოგანმა ამელი მორესმომ უარი განაცხადა ითამაშოს ფედერაციის თასის ფინალურ ეტაპზე, რომელიც 24-28 ნოემბერს მოსკოვში გაიმართება (ფედერაციის თასი მსოფლიოს არაოფიციალური ჩემპიონატია ქალთა გუნდებს შორის). საფრანგეთის ნომერ პირველ ჩოგბურთელს შეცვლის ამილი ლუა, რომელიც რეიტინგის მიხედვით 45-ე ადგილზეა.

მორესმომ აღიარა, რომ ნაკრებში თამაშზე უარის თქმა ყოველთვის ძნელია, მაგრამ ახლა მისთვის უფრო მნიშვნელოვანია "დიდი სლემის" ტურნირის მოგება და მომავალი წლისთვის მომზადება.

შეგახსენებთ, რომ ფედერაციის თასის ოთხთა ტურნირის ნახევარფინალში რუსეთი - ავსტრია და საფრანგეთი - ესპანეთი შეხვდებიან ერთმანეთს. გუნდები ტურნირზე ასეთი შემადგენლობით იასპარეზებენ.

**საფრანგეთი:** ნატალი დეშ , ტატიანა გოლოვინი, მარი პირსი, ემილი ლუა

**ესპანეთი:** ანაბელ მედინა-ჰარიგესი, მარია-ანტონია სანჩეს-ლორენსო, ვირჯინია რუანო-პასკუალი, მარტა მარერო

**ავსტრია:** სიბილ ბამერი, ივონი მასბურგერი, პატრისია ვარტუში, დანიელა კიკსი

**რუსეთი:** ანასტასია მისკინა, სვეტლანა კუზნეცოვა, ვერა ზვონარევა, ელენა ლიხოვცევა

# სტარკოვი ლატვიას ემშვიდობება

*ლიხტენშტაინთან დღევანდელი მატჩის შემდეგ ლატვიის ნაკრებს დატოვებს ალექსანდრ სტარკოვი, რომელიც სამუდამოდ დამკვიდრდა ლატვიის ფეხბურთის ისტორიაში. ლიხტენშტაინთან მატჩი, რომელიც ვადუცში გაიმართება, სტარკოვისთვის უკანასკნელი იქნება ლატვიის ნაკრების მწვრთნელის რანგში. როგორც არ უნდა დასრულდეს ლიხტენშტაინთან მატჩი, სტარკოვი 2,5 მილიონი ლატვიელისთვის დარჩება ადამიანად, რომელმაც ლატვია პორტუგალიაში ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გაიყვანა.*

**- რა გრძნობით ემშვიდობებით ლატვიის ნაკრებს?**

- სინანულით, თუმცა, გარკვეულწილად, ვალმოხდილობის შეგრძნებით. რადგან მე ლატვიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე სამი წელი ვიმუშავე და ამ ხნის განმავლობაში გრძელი და რთული გზა გავიარეთ. როცა მე მუშაობას ვიწყებდი, ლატვიის ნაკრები რეიტინგში 105-ე ადგილზე იყო და სულაც არ მიიჩნეოდა ფინალურ ეტაპზე მოხვედრის კანდიდატად. ამის მიუხედავად, ჩვენ ევროპის ჩემპიონატზე მოვხვდით. ეს კოლექტიური მუშაობის ნაყოფია. მე კი, როგორც მწვრთნელმა, შევძელი, ასეთი



კოლექტივი ჩამომეყალიბებინა. ჩვენ კარგი დამოკიდებულება გვქონდა გუნდის შიგნით და ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციასთან. ეს უაღრესად მნიშვნელოვანია.

**- რა მომავალი აქვს ლატვიის ნაკრებს ამ და შემდგომ შესარჩევ ციკლებში?**

- ვნახოთ, ბევრი რამ დამოკიდებული იქნება სატურნირო ფორტუნაზეც, რადგან ჩვენ გარკვეული დონე გვაქვს. ლატვიის ნაკრებს ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეუძლია. თუმცა, სამწუხაროდ, ხანდახან ქულებსაც ვკარგავთ. ფეხბურთელთა სათამაშო კლასი საკმაოდ მაღალია, მაგრამ მაინცდამაინც დიდი არჩევანის საშუალება არ გვაქვს. ამიტომ ყოველთვის აქტუალურია, რომ გუნდი ოპტიმალური შემადგენლობით ოპტიმალურ ფორმაში იყოს. თუ ერთ ან ორ ფეხბურთელს დავკარგავთ, მყისვე სერიოზულ პრობლემას ვაწყდებით.

**- რა შეგიძლიათ თქვათ თქვენს სავარაუდო მემკვიდრე იური ანდრეევზე?**

- იმედი მაქვს, რომ მას დაამტკიცებენ. ჯერჯერობით ხომ ეს ნაბიჯი არ გადადგმულა. ის კარგი, გამოცდილი მწვრთნელია, რომელიც ფართო საფეხბურთო განათლებას ფლობს და ფეხბურთელებშიც პატივისცემითა და ნდობით სარგებლობს. ის იმ ადამიანების რიცხვს მიეკუთვნება, რომელიც არავის ზეწოლას არ მოითმენს. ხდება, რომ მწვრთნელს ამა თუ იმ ფეხბურთელს თავს ახვევენ, პირობითად რომ ვთქვათ, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ან პრესა. ანდრეევი ამაზე არასოდეს წავა და გუნდში მხოლოდ უძლიერესებს შეარჩევს. თუ ფედერაციისა და ფეხბურთელთა მხრიდან ნდობა ექნება, მას შეუძლია ძლიერი კოლექტივი ჩამოაყალიბოს.

ფეხბურთი

# ლიპის ახალი დონე

უეფას ტექნიკურმა დირექტორმა ენდი როქსბურგმა თავის ერთ-ერთ ინტერვიუში ნაკრების მწვრთნელის სამუშაო შეადარა საწამლავით სავსე ჭიქას, რომელის შესმასაც ცდილობენ თვით ყველაზე გამოცდილი სპეციალისტებიც კი, ვინც საკლუბო დონეზე, რომ იტყვიან, ცეცხლის, წყლისა და ფოლადის მილების მიღმა გაიარა.

საერთაშორისო ვირუსის უკანასკნელი მსხვერპლი გახდა მარჩელო ლიპი. მან ტურინის "იუვენტუსისთვის" უიღბლო 2003-2004 წლების სეზონის შემდეგ გამოთქვა სურვილი, ფეხბურთი დაეტოვებინა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ლიპის ყულაბაში მრავალი სხვადასხვა სახის ჯილდო იყო, შეიძლება გვევარაუდა, რომ სპეციალისტი დამსახურებულ დასვენებას აპირებდა და შეიძლებოდა ცოტათი მოშვებულიყო კიდეც. "მოვიდა დრო, განზე გავდგე. ვფიქრობ, დგება ამ ულამაზესი ისტორიის დასასრულის დღე", - განაცხადა მაშინ ლიპიმ.

შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ლიპის დასამტკიცებელი აღარაფერი დარჩა. 1994-1999 წლებში "იუვენტუსთან" ერთად მან სამჯერ მოიგო იტალიის ჩემპიონატი, ჩემპიონთა ლიგა, უეფას სუპერთასი, საკონტინენტთაშორისო თასი და იტალიის თასი. 2001 წელს მილანის "ინტერში" მოსინჯა ძალები და ტურინში დაბრუნება გადაწყვიტა. "ბებერმა ქალბატონმა" კიდევ ორჯერ იზეიმა "სკუდეტო", ხოლო 2003 წელს გავიდა ჩემპიონთა ლიგის ფინალში, სადაც გამარჯვება "მილანს" დაუთმო.

თუმცა, წინადადება, იტალიის ნაკრებში ჯოვანი ტრაპატონი შეეცვალა, უაღრესად მიმზიდველი იყო და ლიპიმ ცდუნებას ვერ გაუძლო. ახლა ის მხოლოდ იმ ფიქრით არის გართული, როგორ გაიყვანოს მსოფლიოს სამგზის ჩემპიონები 2006 წლის მსოფლიო პირველობის ფინალურ ეტაპზე.

"იუვენტუსში" ამდენი ხნის მუშაობის შემდეგ დასვენება მინდოდა, - აღიარა ლიპიმ, - მაგრამ იტალიის ფეხბურთის ფედერაციის წინადადებამ ეროვნული ნაკრების ჩაბარებაზე საოცრად მომნუსხა და ჩემთვის დიდი პატივი იყო"... ლიპის



საქციელი კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ კარგი მწვრთნელი არასოდეს გაუშვებს შანსს, საინტერესო პირობებში გამოსცადოს თავი.

ლიპი ძველებურად ვარსკვლავებთან მუშაობს, რომელთა უმრავლესობასთან საკლუბო დონეზე მწვრთნელობის პერიოდშიც ჰქონდა საქმე, მაგრამ "იუვენტუსის" საოცარი რიტმიდან მას აბსოლუტურად სხვა ტემპზე გადართვა უწევს. "კლუბში და ნაკრებში მუშაობა ერთმანეთისგან დიდად განსხვავდება, - განმარტავს მარჩელო ლიპი, - კლუბში ყოველდღე ხვდები და აკვირდები ფეხბურთელებს, ხოლო ნაკრებში შენეული გეგმის განსახორციელებლად მხოლოდ რამდენიმე დღე გაქვს".

ლიპის თქმით, ნაკრებში ფსონებიც აბსოლუტურად განსხვავებულია. მწვრთნელსა და მის შეგირდებს მილიონობით ადამიანი უყურებს. "ეს ურთულესი ამოცანაა. ნაკრები მთელ ქვეყანას ეკუთვნის, ეს ხომ მთელი ერის გუნდია. კლუბები კი მხოლოდ ერთ რომელიმე ქალაქს წარმოადგენენ, - მსჯელობს "სკუადრა აძურას" მწვრთნელი, - ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ უფრო თავისუფალი გრაფიკი გაქვს, ზეწოლას მუდმივად გრძნობ".

ახლახან სტოკჰოლმში გამართულ ნაკრების მწვრთნელთა შეკრებაზე ლიპიმ განაცხადა, რომ სურს, იტალიის ნაკრებში საკლუბო ატმოსფერო შექმნას. შესარჩევი ციკლის პირველ ორ ტურში ნორვეგიისა და მოლდოვას დამარცხების შემდეგ "სკუადრა აძურა" მოულოდნელად სლოვენიაში დამარცხდა. ამის შემდეგ ბელორუსებთან მატჩი კი ლიპის გუნდის პირველი სერიოზული გამოცდა იყო.

"საშინლად გაბრაზებული ვარ, - სლოვენიასთან მატჩის შემდეგ განაცხადა ლიპიმ, - ხანდახან პატარა გუნდები გრანდებს ამარცხებენ, მაგრამ დღეს ჩვენ უნდა მოგვეგო". ბელორუსებთან მატჩმა აჩვენა, რომ ლიპის შესანიშნავად შეუძლია, გუნდი გამარჯვებისთვის მომართოს და, მართალია, იტალიელებმა სამი ბურთი მიიღეს, მათ ოთხი გაიტანეს და მაინც გაიმარჯვეს.

# ინგლისელ ფეხბურთელებს აქებენ და აძაგებენ

*დღეს საღამოს "სანტიაგო ბერნაბეუზე" გაიმართება ინგლისისა და ესპანეთის ნაკრები გუნდების საერთაშორისო ამხანაგური მატჩი, რომელსაც ორივე მხარე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. მატჩამდე ერთი დღით ადრე, ანუ გუშინ, "არსენალის" ესპანელმა ფეხბურთელმა ხოსე რეიესმა "მანჩესტერ იუნიტედის" ფეხბურთელებს რიო ფერდინანდსა და გარი ნევილს სიტყვიერი შეურაცხოფა მიაყენა და მათ შურისძიებით დაემუქრა, მადრიდის "რეალის" თავდამსხმელმა რაულმა კი მატჩის წინ თანაგუნდელები დევიდ ბექჰემი და მაიკლ ოუენი, რომელთა წინააღმდეგაც დღეს თამაში მოუწევს, საქებარი სიტყვებით მოიხსენია.*

ნინო ტიკარაძე

მოგეხსენებათ, "მანჩესტერ იუნაიტედსა" და "არსენალს" შორის ერთი თვის წინათ დაწყებულ დაპირისპირებას ბოლო არ უჩანს. შერიგების წინააღმდეგი "მეთოფეები" არიან. მთავარი მწვრთნელის არსენ ვენგერის კვალდაკვალ არც მისი ფეხბურთელები თაკილობენ "მანჩესტერ იუნაიტედის" ფეხბურთელების საჯაროდ ლანძღვას. ამჯერად "არსენალის" ესპანელმა თავდამსხმელმა ხოზე ანტონიო რეიესმა მიაყენა სიტყვიერი შეურაცხოფა ინგლისის ორ ვარსკვლავს - გარი ნევილსა და რიო ფერდინანდს, რომელთაც "საზიზღრები" უწოდა და პირობა დადო, რომ მათზე შურს იძიებს. როგორც ჩანს, ვერც ერთი არსენალელი ვერ ეგუება "ოლდ ტრაფორდზე" ერთი თვის წინათ განცდილ მარცხსა და მის შემდგომ განვითარებულ მოვლენებს. არადა, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ (FA) რამდენიმე ხნის წინათ თავისთან დაიბარა "არსენალისა" და "მანჩესტერ იუნაიტედის" წარმომადგენლები. შეხვედრამ იმდენად მშვიდობიანად ჩაიარა, რომ FA-ის შეექმნა ილუზია, თითქოს მოდავე მხარეები შეარიგა, მაგრამ ახლა რეიესმა ასოციაციის წარმომადგენლებს მთელი შრომა წყალში ჩაუყარა და "ბერნაბეუზე" ინგლის-ესპანეთის საერთაშორისო ამხანაგურ მატჩამდე ერთი დღით ადრე ფერდინანდსა და ნევილს შეურაცხოფა მიაყენა.

"იმედი მაქვს, ეს ფეხბურთელები გაცილებით კეთილგონივრულად ითამაშებენ, ვიდრე მაშინ "ოლდ ტრაფორდზე", - განაცხადა რეიესმა, რომელსაც საკმაოდ კარგი აზრი აქვს მთლიანად ინგლისის ნაკრებზე, მხოლოდ ნევილი და ფერდინანდი არ მოსდის თვალში, მაგრამ ეს სავსებით ბუნებრივია. "არსენალი" ხომ "მანჩესტერ იუნიტედს" მტრად მოიხსენიებს. რეიესის თქმით, მისი მხრიდან ამ ამხანაგურ მატჩზე არანაირი ექსცესი არ მოხდება. როგორც ჩანს, მის ზემოხსენებულ შურისძიებას 1 დეკემბერს "ოლდ ტრაფორდზე", "არსენალსა" და "მანჩესტერ იუნაიტედს" შორის კერლინგის თასის მეოთხედფინალური მატჩის დროს ან მის შემდეგ უნდა ველოდოთ.

მოკლედ, ასეა თუ ისე, დღეს საღამოს გაიმართება ინგლის-ესპანეთის საერთაშორსო ამხანაგური მატჩი, რომელსაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ესპანეთის ეროვნული ნაკრებისა და მადრიდის "რეალის" თავდამსხმელი რაული. ის მადრიდის "რეალში" თანაგუნდელსა და მეგობარს დევიდ ბექჰემს სერიოზულ მოწინააღმდეგედ მიიჩნევს და აცხადებს, რომ თუ ესპანეთს მოგება სურს, ის პირველ რიგში დევიდ ბექჰემს უნდა გაუმკლავდეს. მას ასევე მიაჩნია, რომ ბექჰემთან მეგობრობა დროებით გვერდზე უნდა გადადოს და ინგლისის ნაკრებს ღირსეული მეტოქეობა გაუწიოს.

"ეს მატჩი პირადად ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ყოველთვის ვოცნებობდი, ინგლისის წინააღმდეგ მეთამაშა. და აი, ეს დღეც დადგა. ამ ამხანაგურ მატჩს დიდ მნიშვნელობას სძენს ინგლისელი ფეხბურთელების მაღალი დონე, მაგრამ, ინგლისელთა სიძლიერის მიუხედავად, ესპანელები ღირსეულად დავიცავთ საკუთარი გუნდის სახელსა და დიდებას," - განაცხადა რაულმა, რომელმაც ინგლისელთა თამაშების რამდენიმე ვიდეოჩანაწერი ნახა და მათ სტილსაც კარგად გაეცნო. მისი აზრით, ის ამბავი, რომ ბექჰემმა ტრავმის შემდეგ ჩვეული ფორმა დაიბრუნა, არცთუ მთლად კარგი ინფორმაციაა ესპანეთის ნაკრებისთვის. რაული ასევე ძლიერ მოწინააღმდეგედ მოიაზრებს მაიკლ ოუენსაც, თუმცა, მას მაინც თავისი გუნდის დიდი იმედი აქვს: "ჩვენ ვიცით, რომ ძალიან რთული თამაში გველის. სიმართლე რომ ვთქვა, ინგლისის ნაკრები ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიო გუნდებს შორის."

ამ, ერთი მხრივ, ძაგებისა და, მეორე მხრივ, ქების მიუხედავად, იმედია, ფეხბურთელები პირად შეხედულებებს გვერდზე გადადებენ და მაღალი დონის თამაშს შემოგვთავაზებენ გულშემატკივრებს.

რაგბი

# ქართველები რუსებისთვის საქართველოში ემზადებიან

## ისინი ჩვენთვის - საფრანგეთში

პაატა თოთაძე

სამი დღეც და, საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ახალ სეზონს დაიწყებს. ბორჯღალოსანთა პირველი მეტოქე ერთა თასის გათამაშებაში რუსეთის ნაკრები იქნება. სულ ორი დღეა, რაც ჩვენი გუნდი შეიკრიბა და ხან "ლოკომოტივის", ხანაც ვარკეთილის მეურნეობის სტადიონზე ვარჯიშობს. ამ დროს რუსეთის ნაკრები საფრანგეთში გადის შეკრებას და საკონტროლო თამაშებსაც იქაურ კლუბებთან მართავს.

თავდაპირველი ვარაუდით, ბორჯღალოსნებს საფრანგეთში უნდა გაევლოთ შეკრება, მაგრამ მიზეზთა გამო ეს ვარიანტი გამოირიცხა და ქართველებს შინ მოუხდათ შეკრების გავლა. თუმცა, შეკრება არც ეთქმის იმას, რა მდგომარეობაშიც ახლა ჩვენი ნაკრებია. წინა წლებისგან განსხვავებით, როცა ნაკრები მცხეთაში იდებდა ბინას და საგურამოში ვარჯიშობდა, ახლა ვითარება სხვაგვარია. მორაგბეები სახლებში არიან და მხოლოდ დილაობით ვარჯიშობენ ერთად. ვილაცისთვის ასეთი რამ, შესაძლოა, მიუღებელი იყოს, თუმცა, ამის პრაქტიკა უცხოეთში არსებობს. მორაგბეები თავისი საქმის პროფესიონალები არიან, ამდენად, ყველამ კარგად იცის, როგორ მოემზადოს მნიშვნელოვანი შეხვედრისთვის.

ასეთ მცირე დროში, ბუნებრივია, მწვრთნელები ვერ მოასწრებენ გუნდის მომზადებას ისე, როგორც თავად სურთ. ეს აღიარეს კიდეც, კომბინაციების დასამუშავებლად და რაიმე სიახლეების შესატანად დრო არ გვრჩებაო. ამდენად, თამაში დახურული იქნება. გარკვეული პრობლემები მწვრთნელებს შემადგენლობის შერჩევისასაც შეექმნათ. ნაკრებს თავდაპირველად გამოკლებულ იაშვილს, ხინჩაგიშვილსა და მაისურაძეს კიდევ სამი მორაგბე - ჯიმშელაძე, ჩხაიძე და გიორგაძე შეემატა. ასე რომ, ბორჯღალოსნებს კრასნოდარში შესუსტებული შემადგენლობით მოუწევთ თამაში. გიორგაძის ნაცვლად რუსეთთან მატჩში ჰუკერობას გასწევს გოდერძი შველიძე, აქეთ-იქით კი მას მაგრაქველიძე და ზირაქაშვილი ამოუდგებიან. ილო მაისურაძის არყოფნაში ნაკრებში რატი ურუშაძეს უხმეს. რუსეთის ჩემპიონატის ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშეს არ ესწავლება, ვინ რას წარმოადგენს რუსეთის ნაკრებში და ჩვენს გუნდსაც უთუოდ წაადგება. თავისუფალი ნახევარმცველის პოზიციაზე კი ჯიმშელაძის ადგილს კიკნაძე დაიკავებს. დაახლოებით ცნობილია ძირითადი შემადგენლობაც:

**შერკინების პირველი ხაზი (1, 2, 3)** - მამუკა მაგრაქველიძე, გოდერძი შველიძე, დავით ზირაქაშვილი

**მეორე ხაზი (4, 5)** - ილო ზედგენიძე (კაპიტანი), მამუკა გორგოძე

**მესამე ხაზი (6, 7, 8)** - რატი ურუშაძე, ზვიად მაისურაძე, ბესიკ უდესიანი

**შერკინების ნახევარმცველი (9)** - ირაკლი აბუსერიძე

**თავისუფალი ნახევარმცველი (10)** - დავით კიკნაძე

**სამმეოთხედელები (11, 12, 13, 14)** - ბესიკ ხამაშურიძე, ირაკლი გიორგაძე, თედო ზიბზიბაძე, ირაკლი მაჩხანელი (ან ლექსო გუგავა)

**მცველი (15)** - მალხაზ ურჯუკაშვილი

სათადარიგოები: ნიკო ჭავჭავაძე, დავით გასვიანი, დავით ბოლღაშვილი, ზაზა ვალიშვილი (ან ზურაბ მჭედლიშვილი), ბიძინა სამხარაძე, ოთარ ბარკალაია, ირაკლი მაჩხანელი (ან ლექსო გუგავა).

ვალიშვილსა და მჭედლიშვილს შორის არჩევანი იმაზე იყო დამოკიდებული, ჩამოვიდოდა თუ არა თბილისში ზურაბ მჭედლიშვილი. როგორც ცნობილია, მჭედლიშვილი გუშინ უნდა ჩამოსულიყო. ამდენად, რუსეთის წინააღმდეგ მწვრთნელები გამოცდილ და რუსებთან მრავალგზის ნაომარ "პანკრაშკინას" უფრო ენდობიან. დღეს და ხვალ ნაკრები ბოლო მზადებას გაივლის, პარასკევს კი კრასნოდარში გაფრინდება ჩარტერული რეისით. საღამოს მსუბუქად ივარჯიშებენ, სტადიონს "შეეჩვევიან", შაბათს კი... მატჩი თბილისის დროით ორ საათზე დაიწყება.

საფრანგეთში მყოფმა რუსეთის ნაკრებმა პირველ საკონტროლო მატჩში მეორედივიზიონელი "ბორდო" დაამარცხა (17:12). მეორე მატჩი რუსებს გუშინ უნდა გაემართათ, დღეს კი ისინი კრასნოდარში გაფრინდებიან და იქ განაგრძობენ მზადებას მომავალი მატჩისთვის. როგორც ჩანს, შემადგენლობის მხრივ მათაც აქვთ პრობლემები. ყოველ შემთხვევაში, განაცხადში არ მოხვდნენ ბოლო წლებში რუსთა უცვლელი კაპიტანი და საუკეთესო მოთამაშე სერგეი სერგეევი და კონსტანტინ რაჩკოვი. მათ არყოფნაში ნაკრებს დაემატა მურატ უამბაევი, რომელსაც ადრე უთამაშია თბილისში. სერგეევისა და რაჩკოვის არყოფნის გამო რუსული საინფორმაციო საშუალებები დიდ უკმაყოფილებას გამოთქვამენ. ჯერ კიდევ დაუზუსტებელია, რატომ არ მოხვდა განაცხადში ეს ორი მოთამაშე - მწვრთნელმა არ ისურვა მათი გამოძახება (რაც, ფაქტობრივად, წარმოუდგენელია) თუ თავად მორაგბეებმა თქვეს უარი ნაკრებში თამაშზე. აქა-იქ ისიც კი გაისმა, საფრანგეთში შეკრებაზე არ იყვნენ, რადგან ისინი კლუბს სჭირდებოდა, თორემ ქართველების წინააღმდეგ აუცილებლად ითამაშებენო.

კრივი

# ჰოლიფილდს ინდიელთა რეზერვაციებში გაუღეს ფანჯარა

გიგა გურასაშვილი

ევანდერ ჰოლიფილდი ოდესღაც მართლა დიდი მოჩხუბარი იყო. კრივის ისტორიაშიც სამართლიანად დაუკავებია საკუთარი ადგილი. მაგრამ დღეს ის იმ ჰოლიფილდის აჩრდილიც აღარაა. თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, ხასიათი უცვლელი შერჩა. მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი ძველებურად ჯიქურ მიიწევს რინგისკენ. ერთი სიტყვით, თავისას არ იშლის. ადრე ამბობდა და ახლაც იმეორებს, ძველი სახელი უნდა დავიბრუნოო, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, შესაძლოა, ამერიკელი საერთოდაც კრივიდან მოკვეთონ. უფრო სწორად, მოკრივის უსაფრთხოებაზე მზრუნველნი აცხადებენ, სანამ ხელში არ შემოგვკვდომია, ჯობს, რინგს აღარ გავაკაროთო. რომელი ჯეელი ეგ არის, ლამის ბაბუად გვეკუთვნისო. 42 წლის ჰოლიფილდი 1999 წლის შემდეგ ცხრაჯერ გავიდა რინგზე, მაგრამ მხოლოდ ორჯერ მიაღწია წარმატებას. ყველაფრის გათვალისწინებით, ჰოლიფილდი აქამდეც უნდა გასულიყო კრივის ორბიტიდან, მაგრამ აკი ვთქვი, ჯიუტია და თავისას არ იშლის-მეთქი.

მორიგი მარცხი 13 ნოემბერს, ნიუ იორკში, "მედისონ სქვერ გარდენში" იწვნია ხუთი წლით უმცროსი, სწრაფი და მოქნილი ლარი დონალდისგან. ახლა ჩხუბის პერიპეტიებს აღარ მოვყვები. ერთს კი ვიტყვი: შაბათის დაპირისპირება ნაკლებად პრესტიჟული ტიტულისა - NABC-ის საჩემპიონო ქამრისა გახლდათ, სადაც სამივე მსაჯმა საგრძნობი უპირატესობა ჯერაც უტიტულო დონალდს მიაკუთვნა (119-109, 119-109, 118-109). ჰოლიფილდისთვის შაბათს ნაწვნევი მარცხი ზედიზედ მესამე გამოდგა. ბრძოლის შემდეგ ყოფილ ჩემპიონს ჰკითხეს: კიდევ არ იშლი შენსას? ანუ, კარიერის გაგრძელებას ისევ აპირებო? მან კი გაკვირვებულმა იკითხა: რატომაც არა?

ახლა კი რა ხდება? ჰოლიფილდის ბედით შეჭირვებული ნიუ იორკის შტატის ათლეტთა კომისია (NYSAC) იძულებული გახდა, საგანგებო სხდომა მოეწვია და შაბათის ორთაბრძოლაზე ემსჯელა. დღის წესრიგი: ევანდერ ჰოლიფილდის კრივიდან ჩამოშორება გაურკვეველი ვადით.

ამასთან დაკავშირებით გაზეთი "ნიუ იორკ დეილი ნიუსი" ათლეტთა კომისიის თავმჯდომარის რონ სკოტ სტივენსის სიტყვებს იშველიებს: "საკუთარი პრაქტიკიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ჰოლიფილდმა მეტი მატჩი აღარ უნდა გამართოს. შტატის ათლეტთა კომისია ვალდებულია, მოკრივე საკუთარი თავისგან დაიცვას. ჰოლიფილდმა ბრწყინვალე კარიერის განმავლობაში საკმაოდ ბნევრი დაზიანება მიიღო. დროა, სისხლის ღვრა შევწყვიტოთ".



აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ ჰოლიფილდი არ დაემორჩილება NYSAC-ის აკრძალვას, რომელიც დანარჩენ შტატებზეც ვრცელდება, ვეტერან მოკრივეს აშშ-ის ფარგლებს გარეთ მოუწევს მუშტის მოღერება.

"დიდ პატივს ვცემ ევანდერ ჰოლიფილდს და მის წინაშე ქედს ვიხრი, - აცხადებს სტივენსი. - თუმცა, ჩემს მოვალეობებში შედის, ვიზრუნო მოკრივის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე. ნებისმიერი ადამიანი, ვისაც კრივი აინტერესებს, მიხვდება, რომ მისტერ ჰოლიფილდის ოსტატობა, სისწრაფე და რეაქცია ისე დაეცა, რომ მისთვის უკვე სახიფათოა რინგზე გასვლა".

საგულისხმოა, რომ გადაწყვეტილება რინგიდან ჰოლიფილდის ჩამოშორების შესახებ დისკვალიფიკაციის სახით გაფორმდა. ეს იმას ნიშნავს, რომ სხვა შტატებიც ვალდებულნი არიან, ნიუიორკელ კოლეგებს დაეთანხმონ, თუმცა...

არის ერთი ფანჯარა, რომელსაც ინდიელთა რეზერვაციებამდე მივყავართ. იქ კაზინოებია განლაგებული. ერთი სიტყვით, გამონაკლისის სახით თუ გაჭირვების ჟამს ჰოლიფილდს ინდიელთა რეზერვაციებში ბრძოლის უფლება რჩება.

და კიდევ. კრივის ბერმუხას უფლება აქვს, სასამართლოს საშუალებით ნიუ იორკის ათლეტთა კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივროს ან წარადგინოს შესაბამისი სამედიცინო საბუთები, რომლის მიხედვითაც დადასტურებული იქნება შემდეგი: ევანდერ ჰოლიფილდი სრულად ჯანმრთელი და უვნებელია!

ეს პირველი შემთხვევა როდია, როდესაც ჰოლიფილდს ექიმები ულობავენ გზას. მანამდე სამედიცინო მოსაზრებებით ევანდერი ორჯერ ჩამოაშორეს რინგს, მაგრამ მან ამდენჯერვე მოახერხა, ლიცენზია აღედგინა, შესაბამისად, სამედიცინო კომისიის გავლით, რომელიც მის ჯანმრთელობას უსვამდა ხაზს.

P.S. "არ მესმის, რატომ უნდათ ჩემი თავიდან მოშორება? რა დავაშავე ისეთი, რომ რინგზე ჩემი ნახვა აღარ უნდათ? დავიჯერო, მართლა ისე ზრუნავთ ადამიანზე, რომ მისი საკუთარი თავისგან დაცვა გსურთ? მე არაფრით არ წავიდოდი არავის სურვილის წინააღმდეგ".

ბოლოს ესღა თქვა ოდესღაც დიდმა მძიმეწონოსანმა.

TV-სპორტი

## ოთხშაბათი. 17 ნოემბერი

**НТВ+ФУТБОЛ**

07:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 1980. პირველი წრე. "PORTLAND TRAIL BLAZERS" - "SEATTLE SUPERSONICS". მე-2 თამაში
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 რუსეთის თასი. 1/16 ფინალი. "ამკარი" - "ტერეკი". საპასუხო მატჩი
14:00 განვლილი კვირის ჰიტ-ალლუმი - ესპანეთის ჩემპიონატი. "ბეტისი" - "ბარსელონა"
15:45 თავისუფალი დარტყმა
16:00 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
16:55 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
17:50 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
18:50 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
19:20 თავისუფალი დარტყმა
19:35 სახვალიო ტელეპროგრამა
19:40 ინგლისის ჩემპიონატი. "ნიუკასლი" - "მანჩესტერ იუნაიტედი"
21:25 მსოფლიო ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩი. თურქეთი - უკრაინა. პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებისას (22:15) - თავისუფალი დარტყმა
23:25 "FUTBOL MUNDIAL"
23:55 მსოფლიო ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩი. ეკვადორი - ბრაზილია. პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებისას (00:45) - თავისუფალი დარტყმა
01:55 საფრანგეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
03:00 NBA TV. "ORLANDO MAGIC" - "UTAH JAZZ". პირდაპირი ტრანსლაცია
05:30 NBA TV - დღიური

**НТВ+ПЛЮС**

10:00, 13:00, 16:15, 21:00 პრესცენტრი
10:20, 21:15 "ქრონიკა"
10:25, 13:15 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 "ჰოკეი-პლუს"
11:00 სპორტული ცეკვები. ევროპის ჩემპიონატი. ევროპული პროგრამა
12:00 "ვარსკვლავური სამშაბათი"
13:30 როდეო. "Bull Riders"
14:15 "რკინის ფაქტორი"
14:45 ფიგურული სრიალი. დიდი პრიზი "CUP OF CHINA"
16:30 სუპერსეტ-ჩოგბურთი. ლონდონის ტურნირის წარსულისა და აწმყოს ვარსკვლავები. მეორე ნაწილი. შესვენებისას (19:00) - პრესცენტრი
19:45 "სპორტისიმო"
20:30 "ვატერპოლე"
21:20 სახვალიო ტელეპროგრამა
21:30 "ჰოკეი-პლუს"
21:45 სპორტული ტანვარჯიში. არტურ განდერის მემორიალი შვეიცარიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
00:30 ახალი ამბები
00:45 "ვატერპოლე"
01:15 "ჰოკეი-პლუს"
01:30 01:30-დან 03:40-მდე შესვენება
03:40 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. არგენტინა - ვენესუელა. პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**

06:00 ჩოგბურთი. "Masters Series" აშშ-ში. პირდაპირი ტრანსლაცია
10:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
11:00 ჩოგბურთი. "Masters Series" აშშ-ში
12:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩი
13:30 ფეხბურთი. 19 წლამდე გოგონათა მსოფლიო ჩემპიონატი ტაილანდში
15:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩი. ირლანდია - ხორვატია
16:00 ჩოგბურთი. WTA ტურის საჩოგბურთო ცხოვრება
16:30 ჩოგბურთი. "Masters Series" აშშ-ში
18:15 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩი
20:45 რალი. მსოფლიო ჩემპიონატის ეტაპი ავსტრალიაში
22:00 ჩოგბურთი. "Masters Series" აშშ-ში. პირდაპირი ტრანსლაცია
23:30 აფროსნობა
00:00 პოლო - ოქროს თასი
00:30 მულტისპორტი ოთხშაბათობით
00:45 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩი
2:15 ახალი ამბები
02:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატის ეტაპი ავსტრალიაში
03:45 ახალი ამბები
04:00 ჩოგბურთი. "Masters Series" აშშ-ში. პირდაპირი ტრანსლაცია

# "ისტორიის მტვერი" და ცოცხალი სისხლი

ჩემს წერილს "აფხაზეთში საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების გარანტირებული აღდგენის გზათა" შესახებ ("24 საათი", 22 X) ბ-ნი გ. ანჩაბაძე ეკამათება წერილით "ქართულ-აფხაზური ურთიერთობების გარანტირებული მოუგვარებლობის კონცეფცია" ("24 საათი", 10 XI). ვპასუხობ ამ კრიტიკას.

ჩემთვის, როგორც საქართველოს მოქალაქისა და პატრიოტისათვის, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს თემას, არის თუ არ არის აფსუა ("აფხაზი") ხალხი აფხაზეთის ავტოხთონური ანუ მასზე მაცხოვრებელი და მისი ცივილიზებულად ამთვისებელი (და არა მოსული) პირველი მოსახლეობა. ჩემთვის მთავარია ის, რომ იგი აქ არის, ცხოვრობს, აქვს საკუთარი იდენტობის (ეროვნული) ცნობიერება და ჩვენი, ქართველების მონათესავეა გენეტიკურად, ენობრივად და კულტურულად. მაგრამ ხსენებული თემა მნიშვნელობას იძენს (უფრო მეტიც: მძაფრ მნიშვნელობას იძენს) იმის გამო, რომ აფსუური ("აფხაზური") სეპარატიზმი, რომელსაც ჰსურს საქართველოსაგან აფხაზეთის ჩამოცილება, მისი კანონიერი მოსახლეობის 17 პროცენტის ნების თანახმად და მისი კანონიერი მოსახლეობის 46 პროცენტის ნების საწინააღმდეგოდ, ამ თავის სურვილს ამყარებს ისტორიულ დებულებაზე: "ჩვენ, აფსუები ("აფხაზები") აფხაზეთში ავტოხთონური მოსახლეობა ვართ, ქართველები კი მოსული მოსახლეობა ხართ". ამ ისტორიული თეზისიდან კეთდება პოლიტიკური დასკვნა: "მაშასადამე, აფხაზეთის, როგორც მთელის, ბედისა და სტატუსის განსაზღვრაში გადამწყვეტია ჩვენი ნება და არა თქვენი: ერთი აფსუას ("აფხაზის") ხმას მეტი წონა აქვს, ვიდრე ერთი ქართველისას". ამ პოლიტიკურ დასკვნას, თავის მხრივ, მოსდევს პრაქტიკული დასკვნა: მაშასადამე "ქართველები არ უნდა იყოთ აფხაზეთში. გრუზინი - ვონ იზ გრუზიი! სმერტ გრუზინამ!" და ეს ლოზუნგები ხორციელდება კიდეც, 30 ათასი უიარაღო კაცის, ქალისა და ბავშვის მკვლელობის სახით, უცხო ძალის გამოყენებით და მასზე დაყრდნობით.

როგორ მოვიქცე, თუ ციტირებული ისტორიული დებულება ყალბია? შევარჩინო ეს სიყალბე აფსუა ("აფხაზ") სეპარატისტებს და ამით საშუალება მივცე, თავისი უცხოეთიდან შთაგონებული ზოოლოგიური სიძულვილი და მასზე დამყარებული გენოციდი ჩემი ერისა "ეროვნულ - განმათავისუფლებელ ბრძოლად" გამოაცხადონ? ნურას უკაცრავად! ამ ყალბი დებულების გამჭვირვალე მხილებას მსოფლიოს წინაშე, ანუ იმის გაცხადებას, რომ თეზისი "აფხაზეთი აფსუების ("აფხაზების") ქვეყანაა", "აფსუები ("აფხაზები") აფხაზეთის ავტოხთონური მოსახლეობაა" და "აფხაზეთში ქართველები მეორადი, მისული მოსახლეობაა" რეალობას არ ასახავს, მე ვთვლი საქართველოს ხელისუფლების ერთ-ერთ აუცილებელ ნაბიჯად აფხაზეთში საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის აღდგენის გზაზე. იმაში, რომ მე ციტირებულ ისტორიულ თეზისს არ ვიზიარებ, მეკამათება ოპონენტი, ეროვნებით აფსუა ("აფხაზი") - ჩემის აზრით, მეკამათება არაკორექტულად (კამათის წესისა და წანამძღვრებიდან დასკვნის გამოტანის წესების დარღვევით). სახელდობრ:

ა) უპასუხო კითხვას "თუ აფსუა ("აფხაზი") მოსახლეობა აფხაზეთში ავტოხთონურია და თუ აფხაზეთს თავისი სახელი ამ მოსახლეობის სახელის მიხედვით ჰქვია, მაშინ რატომ უწოდებს იგი დღეს თავისთავს "აფსუას" და არა "აფხაზს?" ჩვენი ოპონენტი ასეთი გულუბრყვილო ილეთით იცილებს: "ეს ისეთივე სისულელეა, ვინმე რუსს რომ ეთქვას **"какие же они грузины, если сами себя картвелами называют?"** განვმარტავ: "გრუზიად" წოდებულ ქვეყანას რომ თავის "გრუზინსკიენოვანი" ისტორიული ცხოვრება ჰქონოდა საუკუნეთა მანძილზე და "გრუზინსკი" ენა რომ "ქართულისაგან" განსხვავებული ენა ყოფილიყო, მაშინ იმ რუსის გაკვირვებას საფუძველი ექნებოდა. აფხაზეთს (ეს სახელი ამ დროს მთელ დასავლეთ საქართველოს ჰქვია), IX საუკუნის დამდეგიდან მაინც (ამ თარიღს იმიტომ ვასახელებ, რომ იგი დოკუმენტირებულია), თავისი ქართულენოვანი ცხოვრება აქვს. გრიგოლ ხანძთელი (დაბ. 759 წელს) რომ აფხაზეთის მეფესთან მიდის და მონასტრის დაარსების ნებას სთხოვს (ამ მონასტერს, უბეს, იგი აარსებს დღევანდელი ზესტაფონის რაიონში), ხომ არ ფიქრობს პატივცემული ოპონენტი, რომ წმინდა მამა მეფეს ბერძნულად ესაუბრება ან ბერძნულენოვანი მონასტრის შექმნას ითხოვს? ან ხომ არ ფიქრობს იგი, რომ როცა, ორი საუკუნით უფრო გვიან, იქმნება ტიტული "მეფე აფხაზთა და ქართველთა" და ასე შემდეგ, იმ "აფხაზეთში" აფსუურენოვანი მოსახლეობა იგულისხმება? ამგვარად, "აფხაზეთად" ცნობილ ტერიტორიას და, შესაბამისად, ამ დროს "აფხაზებად" ცნობილ მოსახლეობას, ლეონის მიერ ქუთაისის აღებისა და აფხაზეთის სამეფოს დაარსებიდან 30-40 წლის შემდეგ მაინც და შემდგომში, - თავისი ქართულენოვანი ცხოვრება ჰქონია და ეს ცხოვრება ჩანს. ამავე სამეფოში აფსუურენოვანი ცხოვრება კი არსაიდან არ ჩანს. არ არის ბუნებრივი ამ ვითარებაში კითხვა: სად არის ამ დროს აფსუური ( ანუ, თუ დავუჯერებთ ოპონენტს, "აფხაზური") ენა და აფსუურენოვანი ცხოვრება? შეთავსებადია თუ არა აღწერილი ვითარება ოპონენტის რწმენასთან, რომ სახელი "აფსუა" იმ ეპოქაში (IXს) ხსენებული ტერიტორიის სატიტულო (ანუ ამ მხარისათვის სახისმიმცემი) მოსახლეობის შინაური სახელია, ხოლო "აფხაზი" - საგარეო სახელი? ამასთან, ჩნდება მესამე, ამდენადვე რიტორიკული კითხვაც: "ლეონმა რომ ქუთაისი აიღო და აფხაზეთის სამეფო დააარსა, გრიგოლ ხანძთელი თინეიჯერი იყო. დარწმუნებულია თუ არა პატივცემული ოპონენტი და თუ დარწმუნებულია, რის საფუძველზე, რომ ლეონ მეფის კარზე იგივე ენობრივი სიტუაცია არ იყო, რაც გრიგოლ ხანძთელის დარბაზობისას აფხაზეთის მეფის კარზე?"

ბ) ოპონენტს შეცდომაში შეჰყავს მკითხველი, როცა ეუბნება, რომ აზრი აფხაზეთში აფსუების ("აფხაზების") ქართველებთან შედარებით უფრო გვიანდელი დასახლების შესახებ პ. ინგოროყვას ეკუთვნის (სინამდვილეში ეს აზრი ბევრ სხვა ავტორსაც ეკუთვნის და პ. ინგოროყვასგან განსხვავებული არგუმენტაციებიც აქვს. პ. ინგოროყვა ამ თეზისის პირველი გამომთქმელია საბჭოთა დროის პუბლიკაციებში), რომ ეს აზრი "არ გაიზიარა ქართველმა ისტორიოგრაფიამ" და რომ "აფხაზთა არააფხაზობის თეზისს არ იზიარებს, პრაქტიკულად, არც ერთი უცხოელი".

პ. ინგოროყვას მიერ გამოქვეყნებული ჰიპოთეზა სინამდვილეში "არ გაიზიარა" არა მეცნიერებამ, არამედ ცეკამ. ამ თეზისის გამოთქმა აკრძალეს, მეცნიერებზე ზეწოლა მოახდინეს, ასე რომ, მაგალითად, აფხაზური ენისა და მისი ყველა დიალექტისა და კილოკავის საუკეთესო მცოდნე ქ. ლომთათიძე თუმცა ლექციებზე ეუბნებოდა სტუდენტებს, რომ აფსუურ ("აფხაზურ") ენაში მევენახეობა-მეღვინეობის მთელი ტერმინოლოგია ქართველურია, მაგრამ ეს დაკვირვება, რამდენადაც ვიცი, არსად დაუბეჭდავს (მე მისთვის არ მისმენია. ცნობა მაქვს აწ განსვენებული გ. მაჭავარიანისგან). ნ. ბერძენიშვილი ძალიან ტანჯავს ამ თემასთან დაკავშირებით, მაგრამ მას, რამდენადაც ვიცი, არასოდეს გადაუთქვამს თავისი დაკვირვება, რომ იმ ფეოდალიზმამდელი წესით მაცხოვრებელი საზოგადოება, როგორადაც მკვლევრები აღწერენ, არც ისე დიდი ხნის წინათ აფსუურ ("აფხაზურ") საზოგადოებას, არ შეიძლება იყოს ფეოდალიზმგამოვლილი საზოგადოება, მაშასადამე -ფეოდალიზმგამოვლილი ტეროტორიის ავტოხთონური მოსახლეობა.

ზ. ანჩაბაძე (მე მისი უამრავი გამოსვლა მახსოვს) ღირსშესანიშნავი იყო, ჯერ ერთი, თავისი შეუვალი სიმყარით თავის თეზისთა დაცვაში, მეორეც, თავისი ნაჰილისტური დამოკიდებულებით ფაქტებისადმი და მათი დაკავშირების წესებისადმი, როცა საქმე აფხაზეთის დემოგრაფიულ ისტორიას შეეხებოდა (თუ ოპონენტს მისი დამოწმება სურს, უმჯობესი იქნება მისი რომელიმე თეზისი ამოირჩიოს და მისი დასაბუთება სცადოს). რაც შეეხება "უცხოელი მეცნიერებისაგან" "აფხაზთა არააფხაზობის" თეზისის არგაზიარებას, ამ მეცნიერთა აზრის მიჩნევა ავტორიტეტულად შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი მომზადებით ქართველოლოგები და კავკასიოლოგები, ლინგვისტები, დემოგრაფები, ისტორიკოსები, არქეოლოგები არიან. ასეთი პროფილის რამდენ მკვლევარს შეუსწავლია საკითხი, არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში ბ-ნი ჰიუიტ, თუ მისი პუბლიკაციების მიხედვით ვიმსჯელებთ, ამგვარად დაპროფილებულ მკვლევართა რიცხვს არ ეკუთვნის.

გ) მე მგონი, პატივცემულ ოპონენტს უმისამართო კამათი გამოუდის, როცა მახსენებს, რომ კოდორის ხეობიდან რუსებს XIX საუკუნის მეორე ნახევარში დიდძალი აფხაზობა ჰყავთ მუჰაჯირობაში (ფაქტობრივად, იძულებით გაგზავნილი. ეს კონსტანტაცია (და პ. ჭარაიას სათანადო ციტატი) ეხება ამ ხეობის ქვემოწელს, სადაც ამ ტრაგედიის შემდეგ ისტორიულად უმოკლეს ვადაში სომხები შეასახლეს (ეს ჩანს თუნდაც იქ არსებული ბაღების ხსენებიდან) და არა ზემოწელს, სადაც სვანები სახლობენ თავისი მთის მეურნეობითურთ. ისინი სრულებით არ არიან იქ ჩასახლებულნი "XX საუკუნის დასაწყისიდან", როგორც ოპონენტი ფიქრობს. ოპონენტს ვურჩევ: შეისწავლოს აფხაზეთის მოსახლეობის სვანური და მეგრული გვარები და დარწმუნდეს, რომ ეს, ძირითადად, აფხაზეთის გარეთ არარსებული გვარებია, ანუ ადგილობრივი და შემდეგ გააფსუებული ("გააფხაზებული"), და არა იმიგრირებული გვარები.

სანამ შედეგებზე გადავიდოდეთ, მინდა ეს თემა ცოტა კიდევ განვაგრძო. საკითხი, თუ ვინ არის დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიის ავტოხთონური მოსახლეობა, ფორმალურად ე.წ. სადავო საკითხთა რიცხვს ეკუთვნის: არის პუბლიკაციები, სქელტანიანი ტომების ჩათვლით, სადაც ავტორები ასეთ მოსახლეობად ქართველ ტომებს მიიჩნევენ, და არის ასევე სქელტანიანი პუბლიკაციები, სადაც ასეთ მოსახლეობად მიჩნეულნი არიან დღევანდელ აფსუათა ("აფხაზთა") წინაპარნი. (ის, რომ ერთი მხარე, სახელდობრ, ქართველი ისტორიკოსები ამ ტომებს ცეკას, ჩეკასა და ალეკეკას (ამ უწმაწურ დასახელებათა გარითმვა ეკუთვნის ჩემს აწ განსვენებულ მეგობარს გურამ კანკავას, ჩვენი მეთერთმეტეკლასელობის დროს) უმკაცრესი ცენზურისა და ხელოვნური დამუხრუჭების პირობებში წერს, ხოლო მეორე, სახელდობრ, აფსუური ("აფხაზური") მხარე ამავე ორგანოთა და ინსტანციათა წახალისებით მუშაობს, რა თქმა უნდა, მხედველობაში არ მიიღება: ტომები აწყვია, ავტორებს სამეცნიერო ხარისხები აქვთ, - მაშასადამე, დისკუსია შემდგარია და მორჩა! მეცნიერებაში თუ "მეცნიერებაში" ორი ურთიერთდაპირისპირებული აზრის არსებობა ფაქტია!). საქმის "არაფორმალური" მხარე სხვაა: თუ ერთ ბანაკში შემთხვევათა დიდ უმრავლესობაში (ანუ მოხალისე დილეტანტების გარდა) დისკუსიაში მეცნიერული პასუხისმგებლობის გრძნობით აღჭურვილი პირები მონაწილეობენ, მეორე მხარეს კამათის დონესა და სტილს ვორონოვის, მაიკოპური წარწერის აფსუურად ("აფხაზურად") წამკითხავის და მრავალი მათი მსგავსის დონე და სტილი განსაზღვრავს. ამ თემის დისკუტირებას არ ვაპირებ (ეს, ცხადია, აქ შეუძლებელია), მაგრამ შედარებით გარეშე მაყურებლის შთაბეჭდილებას მაინც მოგახსენებთ: კოლხეთის სახელმწიფოს არსებობის დროს ამ ტერიტორიაზე არაქართველური მოსახლეობის არსებობის მამტკიცებელი მეტ-ნაკლებად სერიოზული არგუმენტი არ ჩანს, ქართულისა, პირიქით, თვალსაჩინოზე თვალსაჩინოა (გავიხსენოთ თუნდაც ის, რომ არგონავტების მოგზაურობის მიზნის სახელი არის ყველასათვის ცნობილი "ეგრისის" კანონზომიერი მეგრული შესატყვისი "არგიში" ან არგისი (აქედან - "არგონავტები"), საიდანაც მოდის ამ ტერიტორიის მაცხოვრებლის ასევე კანონზომიერად ურთიერთშესატყვისი სახელები: "მ-ეგრ-ელ-ი" და "მ-არგ-ალ-ი". ქართველოლოგიაში სულ ოდნავ ჩახედული კაცისათვის ეს ცხადზე ცხადი გახლავთ). უფრო გვიან, ბერძნული ძლიერი გავლენის ეპოქაში და შემდგომ, ამ ტერიტორიაზე ადგილი აქვს ჩრდილოეთიდან ჩამოწოლილ ტომთა მუდმივ "წნევას", რომელიც ხან ძლიერდება, ხან სუსტდება იმისდა მიხედვით, რამდენად ძლიერია დამხვდური ხელისუფლება ადგილზე. ამ "წნევას" თავისი დემოგრაფიული შედეგები მოაქვს, რომელთაც XVII-XVIII საუკუნეებში, ადგილობრივი ძალების უკიდურესი დასუსტების პირობებში (თურქეთის ფაქტორის შედეგად), უკვე ლამის ყოვლისმომცველი მასშტაბი აქვთ. გარდა ამისა: იმ შემთხვევაში, როცა ანტიკურ წყაროებში დასახელებული ხალხების (დღევანდელ აფხაზეთის ტერიტორიაზე და მის გარშემო განსახლებულებისა) იდენტიფიკაცია მეტ-ნაკლებ დამაჯერებლობით ხერხდება, ეს მათი ქართველურად იდენტიფიკაციათა (როგორც ზანური, ანუ მეგრული, და სვანური მოსახლეობისა), ამ ხალხთა არაქართველურად იდენტიფიკაციის მცდელობებს კი სუსტი საბუთიანობა აქვთ. (ვიმეორებ: ამ მსჯელობას მხოლოდ შთაბეჭდილების სახით გთავაზობთ და არა ცალსახად დადასტურებული ფაქტის უფლებით). მაგრამ ყოველივე ეს, ასეა თუ ისე, აკადემიური მსჯელობის ფარგლებში ექცევა. დიდი ტყუილი ამის შემდეგდა იწყება. სახელდობრ, თავისი (ცუდად დასაბუთებული) თეზისიდან, აფხაზეთის დღევანდელი ტერიტორიის ავტოხთონური მოსახლეობა ჩვენ ვართო, სეპარატისტებს გამოაქვთ სრულებით ულოგიკო დასკვნა, "მაშასადამე, ქართველები აქ ავტოხთონური მოსახლეობა არ არიან, მოსულები არიანო" (უფრო მეტიც: სტალინისა და ბერიას დროს მოსულები არიანო). ასეთი აზრის ბრძანდება, სხვათა შორის - არ ვიცი, საკუთარი სიბრიყვის გამო თუ რუსული თხოვნისა - საქართველოს კარგად ცნობილი დაუძინებელი მტერი ბოდენიც), ხოლო ქართველ ისტორიკოსთა (კარგად დასაბუთებული) თეზისიდან, რომ ამ ტერიტორიის ავტოხთონური მოსახლეობა ქართულია (სახელდობრ, მეგრული და სვანური), ასევე უსაფუძვლოდ ასკვნიან, რომ ქართველებს აფსუათა ("აფხაზთა") "ისტორიისა და სამშობლოს მითვისება სურთ" (პატივცემული ოპონენტის სიტყვებია). "ულოგიკო" - მეთქი, რომ ვამბობ, მხედველობაში მაქვს ის, რომ ზღვისკენ ჩამომავალი ურთიერთპარალელური ხეობებით დასერილ ტერიტორიაზე, ბარისგან განსხვავებით, იმდენივე ავტოხთონური მოსახლეობა შეიძლება იყოს (თეორიულად), რამდენიც ხეობაა. ვორონოვისთანა "მკვლევართა" ამ დასკვნის ამოცანა ისაა, რომ მიგვიყვანოს საბოლოო მიზანთან - დებულებასთან, რომ აფხაზეთში ქართველები არ უნდა იყვნენ, და ქართველების გენოციდის ლოზუნგთან.

პატივცემული ოპონენტი თავს იკავებს საკუთარი პოზიციის გამოთქმისაგან როგორც ამ ულოგიკო დასკვნის მიმართ, ისე, მისი სიტყვით, აფხაზეთის საზოგადოებაში გავრცელებული ამ აზრის მიმართ, რომ "აფსუასა" და "აფხაზის" ტერმინოლოგიური განსხვავებით ქართველებს "მათი ისტორიისა და სამშობლოს მითვისება სურთ". მაგრამ, იგი არ გაურბის შეფარული მუქარის გამოთქმას იმის დამოწმებით, რომ "ასეთ პოლიტიკას" (იგულისხმება: ისტორიის ასეთნაირად წარმოდგენას ანუ ისტორიის ასეთ კონცეფციას) უკანასკნელი 15 წლის" მწარე გამოცდილება მოსდევს. (ამ უკანასკნელში, ცხადია, იგულისხმება ქართველი მოსახლეობის გენოციდი და ეთნიკური წმენდა). კითხვა დგება (რომელსაც ვერ გაექცევით): რას გვირჩევს პატივცემული ოპონენტი ქართველ მკვლევარებს იმის ნაცვლად, რომ აფხაზეთის დემოგრაფიული ისტორიის ჩვენეული ხედვა ბეჭდური სახით წარმოვადგინოთ და ვასაბუთოთ რომ ეს ტერიტორია ჩვენი სამშობლოა? სიმართლედ ვაღიაროთ ის, რაც, ჩვენი მეცნიერული კვლევის თანახმად, მართალი არ არის? ვასიამოვნოთ აფსუა ("აფხაზ") ხალხს, მეცნიერებსა და ფსევდომეცნიერებს, - კიდევ ერთხელ - იმით, რომ მათ სამშობლოდ ვცნოთ ის, რაც, პირველ ყოვლისა ჩვენი სამშობლოა? თუ ოპონენტს მხედველობაში ეს აქვს, ეს ვერაფერი რეკომენდაციაა! აფსუა ("აფხაზმა") ხალხმა უნდა იცოდეს, რომ აფხაზეთში ქართველი მოსახლეობა ავტოხთონურია, - რომ იგი, ასე ვთქვათ, ამ მიწასთან ერთად შობილი მოსახლეობაა, - და მას არც უნდა უჩნდებოდეს, ვერც უნდა უჩნდებოდეს იმის სურვილი, რომ ადგილობრივ ქართველს უთხრას: "მე, ამ მიწის პატრონმა - დავიცავი იგი შენგან, უცხო მომსვლელისაგან. მე ჩავატარე ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომი და შენ, ამ წმინდა ომის სახელით, დაგიწვი სახლ-კარი, დაგიხოცე ძენი და ძეთა ძენი". მსოფლიომაც უნდა იცოდეს, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, როგორია ამ გარედან ინსპირირებულსა და ორგანიზებულ ომში მხარეთა იდეოლოგია, მენტალიტეტი და მორალური სტატუსი. საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია აფხაზეთის თემაზე მოლაპარაკებათა პროცესში **მაგიდაზე ედოს** დასაბუთებადი და მნიშვნელოვანწილად უკვე დასაბუთებული დებულება: აფხაზეთი ქართველი ხალხისათვის მისი სამშობლოა, მისი ეთნიკური ტერიტორიის ნაწილია, რომელიც არც ოდესმე დაუპყრია, არც სხვისგან მიუთვისებია.

ამ ძალიან მძიმე თემის განხილვით პრობლემის შიგ შუაგულში ვექცევით. პრობლემა შემდეგია: აფსუა ("აფხაზ") ადამიანს გულწრფელად სწამს, რომ ის ღვთაებრივი მიწა-წყალი, სადაც დაიბადა და გაიზარდა, მისი სამშობლოა და შთამომავლობითურთ მისი მარადიული საარსებო ბაზაა. მართალიც არის - თვით იმის გათვალისწინებითაც კი, რომ მისი წინაპრები საუკუნეების წინ აქ ჩრდილოეთიდან მოვიდნენ, - რადგან სხვა სამშობლო დედამიწაზე არა აქვს და მისი თვითცნობიერებაც უკვე დიდი ხანია გამოეყო იმ სხვა ადიღეელი ხალხების თვითცნობიერებას, რომლებიც მან ქედის გადაღმა დატოვა. მაგრამ ქართველმაც ხომ იცის, რომ ეს მიწა მისი სამშობლოა, მის წინაპართა სისხლით მორწყული და მის წინაპართა შექმნილი მატერიალური კულტურის საგნებით, მათ შორის - კულტურული ძეგლებით მოფენილი! საკითხავია, როგორ შევათავსოთ და შევუგუოთ ერთმანეთს ამ ორთა პოზიციები? ასეთი პასუხი, - "თვითონ გაარჩიონ, იომონ და რომელიც გადარჩება, იმისი იქნება," - მიუღებელია. პატივცემული ოპონენტის პასუხიც - "რასაკვირველია, ქართველმა უნდა დათმოს" გულუბრყვილოდ უსამართლოა და, ამდენად, არარეალისტურად პრიმიტიული. ერთადერთ სწორი პასუხია "შეთანხმდით!", რაც, საბედნიეროდ, სავსებით რეალისტურია, რადგანაც აფხაზეთის მიწა-წყალი, ჯერჯერობით მაინც, ორივე მხარისათვის შეუზღუდავი ფრთების გაშლის, გამრავლების, გამდიდრების, განვითარების, ყოველმხრივი თვითრეალიზაციის საკმარის ასპარეზს შეიცავს. ყოველმხრივი, მათ შორის - ეროვნული თვითრეალიზაციის ცნება აფხაზეთში (და დედამიწის არაერთ სხვა კონფლიქტურ წერტილში) სტაბილური მშვიდობის შექმნის გასაღებს იძლევა. რას ნიშნავს იგი, ამაზე აქ ვრცლად ვერ ვილაპარაკებთ (ოპონენტის მიერ გაკრიტიკებულ ჩემს წერილში ამაზე ცოტა უფრო ფართოდ ვმსჯელობ). აქ ვიტყვი მხოლოდ, რომ ყოველმხრივი ეროვნული თვითრეალიზაცია მოიცავს არა მხოლოდ გარანტირებული იურიდიული პირობების შექმნას სამარადისო გადარჩენისათვის, როგორც ერისა, უსაზღვრო კულტურული, ეკონომიკური, მენტალური, სოციალური განვითარებისათვის და ა. შ. (რაც ცნობილია), არამედ იმასაც, რომ იქ, სადაც მოცემული ხალხი ცხოვრობს, ცხოვრების ძირითად საკითხთა მარეგულირებელ კანონმდებლობაში გათვალისწინებული იყოს ამ ხალხის ზნე-ჩვეულებები, ტრადიციები, აქსიოლოგიური (ღირებულებრივი) ცნობიერება და ბუნებრივი მონაცემებიც კი, რომლებიც პიროვნებების და მათგან შემდგარი საზოგადოების რაგვარობას განსაზღვრავენ.

იმ ადამიანისათვის, ვინც მთელი არსებით დაინტერესებულია, რომ დღევანდელ უმძიმეს პირობებში მისი მცირერიცხოვანი ხალხი (ამ შემთხვევაში - აფსუა ("აფხაზი") ხალხი - გადარჩეს და ფონს გავიდეს, ეს თემა პირველხარისხოვანი მნიშვნელობისა უნდა იყოს. ამიტომ მე მოველოდი, რომ ბატონი გ. ანჩაბაძე გამოთქვამდა თავის პოზიციას ჩემ მიერ დაბეჭდილი "კონცეფციის" სწორედ ამ ნაწილის გამო. სამწუხაროდ, ეს არ მოხდა - ალბათ, იმიტომ, რომ პატივცემულ ოპონენტს დღეს საქართველოსაგან აფხაზეთის წაგლეჯის რუსული ამოცანა უფრო აღელვებს, ვიდრე აფსუა ("აფხაზი") ხალხის სამუდამო გადარჩენისა და ფონს გასვლის აფსუური ("აფხაზური") ამოცანა.

პატივცემული ოპონენტი პირდაპირ ან არაპირდაპირ მოითხოვს პასუხს რამდენსამე კითხვაზე და ვალდებული ვარ, მისი ეს მოთხოვნა შევასრულო.

1. კითხვა: რატომ ვთვლი საჭიროდ პარტიზანულ მოძრაობას?

პასუხი: იმიტომ, რომ რუსი "მემშვიდობეების" ჩადგომიდან დღემდე მხოლოდ გალში 2000-მდე მოსახლე მოკლეს აფსუურმა ("აფხაზურმა") პოლიციელებმა. მათგან მოსახლეობის დამცველი მხოლოდ პარტიზანია.

2. კითხვა: რატომ არ გამოვრიცხავ ძალას?

პასუხი: იმიტომ, რომ მინდა რეალისტი ვიყო. მიზანთა იერარქია ასე მესახება: პირველი: პრობლემა უნდა გადაიჭრას სახელმწიფო ინტერესთა შესაბამისად და სამართლიანად. მეორე: სასურველია (და აქეთკენ უნდა ვისწრაფოთ), იგი გადაიჭრას მშვიდობიანად.

3. კითხვა: ვისთან უნდა გაიმართოს არაფორმალური ანდა ფორმალური მოლაპარაკება?

პასუხი: აფხაზეთის საზოგადოებასთან, პირველ ყოვლისა, რა თქმა უნდა, აფსუური ("აფხაზური") ეროვნების სანდო და ავტორიტეტულ პირებთან. მათი გამოძებნა უნდა ხდებოდეს ერთი მხარის ან ორივეს ინიციატივით.

ეს - რაც შეეხება "ხალხურ დიპლომატიას". მთავრობის მოლაპარაკება ამგვარ პირებთან შესაძლებელია ფორმალურიც და არაფორმალურიც.

რაც შეეხება აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებას, იგი მოლაპარაკების მხარედ არ გამოდგება, რადგან, ჯერ ერთი, კრიმინალურია (არა მხოლოდ არძინბას სახით), მეორეც, ცალსახად მართულია რუსეთის მიერ.

რაც შეეხება მუქარას, რომ არძინბას ნებისმიერი მემკვიდრე "აფხაზური მოსახლეობის უდიდესი ნაწილის მხარდაჭერით ისარგებლებს", ეს არის ამ მოსახლეობისათვის, ქართულისაგან განსხვავებით, აფხაზეთის ბედის განკარგვაში ვეტოს უფლების მინიჭების ცდა, რაც, ჩემი აზრით, პრინციპულად მიუღებელია: ჩემი აზრით (ვიმეორებ), არ შეიძლება ერთი აფსუა ("აფხაზი") მოსახლის ხმას სხვა წონა ჰქონდეს, ვიდრე ერთი ქართველისას.

4. ოპონენტმა ვერ გაიგო (ალბათ, ჩემი ბრალია) ჩემი მსჯელობა აფხაზეთის შინაგან მოწყობაში "ფედერალურობის" ელემენტის შეტანის შესახებ. განვმარტავ: მხედველობაში მაქვს აფხაზეთის სხვადასხვა ნაწილთა (რეგიონთა) მიმართება სოხუმის ხელისუფლებასთან და არა ამ უკანასკნელისა თბილისის ხელისუფლებასთან.

5. ოპონენტს მიაჩნია, რომ თქვენი მონა-მორჩილი "ზედმეტად არის განწყობილი ჩრდილო მეზობელთან კონფრონტაციისაკენ".

განვმარტავ: მე განწყობილებას კი არ გამოვთქვამ, არამედ გათვლას და არსებული სიტუაციის კონსტატაციას. დღეს (და განჭვრეტად უახლოეს წლებში) რუსეთის სახელმწიფო პოლიტიკა რადიკალურად შეუთავსებელია ჩვენი ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებთან. ამგვარად, კონფრონტაცია არსებობს. არსებობს, საბედნიეროდ, მისი მოგვარების ნაბიჯთა ფართო სპექტრიც, მათ შორის - რბილი და ზომიერი ღონისძიებების მომცველიც.

გადასაწყვეტ საკითხთა დეტალები აუარებელია, მათ შორის ისეთებიც, რომელთა გადაჭრაც აუცილებლად საჭიროებს (თუნდაც ფსიქოლოგიურად) ორმხრივი შეთანხმების ფაქტს. ეს ეხება, ძირითადად, უფლება-მოვალეობათა გამიჯვნის დეტალებს. სამწუხაროდ, ოპონენტის წერილს ვერ ვატყობ, რომ მას ამგვარ მოლაპარაკებებში წვლილის შეტანა ძალუძს ან ჰსურს. არც ის ვიცი (მომიტევეთ), არის თუ არა იგი ის პიროვნება, რომელიც თავისი ხალხის მხრიდან სათანადო ნდობით არის აღჭურვილი. თუ გავითვალისწინებთ მის მონაწილეობას იმ ფანატიკურად ანტიქართულ არაკომპეტენტურ უცხოურ გამოცემებში, რომელთა მრავალი ტომი უკვე ვიცით, ამ მხრივ მაინცდამაინც დიდი ოპტიმიზმის საფუძველი არა გვაქვს.

7. მინდა შევაჯამო ნათქვამი: აფსუური ("აფხაზური") სეპარატიზმის იდეოლოგია რამდენსამე დებულებას შეიცავს. პირველი: ჩვენ, აფსუები ("აფხაზები") აფხაზეთის ავტოხთონური მოსახლეობა ვართ. მეორე (პირველიდან ულოგიკოდ გამოყვანილი): მაშასადამე, ქართველები აფხაზეთის ავტოხთონური მოსახლეობა არ არიან. მესამე (მეორედან გამოყვანილი სამართლებრიობის, სამართლიანობის, დემოკრატიის მოთხოვნათა სრული უგულებელყოფით): მაშასადამე, ქართველები აფხაზეთში არ უნდა იყონ. მეოთხე (მესამედან გამოყვანილი დაუფარავად კაციჭამიური წესით): მაშასადამე - დავხოცოთ და განვდევნოთ რუსეთის ძალის გამოყენებით ქართველები! სმერტ გრუზინამ!

არც ერთი ამ დებულებათაგანი, ცალკე აღებული, არ "ყვირის". პირველი ორი თავისი ჟანრით აკადემიურია. მესამეს თუ გამართლება არა, ფსიქოლოგიურად "შემარბილებელი" გარემოება მაინც ეძებნება: "გავუგოთ იმ ხალხსაც! ეშინიათ, ქართველებში არ აითქვიფონ!" მეოთხესაც კი შესაძლებელია ვინმემ "შემარბილებელი" ახსნა მოუგონოს: "რა ვქნათ? სამშობლოსთვის იბრძოდნენ და 30 ათასი მშვიდობიანი ადამიანი შემოაკვდათ". ე.წ. "აფხაზეთის ლიდერებისა" და მათი მომხრე მასის კაციჭამიური პოზიცია "ყვირის" მაშინ, როცა ამ დებულებებს ერთად ხედავთ და მათ ორგანულ შინაგან კავშირს, მათი თანამიმდევრობის მთელ ძეწკვს ერთ მთლიანობაში აღიქვამთ, საბოლოო მიზანზე - ქართველი მოსახლეობის გენოციდზე - ორიენტირებულს. დღევანდელი ე.წ. აფსუური ("აფხაზური") სეპარატიზმის, უფრო სწორად-საქართველოსაგან აფხაზეთის მოგლეჯის რუსეთის მიერ ორგანიზებული პოლიტიკური მოძრაობის სახე ეს გახლავთ. მისი ზემოხსენებული შინაგანი სტრუქტურის გახსნისა და საზოგადოებრიობის თვალწინ მისი გამოფენის ამოცანას ვერ გაექცევა ვერავინ, ვისაც აფხაზეთის პრობლემის რეალისტური და სამართლიანი გადაჭრა ჰსურს.

პატივცემულმა ოპონენტმა თავის პასუხს სათაურად მისცა "ქართულ აფხაზური ურთიერთობების გარანტირებული ვერმოგვარების კონცეფცია" (ჩემს კონცეფციას, პირიქით, "აფხაზეთში საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის გარანტირებული აღდგენისა" ჰქვია). ეს მისი ფორმულირება ჩემი ფორმულირების პაროდირება არ გახლავთ. მას თავისი ფარული ლოგიკა აქვს, რომელიც რამდენიმე დებულებისაგან შედგება.

პირველი დებულება: პრობლემა არ გადაიჭრება, სანამ აფსუა ("აფხაზი") ხალხი არ იტყვის "ჰოს". მეორე დებულება: აფსუა ("აფხაზი") ხალხი არ იტყვის "ჰოს", სანამ "ჰოს" არ იტყვის არძინბას კრიმინალური ხროვის მემკვიდრე დე ფაქტო სოხუმური ხელისუფლება. მესამე: სოხუმური დე ფაქტო ხელისუფლება არ იტყვის "ჰოს", სანამ "ჰოს" არ იტყვის რუსეთი. თუ ამ ლოგიკას გავყვებით, მოგვარება ვერასოდეს ვერ მოხდება. ამიტომაც უნდა შევიგნოთ, რომ აფსუა ("აფხაზი") მოსახლეობა არ არის აფხაზეთის ერთადერთი ე.წ. სატიტულო მოსახლეობა. აფხაზეთის სატიტულო მასახლეობას შეადგენს მისი ქართველი მოსახლეობაც. ამიტომ აფსუური ("აფხაზური") მოსახლეობის, რაგინდარა ერთსულოვანის, ვეტო (არ დაგვავიწყდეს: დღევანდელ ეტაპზე, სამწუხაროდ, რუსეთიდან ნაკარნახევი ვეტო) არ კმარა და ვერ უნდა კმაროდეს მოგვარების კონკრეტული სამართლიანი პროექტის დასაბლოკად. მაგრამ, რომელია სამართლიანი პროექტი? ცხადია, მხოლოდ ის, რომელიც აკმაყოფილებს ყველა მონაწილის, მათ შორის - აფსუა ("აფხაზი") მოსახლეობის ფუნდამენტურ ადამიანურ მოთხოვნილებებსა და სწრაფვებს, ეროვნული მოთხოვნილებებისა და სწრაფვების ჩათვლით. იმისათვის, რომ შესათავაზებელი პროექტი უხინჯოდ სამართლიანი იყოს, მისი შემდგენისათვის ძირითადი სახელმძღვანელო ძაფია, - რა თქმა უნდა, - მისი საკუთარი სინდისის ხმა, მაგრამ ამ სუბიექტური ფაქტორის გარდა უაღრესად მნიშვნელოვანია ობიექტური ფაქტორებიც. ერთი ასეთი ფაქტორია იმ პროექტის წინასწარი გამოქვეყნება და დაგზავნა, ფიგურალურად რომ ვთქვათ, დედამიწის ყველა მაცხოვრებლისათვის, "ვისაც ჭკუა ეკითხება". მეორეა მასზე წინასწარი მოლაპარაკება და მისი განხილვა ქართველი ხალხის (პირველ ყოვლისა-აფხაზეთის ქართველი მოსახლეობის) და აფსუა ("აფხაზი") ხალხის რეალური ნდობით აღჭურვილ პირებს შორის.

შევნიშნავ: ამგვარი მოლაპარაკების გასაადვილებლად, კეთილი ნების გარდა, ერთგვარი "ტექნიკაც" არსებობს. დგება წინასწარი ნუსხა იმისა, თუ რისი ეშინია ერთ მხარეს მეორის მხრიდან და რა სურს მისგან, ასევე - რისა ეშინია მეორე მხარეს პირველის მხრიდან და რა სურს მისგან. პოზიციები ჯერდება, იქ, სადაც წინააღმდეგობა არაა, შეთანხმება დგება. ამით ძალიან ვიწროვდება თვითმიზნური კომპრომისის აუცილებლობის სფერო, ანუ ისეთ თემათა ნუსხა, რომელზეც პოზიციები დიამეტრულად დაპირისპირებულია. აქ კი, როგორც იტყვიან, "გვინდა თუ არ გვინდა, უნდა შევთანხმდეთ, რაც უნდა მტკივნეული იყოს ეს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ორივენი დავიღუპებით".

*ნოდარ ნათაძე*

# ომი ვიდეოციფრული მომავლისთვის




ექსპერტები ერთხმად აღიარებენ, რომ ციფრული ვიდეოდისკების, იგივე DVD-ს გამოჩენამ ერთიორად გაზარდა ინფორმაციის შენახვის მასშტაბები. თუმცა, ყველა აღიარებს იმასაც, რომ ამ პროცესს სრული სიჩქარით წინსვლაში, შესაძლოა, ძალიან შეუშალოს ხელი ახლახან წარმოქმნილმა დაპირისპირებამ დისკების მწარმოებლებს შორის.

საუბარია DVD-ის ორ, ერთმანეთის მეტოქე ფორმატზე.

დღევანდელი DVD ინახავს 4.6 გიგაბაიტ (Gb) ინფორმაციას, რაც უდრის 133 წუთის ხანგრძლივობის ფილმს ან ჩაწერილ სატელევიზიო პროგრამას. მიუხედავად იმისა, რომ ორივე დისკი იყენებს წითელ ლაზერს, ეს ორი ახალი ფორმატი დისკების ჩასაწერად და წასაკითხად იყენებს აგრეთვე უფრო მოკლეტალღოვან ლურჯ ლაზერს. ეს იძლევა ლაზერული სხივის ფოკუსირების უფრო მაღალ სიზუსტეს. რის შედეგადაც, მომავლის DVD-ის დღევანდელზე 3-5-ჯერ მეტი ინფორმაციის შენახვის უნარი ექნება.

დისკის გაძლიერებული შესაძლებლობებისა და მონაცემების უფრო სწრაფად გადაცემის გარემოს ლურჯი ლაზერის ტექნოლოგია ქმნის. ის იდეალურია მაღალი შესაძლებლობების მქონე ტელევიზორიდან (High-definition - HDTV) ინფორმაციის ჩაწერისა და დატრიალებისთვის. მას დიდი წარმატებით გამოიყენებენ ხოლმე ციფრული მაუწყებლობის დროს, ანუ იქმნება იმის შესაძლებლობაც, რომ HDTV-დან ინფორმაცია პირდაპირ დისკზე ჩავიწეროთ ისე, რომ ჩანაწერის ხარისხი ოდნავაც არ დავკარგოთ.

ორი დაპირისპირებული ფორმატიდან HD-DVD-ს გაცილებით უფრო მცირე ინფორმაციის შენახვის უნარი აქვს და ის 15-20 გიგაბაიტით შემოიფარგლება. HD-DVD, ძირითადად, "ტოშიბასა" და NEC-ის ქმნილებაა და რადგანაც ის ძალიან ჰგავს არსებული დისკის ფორმატს, მისი ლობისტები ამტკიცებენ, რომ HD-DVD-ს წარმოება გაცილებით უფრო იოლი იქნება არსებულ ქარხნებშიც. ანუ, დისკების ახალი დრაივები ძველი ფორმატის დისკებსაც წაიკითხავს.

ლურჯ-სხივიანი დისკი კი დღის შუქს "სონის" უნდა უმადლოდეს და ის 12 სხვა კომპანიისა და პერსონალური კომპიუტერების მწარმოებლის მხარდაჭერით სარგებლობს. მას 23-27 გიგაბაიტიანი მეხსიერება აქვს. თუმცა, მისი დამზადებაც გაცილებით ძვირი ჯდება - ლურჯი ლაზერის ტექნოლოგიის გამო, და მისთვის საჭირო დრაივიც ისე დიდია, რომ არსებულ პერსონალურ კომპიუტერებს ვერ ერგება.







ბრძოლის შედეგი დამოკიდებულია ერთ კონკრეტულ დეტალზე - რომელი სისტემა მოახერხებს, იყოს უფრო მრავალფეროვანი და მოქნილი; რადგანაც მომავალი მაღალი შესაძლებლობების DVD ხომ უნდა გახდეს გამტარი მედიუმი კომპიუტერულ მეხსიერებასა და ფილმების შეძენა-გაქირავების ბიზნესს შორის; ასევე, მისი გამოყენება უნდა შეიძლებოდეს ოჯახური ვიდეოს მიზნებისთვისაც. ამ ფონზე უზარმაზარი მნიშვნელობა ექნება იმასაც, თუ ვის მხარეს დაიჭერენ ჰოლივუდური კინოსტუდიები. DVD ხომ მართლაც მომავლის პროდუქტია. მისი ბაზარი ელვისებური სისწრაფით იზრდება.

ლურჯი ლაზერის სისტემები ბაზარზე უკვე გამოჩნდა. "სონი" და "მაცუშიტა" კლიენტებს ლურჯ-სხივიან DVD-ჩამწერებს სთავაზობენ - მათი საშუალებით ტელე-პროგრამების ჩაწერაა შესაძლებელი. თუმცა, პროცესებში ჩაბმას აპირებს "ტოშიბაც". კომპანიის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ HD-DVD-ფლეირებისა და ჩამწერების გაყიდვაში ჩაშვებას 2005 წლის ბოლოდან დაიწყებენ.

თუმცა, როგორიც არ უნდა იყოს პირველადი შედეგი, ლურჯი ლაზერის სისტემა დიდი რაოდენობით ბაზარზე რამდენიმე წლის განმავლობაში არ გამოჩნდება. მეტიც, წინასწარი ვარაუდით, ლურჯი ლაზერის სისტემის გამოყენებას მასობრივად მხოლოდ 2010 წლის შემდეგ დაიწყებენ, ამასობაში კი დააკვირდებიან მოთხოვნასაც და ფასებსაც.

## სკანვორდი




1. მძაფრი დაპირისპირება; 2. ჟ. სანდის რომანი; 3. სიჩქარის საზომი ხელსაწყო; 4. ერთ-ერთი ქრისტიანული საიდუმლოებათაგანი; 5. წყალტუბოს საფეხბურთო კლუბი; 6. აქტიური თავდაცვის ხერხი ბურთით თამაშებში; 7. ტვინის გარსების ანთება; 8. ქალაქი-სახელმწიფო აზიაში; 9. ჯარი, ლაშქარი; 10. ქალაქი ავსტრალიაში; 11. ფრანგი კინორეჟისორი; 12. საგვარეულო გაერთიანება; 13. თვითმკვლელობის რიტუალი ძველ იაპონიაში; 14. ქართველი კინორეჟისორი; 15. ნიგერიის დედაქალაქი; 16. ფრანგული ხალხური თეატრის ტრადიციული პერსონაჟი; 17. იგივე ტროა; 18. იმიური ელემენტი; 19. ზამთრის სპორტის სახეობა; 20. მეცნიერების ან ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწე; 21. მდინარე პოლონეთში; 22. იტალიელი კინომსახიობი ქალი; 23. სამელექტროდიანი მილაკი; 24. სახელმწიფო ცენტრალურ აფრიკაში; 25. ინერტული აირი; 26. ტბა ავსტრალიაში; 27. ჩაკეტილი მრუდი; 28. თეთრყურწნიანი ვაზის ჯიში; 29. პატრიოტულ გრძნობას მოკლებული ადამიანი; 30. ზღვისპირა კლიმატური კურორტი რუსეთში; 31. სახის ან საგნის გამოსახულება გვერდიდან; 32. ნერვული სისტემის ცენტრალური ნაწილი; 33. შუასაუკუნეების ფეოდალი ევროპაში; 34. მრწამსი; 35. რაიცენტრი კახეთში.

## TV პროგრამა

16 ნოემბერი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელელიპუცები" **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** ღამის შოუ **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.45** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** მხ. ფილმი "ჩვენი უცხოებში და უცხო ჩვენიანებში" **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** "ტელელიპუცები" **18.20** "ადამიანი ობობა" **18.55** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **19.45** პატრული **19.55** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** ხალხის პირისპირ **00.00** მხ. ფილმი "ცოტა რამ გოგონების შესახებ" (15) (ჯულიეტ ლუისი) **02.05** პატრული

### TV5

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.00(შვეიცარია), 02.30(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **08.30** ტელედილა. **11.05** ზიგზაგ კაფე. **12.15** გადაცემა: ჩვენ ყველაფერი ვცადეთ. **15.35** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.30** პიერი და ჟანი. მხ. ფილმი. რეჟისორი დანიელ ჟანო. 2004. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.25** მირეი ჟოსპენ-დანდიე. დოკ.ფილმი. **21.30** დ. დიზაინი. **24.25** გადაცემა: პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრება. **04.20** სამძებრო პოლიცია. ტელესერიალი.

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.40** სერიალი "გადაადგილების საშუალებები" **10.05** "იმღერე რამე" **10.35** მხ. ფილმი "თუში მეცხვარე" (გ) 1-ლი ს. **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **11.15** სერიალი "ზღვის რაჯა" **13.05** ქიმერიონი **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.15** დოკ. ფილმი "ცეკვის ენა" **15.20** "საღამოს საუბრები" **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.05** დოკ. სერიალი "დიზაინი" **16.30** "ეძიე ქალი" **17.00** სერიალი "გადაადგილების საშუალებანი" **17.25** დოკ. სერიალი "ამერიკის ბიოგრაფია" **18.00** ვესტნიკი **18.20** დოკ. ფილმი "ცხოველთა სტრატეგია" **19.00** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი "ზღვის რაჯა" **22.00** "მიამბეთ თქვენზე" **00.00** მხ. ფილმი "თუში მეცხვარე" (გ) მე-2ს.

### კავკასია

**15.00** ქართული მუსიკა **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** სერიალი "მილედი" **19.20, 21.00** სპექტრი **00.30** ქართული მუსიკა

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** შემეცნ. გასართ. პროგრამა "დები ტრევისის საოცარი სახლი" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "სინიორ ვიანელო" **10.30** სერიალი "პატარა დიდი ბობი" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **13.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნებითი პროგრამა "ტაიმსლოტი" **16.05** სერიალი "მარია ემილია" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** სერიალი "პოლიციელი ქალები" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **19.50** "ჯეოსტარი" შესარჩევი ტური **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.15** სერიალი "პატარა დიდი ბობი" **21.45** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** "არჩევანის ზღვარზე" **23.45** მხ. ფილმი "მატყუარა" (18) (ტიმ როტი)

### მეორე არხი

**19.00** საბ. სერიალი "გადაადგილების საშუალებები" **19.25** სერიალი "დანაშაული" **20.15** "იმღერე რამე" **20.45** ბასტი-ბუბუ **21.00** დოკ. სერიალი "ცეკვის ენა" **21.50** "ეძიე ქალი" **22.05** ქიმერიონი **22.40** მხ. ფილმი "ცეცხლთან თამაში" (გ) მე-2 ს.

**18.00** მინისერიალი "ადვოკატთა ბიურო" მე-10 ს. **19.05** დოკ. ფილმი **20.05** კონცერტი **22.10** მხ. ფილმი "ქალი კამელიებით" (12)

### იმედი

**07.00** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **07.30** დოკ. სერიალი "ყველაზე ექსტრემალური" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.10** "იმედის" დილა **09.20** "დუბლიორი" **10.05** სერიალი "ტყუპები" **11.15** სერიალი "ყავა და ლუდი" **12.20, 03.35** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 02.45** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "პრაქტიკანტი ქალი" (გ) (დ. სუეინი) **15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.50, 02.35** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "საუკუნის გამოჩენილი ქალბატონები" **17.15, 03.15** იმედის მელოდიები **17.25** პოლიციის აკადემია **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **21.00** ფეხბურთი. საქართველოს ნაკ. - დანიის ნაკ. (პ. რეპ.) **23.40** უცნობი საქართველო **00.10** მხ. ფილმი "ჩემი მტრის მტერი" (გ) (ტ. ბერენჯერი) **01.40** სერიალი "ნეშ ბრიჯესი"

### აჭარა

**09.00** საინფ. დაიცესტი **09.20** კომედია "სახლი თავდაძირა" **11.05** ისტორიული ფილმი "კანარის პრინცესა" **11.30, 17.30, 20.30** საინფ. გამოშვება **11.45** ფილმის გაგრძელება **12.35** მხ. ფილმი "განზრახული მკვლელობა" **16.15** მულტფილმი **17.45** ფრაგმენტები ლევან შენგელიას კონცერტიდან **18.30** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **18.45** კომედია "ნაციონალური პოლიტიკის თავისებურებანი" **20.10** მუსიკა **21.00** ფანტასტიკა "ნემეზიდის ვარსკვლავური გზა" **23.30** საინფ. დაიჯესტი **23.45** მხ. ფილმი "ზღვა"

### ОРТ

**06.00** "Доброе утро" **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20, 21.30** Сериал **"МОСКОВСКАЯ САГА". 10.30, 18.10** Сериал **"КЛОН". 11.30** Док. детектив. "Исчезновение "Изауры". Дело 1998 г. **1**-я с. **12.20** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 13.30** Дисней-клуб: "Лило и Стич". **13.50** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 15.20** "Угадай мелодию" **15.50** Сериал **"СТИЛЕТ". 17.00** "Пять вечеров". Среда. **18.10** Сериал **"КЛОН". 19.00** Футбол. Отбор. чемпионата мира. **Сб. России - сб. Эстонии**. **21.00, 23.30** Время. **22.40** "Человек и закон" **23.50** "Фабрика звезд". **00.10** Теория невероятности. "Управление сознанием". **00.40** Сканер. "Выйти замуж за миллионера". **01.10** Мэтт Дэймон в фильме **"НЕУКРОТИМЫЕ СЕРДЦА" 03.20** Что? Где? Когда? **04.40** Триллер **"МЕССИЯ". 2**-я с.

### НТВ

**17 06.00** "Сегодня утром" **09.05** Сериал **"МЕРТВЫЕ НЕ ЛГУТ". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.00** "Сегодня" **10.20** Криминальная Россия. **10.50** "Женский взгляд" **11.20** "Растительная жизнь" **11.50** Сериал **"ГОСПОДА ОФИЦЕРЫ". 13.35** Сериал **"ПОЛИЦЕЙСКИЙ КЭТТС И ЕГО СОБАКА". 14.35** сериал **"КОДЕКС ЧЕСТИ-2". 15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.30** Сериал **"СЫЩИКИ-3: НЕ СТРЕЛЯЙТЕ В ПИАНИСТА"**. Часть 1-я. **18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Сериал **"ГОСПОДА ОФИЦЕРЫ". 20.50** Дмитрий Харатьян в фильме **"УБЕЙ МЕНЯ! НУ, ПОЖАЛУЙСТА" 1**-я с. **22.00** "Страна и мир". **22.40** "Стресс". Ток-шоу **23.50** Чрезвычайное происшествие. **00.15** Сара Мишель Геллар в триллере **"Я ЗНАЮ, ЧТО ВЫ СДЕЛАЛИ ПРОШЛЫМ ЛЕТОМ" 02.25** Бильярд. **03.10** Сериал "Дикий мир. Борьба за выживание: Итури - сердце Африки". **04.10** Сериал **"ЗВЕЗДНЫЕ ВРАТА". 04.55** Сериал **"МОРСКАЯ ПОЛИЦИЯ: СПЕЦОТДЕЛ". 05.40** Чрезвычайное происшествие.




"ის ფაქტი, რომ მოდერნულ რუსელსჰაიმის (გერმანია) ქარხანაში დამზადებულმა ახალმა Vectra-მ (Vectra-C) 2003 წლის პრესტიჟული ტიტული "ოქროს საჭე" მოიპოვა მეტყველებს იმაზე, რომ ახალი Vectra წარმატებულად განხორციელებული გერმანული პროექტია"- იუწყებიან ცნობილი საავტომობილო ჟურნალ გაზეთები. უკანასკნელი რამოდენიმე კვირის განმავლობაში Vectra-C მოწინავე გერმანული ჟურნალების: Auto-motor und sport, Auto-Bild, Auto-Zeitung-ის "შლაგერი" ხდება. ჟურნალისტები იუწყებიან, რომ Vectra-C საოცრად გამძლე და უსაფრთხოებით გამორჩეული ავტომანქანაა. მისი ვარიაციები Vectra-notchback (სედანი) და Vectra-hatchback 100.000კმ-იან შეუჩერებლივ ტესტში პირველ ადგილს იკავებენ. ავტომობილის სხვადასხვა კომპონენტები (მექანიკა, ელექტრონიკა) ხარისხის ტესტის საუკეთესო შეფასებებს იმსახურებენ. მაგალითად Auto-Zeitung-ის ცნობილი ჟურნალისტი იურგენ ფოიგტი მკითხველს ამცნობს, რომ ახალი Vectra ცამეტ კონკურენტ მოდელთაგან ტესტ-მარათონში I ადგილზე მოექცა. ის საშუალო ანუ ბიზნეს კლასის ავტომანქანათა შორის საუკეთესოა კომფორტით, შიდა ტევადობით (მოცულობით), სასიამოვნოდ ჩუმი ძრავითა და დინამიურობით (სტაბილურობით). Vectra-C განსხვავდება რა თავისი წინამორბედისაგან (Vectra A 1988-1995წ. ,Vectra B 1995-2003წ.) დიზაინითა და ინოვაციებით იგი ტიპიური გერმანული ხარისხით წარმოებული ავტომანქანაა, რომელმაც ავტომობილის გულშემატკივართა ყურადღების კონცენტრაცია შეძლო-წერს ჟურნალისტი.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ, OPEL-ის ოფიციალურ დილერს საქართველოში შ.პ.ს."აუტოჰაუზს". ტელ: 53-07-14, 53-07-16 ფაქ: 53-07-15


## მიირთვით მერილინ მონრო



ნიუ იორკში შესაძლებელია მერილინ მონროს შეჭმა, უფრო სწორად, შეგიძლიათ მიირთვათ მისი შოკოლადის პორტრეტი. შეერთებული შტატების ამ ქალაქში გაიხსნა შოკოლადის მსოფლიო გამოფენა. ტკბილეულის ამ სახეობის ათასობით მოყვარული მზადაა, გემო გაუსინჯოს ყველა შედევრს, რაც პლანეტის საუკეთესო კონდიტრებმა დაამზადეს. ტკბილეულის მთავარ მოყვარულებს - ბავშვებს ყველაზე მეტად თურმე სეზონის სიახლე - შოკოლადში ჩადებული ჩიფსები მოეწონათ. პატარებს არც მათი მშობლები ჩამორჩებიან. ქალბატონებს არ სურთ იმის მოსმენა, რომ ტკბილეული მათ ფიგურას ვნებს. ისინი შოკოლადს ბოსტნეულს უწოდებენ და თავსაც ირწმუნებენ, რომ ის მათი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა.















## წამალი "სალხინო" ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.